

ლიტერატურული გაზეთი

№8(192) 21 აპრილი - 4 მაისი 2017

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი



პროზა

ანდრო
ბუაჩიძე

ჯანო
ჯიქიძე

პოეზია

დათო
მალრაძე

ნენე
გიორგაძე

დათო
ქარდავა

გიორგი
არჩემაშვილი

ესე

ლალი
ავალიანი

ჩანახატები

გურამ
ბათიაშვილი

ინტერვიუ

ნინო
კასრაძე





კიკეაძის სახლი დამესიზმრა. ამ სახლმა ბაბუაჩემი გამახსენა, რადგან ის უმეტესად კიკეთში გადაღებულ ფოტოებზეა აღბეჭდილი.

ვფიქრობ, ცხოვრება შემთხვევითი შეხვედრის ადგილია, სადაც თუნდაც უახლოესი ადამიანები ერთმანეთის კარგად გაცნობას ვერც კი ვასწრებთ. მეგონა, ბაბუაჩემზე უფრო მეტს შევიტყობდი, ვიდრე ვიცოდი, მაგრამ ასე არ მოხდა. ბაბუაჩემი ახალგაზრდა ნაწილი ამქვეყნიდან. ის ოცდაჩვიდმეტი წლის რეპრესიებს შეეწინააღმდეგებდა. მე დიდი ხნის შემდეგ დავიბადე და მის გახსენებას ან მასზე საუბარს იშვიათად შევსწრებდები. მამაჩემიც იშვიათად იხსენებდა, რადგან მისი გახსენება მწარე წარსულში აბრუნებდა. ადამიანები მეტწილად ინერციით მივყვებით ცხოვრების აბსურდულ დინებას და არ გვინდა იმაზე ფიქრი, რაც ტიკვილს გვაყენებს, იქნებ გვაკრთობს კიდევ.

ბაბუას სახე რამდენიმე ფოტოსურათს შემორჩა. ეს სურათები უკვე გაყვითლებულია და გაცრეცილი. ადამიანები, რომელთაც ბაბუა ახსოვდათ, თანდათან გადავიდნენ ამქვეყნიური ცხოვრებიდან, თითქმის აღარავინ არის ცოცხალი, ვინც მომიყვება ან მეტყვის, ვინც იყო ის, რა უყვარდა, რა სძულდა, რა ასულდგმულებდა ამ მუხთალ წუთისოფელში. მისთვის მართლაც მუხთალი გამოდგა ამქვეყნიური ცხოვრება.

როგორც უკვე ვთქვი, ბაბუაჩემი ოცდაჩვიდმეტი წლის რეპრესიებს ემსხვერპლა. ეს ფაქტი კარბოლმჟავასავითაა, ნომენკლატურული ოფიციალის ყვითელ ლაქას ტოვებს კაცის ბიოგრაფიაში. ბაბუას ბიოგრაფიაშიც ასეთი ყვითელი ლაქა დარჩა. ეს ლაქა განიზიდავდა ადამიანებს. ყველა ერთნაირ გამომეტყველებას იღებდა, როცა ამ კაცზე დაძრავდა სიტყვას. ეს გამომეტყველება თავისდა უნებლიეთ გატყობინებდა — ვითომდა, ბაბუა ისეთმა ძალამ გააქრო, რომ მისი მეხსიერებაში აღდგენა შეუძლებელი იყო. არადა, ფოტოზე იმნამიერი ხალისიანი განწყობა გეცემოდა თვალში. ეს იყო ოცდათვრამეტი წლის ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ოდნავ სევდიანი და რალაცნაირი, ჭკვიანური, კეთილი თვალები ჰქონდა. ოცდაცხრამეტი წლის ვეღარ გახდა. ქალაქკარეთ გაიყვანეს, სოფლისულის ან ვაკის მიდამოებში, და იქ დახვრიტეს.

ბაბუაჩემის ნაქონი და მერე ჩამორთმეული აგარაკი ხრუმოვოსიული რეაბილიტაციის პერიოდში შთამომავლებს — მამაჩემს და მის შვილებს — გადმოგვცა და ზაფხულს იქ ვატარებდით. კიკეთში ყოფნა ჩვეულებრივი რამე არ იყო და ჩვეულებრივადაც არ მახსენდება. ბავშვობა ყოველთვის სხვა რამ არის და მეხსიერებაშიც სხვად რჩება. მოაგარაკების ერთ-სართულიანი სახლი ბინებდა იყო დანაწილებული და ზედ ტყის პირას იდგა. ყოველ მოაგარაკეს თავისი ღია შუშაბანდი ჰქონდა.

მაგონდება, ეს ღია შუშაბანდები და აივნები როგორ იყო ღამით განათებული. შორიდანვე ვამჩნევდი ჩვენს მოციმციმე შუშაბანდს და რალაც ჩუმი სიმყუდროვის გრძობა მეუფლებოდა. მერე სახლს ვუახლოვდებოდი, ერთხანს სიბნელეში ვჩერდებოდი და ვუცქერდი, მშობლები როგორ შემოსხდომოდნენ მაგიდას. ისინი სიბნელეში მდგომს ვერ მამჩნევდნენ, მე ფხვს ვითრევდი, მერე კი მოულოდნელად ნაშობადგებოდი თავზე. სახლის სიახლოვეს ტყეში წყვდიადი იდგა და ზოგჯერ იქ რალაც გაიფარებოდა, ან ფოსფორისებრი სხივი უკუნს გაკვესავდა.

შუშაბანდიდან სულ რამდენიმე ნაბიჯზე ველური ტყე იყო და ეს იგრძნობოდა ბინამიც. აქაც ტყის ერთდროულად მძინვარე და ნაზი სული ტრიალებდა. ოთახში ნესტიანი კედლები უცნაურად ახმოზდა და ლაპარაკს და ხმას აგუბებდა. ოთახშივე იდგა რკინის საწოლები და ფიცრის ტახტები, რომლებზედაც ღამით საღათას ძილით გვეძინა. ჩვენ გვეძინა, უფროს ტყეში კი რალაც იძვროდა, რალაც წრიალებდა და, ვის ყურთასმენასაც მისწვდებოდა, შიშს უღვიძებდა.

ერთხელ, მახსოვს, ღამით ფაჩუნს და ტოტების ლანალუნს შემომესმა, შეღვიძებული შუშაბანდში გამოვდი და ფანჯრიდან გავიხედე. ჩემგან სულ ახლოს ცხენებმა ჩაიარეს, ცხენების რემა შევიდა ტყეში, მთვარის სინათლე უნათებდად ზურგებს.

ბავშვი ვიყავი და მახსოვს, ძალიან მანუხებდა ამ ცხენების ბედი, ვაითუ, წყვდიადში დაკარგულიყვნენ და გზა ვეღარ გაეგნოთ. არადა, სად უნდა წასულიყვნენ, ღამით განათებული სოფლებისკენ აიღებდნენ გეზს, ტყის მასივს გაივლიდნენ და ვაშლოვანში გააღწევდნენ, ან ორბეთში, ან კიდევ დიდთონეთში.

ბაბუაჩემი დახვრიტეს. თბილისში, მარჯაოს ქუჩაზე რომ ბინა ჰქონდა, ის ჩამოართვეს. ჩამორთმეულ სახლში შინსახკომელი შესახლდა, ცოტა ხანში კი კიკეთის აგარაკიც ზედ მიაცილეს. იმხანად ის ფიცრული შუშაბანდი და ნესტიანკედლებიანი მყუდრო ოთახი ისევ ტყის სურნელით და იდუმალებით იყო სავსე, მაგრამ ბაბუა თავის სახლულობასთან ერთად იქ აღარ ცხოვრობდა. ბაბუაჩემი არსად აღარ ცხოვრობდა, არსად აღარ იყო, მისი საფლავიც კი არ არსებობდა. ის თბილისის შე-

ანდრო ბუაჩიძე

აბარაკი

დადგება დრო, როცა ყველა დაგივინყებს და შენც, შენი მხრივ, ყველას დაივინყებ. მარკუს ავერელიუსი



მოგარენში განისვენებდა, სოლანლულის ან ვაკის ნაპრალებში, კიკეთის სახლი კი ღამით კვლავ იდუმალებით სუნთქავდა, კვლავ შედიოდნენ ტყეში გზადაკარგული ცხენები, კვლავ გაისმოდა მათ ფლოქვებქვეშ ფოთლების შარბილი, მაგრამ ბაბუას ეს ხმა აღარ ესმოდა.

ბაბუაჩემს ჩემი სახელი ერქვა, უფრო სწორად, მე დამარქვეს მისი სახელი. მე ჯერ არ ვიყავი დაბადებული და არ ვიცოდი, რომ ადამიანი ასე უმიზეზოდ, უბრალოდ და უხმაუროდ შეიძლებოდა გამქრალიყო. ახლა კი ვიცი და ეს ცოდნა ცხოვრების აბსურდულობის შთაბეჭდილებას აღმიძრავს. მამაჩემი ამის შესახებ არ ლაპარაკობდა, რადგან იცოდა, რომ ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა. ის გამუდმებით ფიქრობდა, ალბათ ამ ფიქრში იყო განფენილი ბაბუაჩემის არსება და ყოველივე, რაც მას და მთელ მის ოჯახს შეემთხვა. იქნებ ასეთ დროს ყველაზე ნაკლებად ლაპარაკი გამთხატავს მომხდარის მნიშვნელობას.

კიკეთის ადგილ-სანახები ბავშვობიდანვე კარგად ვიცოდი. მე და მამაჩემი მუდმივად დავდიოდით ალმა-დალმა ტყიან სერებზე, მინდვრებში, ჩაბნელებულ ხევებში. ნაშუადღევს გასულები ხშირად ამოვცდებოდით მწუხრის ფაშს უდაბური ხევიდან უცნობ სამოსახლებთან. ტრასაზე გამოსულებმა უკვე ვიცოდით, საით უნდა აგველო გეზი. ხანგრძლივი სიარულის შემდეგ დაღლილები შინ მივალნევდით და დაგვიანებულბებს აღევლებული დედაჩემი გვხვდებოდა. სახიფათო გზა უკვე გავლილი იყო, მწუხრი კიდევ უფრო იკრებოდა ძალას, მერე ღამდებოდა და უფრო მძაფრად ვგრძნობდი საძინებლის ნოტიო კედლების სუნს და სიმყუდროვეს. ღამე ზოგჯერ სინათლე ქრებოდა და სანთელს ვანთებდით, სანთელი ანათებდა დედაჩემის სახეს და მე ვგრძნობდი, აქ იყო ჩემი ნავსაყუდი, მიუხედავად იმისა, რომ ტყის თვალგაუმტარი უკუნს იდგა შუშაბანდში და შუქ-ჩრდილებით საესე ოთახში.

ღამე ქრებოდა და დგებოდა დღე. დღე ისეთი ნათელი და გამჭვირვალე იყო, რომ ღამით ფარდებში გახლართული ღამურები და კომმარული სიზმრები ტყუილი მეგ-

ონა. ღამის უკუნის ნაცვლად ახლა დღის სინრფელე იშპუნებოდა ოთახში და ჩემშიც ნელ-ნელა აღწევდა. მე ჩავივლიდი კიბის საფეხურებს, მინაზე ვადგამდი ფეხს და ტყეში შევდიოდი. ტყე იყო სველი, დანაშაული, ბალახი ბრჭყვილებდა. დღის შეურყენელი ჰაერი ჟრჟოლას მგვრიდა და თავბრუს მახვევდა. ეს იყო ნამიანი ტყის ისეთი სხეულებრივი შეგრძნება, რომელიც მხოლოდ ბავშვს შეიძლებოდა ჰქონოდა. ეს ბედნიერების ფიზიკური შეგრძნება იყო.

მას აქეთ მრავალი წელი გავიდა. ჩემი შვილები ნამოიზარდნენ. ჩამოქცეულ სახლში უკვე აღარ იცხოვრებოდა, ამიტომ მათ კიკეთში არასდროს დაუსვენიათ. მამაჩემმაც დამტოვა. მას ახლა ხშირად ვიგონებ, უფრო ხშირად კი სიზმრებში ვხვდები. ერთხელ ასეთი სიზმარიც კი ვხსენებ: კიკეთის ტყეში ბილიკს ვადექით. ჩვეულ-

ებისამებრ ის წინ მიდიოდა, მე კი უკან მივყვებოდი. ჩუმად ვაბიჯებდით, არსაღიანი ხმა არ იძვროდა. აქა-იქ ფოთლები ცვიოდა. ეს ჩქამი ისეთი სუსტი იყო, რომ ჩემამდე ვერ აღწევდა, მაგრამ მაინც ჩამესმოდა. უეცრად მამა შემობრუნდა და შემომხედა. ეს შემობრუნება მოულოდნელი იყო, რადგან ფიქრებში წასული კაცის ასეთი მკვეთრი მოძრაობას არ ველოდი. ბაბუას ჰგავდა. ეს ორსახოვნება მერეც გაგრძელდა.

მოგვიანებით სიზმრად მარტო დავდიოდი ტყეში და შორს ვხედავდი ბაბუაჩემს, ზურგშექცევით იდგა ან ნელი ნაბიჯით მიდიოდა. ის მიდიოდა განმარტოებით და უკან გამოხედვას არ აპირებდა. შემოდგომა იყო, ფოთლები ცვიოდა და ბაბუას მხრებზე ეყრებოდა, მერე ამ ფოთოლცვენაში ის ჩემი თვალთახედვიდან ქრებოდა. ზოგჯერ ისევ და ისევ შორს გამოჩნდებოდა ზურგშექცევით მავალი და ისე გაქრებოდა, რომ ვერცკი ვამჩნევდი მის გაქრობას.

ამ სიზმარს ხშირად ვხედავდი. ამიტომაც გადავწყვიტე, გაზაფხულზე კიკეთში ავსულიყავი და ჩემი უკვე გაპარტახებული სახლი მენახა. ავედი კიდევ. ცოლ-შვილისთვის არაფერი მითქვამს. ერთ კვირადღეს სიზმარ-ცხადიდან ახალმა გამოფხიზლებულმა გაცვეთილ ბაზრის ჩანთაში მცირე ხემსი და ერთი ბოთლი ღვინო ჩავაგდე და სახლის კარი უჩუმრად გამოვიხსურე. ჩემიანებს ჯერ კიდევ ეძინათ. ორბელიანის მოედნიდან ავტობუსს კოჯრამდე ავეყვი, იქ ჩამოვედი და დაღმართს დავუყვი, რათა მოკლევ გადამეჭრა გზა კიკეთისაკენ. მოკლეს ვამბობ, თორემ არც ისე მოკლე გზა იყო. უბრალოდ, მომენატრა ბუნების ნიაღში სიარული და ამიტომაც დავადექი ნაცნობ ბილიკებს. ამ ბილიკებზე წლების წინ მე და ჩემი მეგობრები დავდიოდით და ამიტომაც არ მიჭირდა გზის გაგნება. მოგვიანებით ქვეყანაში არეულობამ დაისადგურა, თან ერთი მეგობართაგანი გამოგვაკლდა და დამწუხრებულბებს ქალაქკარეთ სიარული აღარ გვიცდია.

ხმაურიანი ქალაქის შემდეგ ტყეში ყოფნამ უჩვეულო სიამოვნება მომგვარა. ჯერ ისეთი განცდა მქონდა, თითქოს წარსულში დაებრუნდი, მერე კი ვიგრძენი, რომ სულ სხვა დროში მოვხვდი. თითქოს გამოვფხიზლდი და მივხვდი, იმ წარსულიდან უკვე დიდი დრო იყო გასული, ირგვლივ ყველაფერი გადასხვაფერებულიყო. ისიც უცნაურად მენიშნა, რომ ავტობუსიდან ჩამოსულს, ტყის ღრმა ნიაღამდე, კაცივილი არ შემხვედრია. კოჯრის შემოგარენი უდაბნოდ ქცეულიყო. აღრე აქა-იქ მწყემსები ან მეტყვევები გვხვდებოდნენ, ახლა აღარავინ შემხვედრია. თამარისდროინდელი კაბენის ნანგრევებთან ჩავედი. იქ, პატარა მდინარის პირას, ვეება ცაცხვის ქვეშეკვაზე ჩამოვჯექი, ლუკმა გავტყეხე და ერთი ჭიქა ღვინო დავლიე, მერე კი გზა განვაგრძე. თანდათან რალაცნაირი ნერვიულობა დამეუფლა. მეგონა, იქ არ ვიყავი, სადაც უნდა ვყოფილიყავი, თითქოს მარტო სხვა დროში კი არა, სხვა სივრცეში მოვხვდი. როცა კლდე ავათავე და მინდორზე გაჭრილ ბილიკს დავადექი, მღელვარებამ გადამიარა. შორს რომელიღაც სოფელი გამოჩნდა... იქიდან საგზაფხულო ფუსფუსი აღწევდა. ადამიანების გადაძახილიც ისმოდა და რკინის ნკარუნიც. მერე ძაღლების ყეფაც შემომესმა და მამლების გადაყვილებაც. ეს ხმები თანდათან დამშორდა და კვლავ უკაცრიელი ტყის კორომში შევრგე თავი. ტყეს ნირი ეცვალა, თითქოს დამზრალი სამოსელი შემოფენილიყო და მის კიდებზე და შემოგარენში ახალი მძაფრი ვნება იღვიძებდა. ჰაერიც მონუსხული იყო, როგორც იცის ხოლმე გაზაფხულზე. მინდორი გადავიარე, ხევში ჩავედი და აღმართიც ავათავე. უკვე ჩემს სახლთან ვიდექი და ჩემს დაფხავებულ კედლებს შევეყურებდი. ვიდრე სახლამდე ავადწევდი, ტყეში ისევ ის ჩვენება ამეკვიტა, რაც სიზმარში ვხედავდი. ჩემგან მოშორებით ხშირ ტვერში ზურგშექცევით ვილაც კაცი იდგა, მერე დაიძრა და გზა განაგრძო. ამ კაცში ისევ ბაბუაჩემი შევიცანი. ცხადია, ის არასოდეს მენახა, მაგრამ სურათებისგან აღძრული შთაბეჭდილება მის ფეხდაფეხ მიდევნებას მკარნახობდა. ერთხანს ასე ვიარეთ კიდევ, მაგრამ ვიდრე სახლამდე მივალნევდი, შუქ-ჩრდილებში მოძრავი ნაცნობი ფიგურა ჩემი თვალთახედვიდან გაქრა.

როგორც იქნა, ჩემ სახლამდე მივალნიე. უკვე სახლთან ვიდექი და შევეყურებდი ჩამოფხავებულ კედლებს. ეს ისეთი რეალობა იყო, რომელსაც მოჩვენების მისხალიც არ ერია. შორიხალის მდგარ სხვა სახლებსაც გავხედე. იქაც ძეხორციელი არ ჭაჭანებდა. არამცთუ არავინ იყო, ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ აქაურობა კარგახნით მივიწყებოდა ყველას. ამ სახლებში ზაფხულობით ჩემი ბავშვობის და სიყმაწვილისდროინდელი ადამიანები ცხოვრობდნენ, ამიტომაც მე აქ ყველა ოთახი, დერეფანი თუ ფანჯარა ვიცოდი, ზოგიერთ სახლს სხენი და მანსარდაც ჰქონდა და იქაც არაერთხელ ვყოფილვარ. თვალწინ დამიდგა ეს უბრალო ფიცრისიატაკიანი ოთახები, სადაც დიდი სისადავე და ხანგრძლივი სიცარიელის გამო დასადგურებული სინანული სუფევდა. ეს ოთახები, თავისი მიუსაფარი კუთხე-კუთხულობი, ჩემს წარმოდგენაში მუდამ არსებობდა. ამოდიოდა მზე, დგებოდა შუადღე, მერე ნაშუადღევი მიიზღაზნებოდა, მერე მწუხრი შეფერავდა ცარიელ ფიცრის კედლებს, მერე ველური ტყის უკუნს ამოავსებდა ოთახებს და ასე ვიდიოდა დრო აგარაკების ოთახებში. ამ ცარიელ ოთახებში სინათლისა და უკუნის გარდა თრითინები, ღამის პეპლები, მინდვრის თავგები ბინადრობდნენ. ერთხელ, ნაზამთრალზე, კარგა ხნის წინ, დაცარილებულ აგარაკებს ვათვალთვლიდით და ერთ ფანჯარაში ჭოტი შევნიშნე. საკვამურიდან ჩამძვრალიყო და ფანჯრის მინას აკვროდა. მახსოვს, სოფლიდან აგარაკების დარაჯი კოლა ჩოხელი ვადმოვივინა, ბინაში შეძვრა და ღამის ფრინველი გამოიყვანა. მკლავზე ეჯდა და ბრჭყალით ხორცში ღრმად ჰქონდა ჩასობლი. კოლა უემცოდ იღიმებოდა, თავისუფალი ხელით სიგარეტს ეწეოდა, ფხიზელი იყო, მაგრამ სახეზე ნამთვრალეობა ეტყობოდა.

ეს ოთხმოციანი წლებში და მას მერეც კიკეთიდან მოაგარაკებმა ფხი ამოიკვეთეს. არც იყო გასაკვირი. ქვეყანა

როგორც იქნა, ჩემ სახლამდე მივალნიე. უკვე სახლთან ვიდექი და შევეყურებდი ჩამოფხავებულ კედლებს. ეს ისეთი რეალობა იყო, რომელსაც მოჩვენების მისხალიც არ ერია. შორიხალის მდგარ სხვა სახლებსაც გავხედე. იქაც ძეხორციელი არ ჭაჭანებდა. არამცთუ არავინ იყო, ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ აქაურობა კარგახნით მივიწყებოდა ყველას. ამ სახლებში ზაფხულობით ჩემი ბავშვობის და სიყმაწვილისდროინდელი ადამიანები ცხოვრობდნენ, ამიტომაც მე აქ ყველა ოთახი, დერეფანი თუ ფანჯარა ვიცოდი, ზოგიერთ სახლს სხენი და მანსარდაც ჰქონდა და იქაც არაერთხელ ვყოფილვარ. თვალწინ დამიდგა ეს უბრალო ფიცრისიატაკიანი ოთახები, სადაც დიდი სისადავე და ხანგრძლივი სიცარიელის გამო დასადგურებული სინანული სუფევდა. ეს ოთახები, თავისი მიუსაფარი კუთხე-კუთხულობი, ჩემს წარმოდგენაში მუდამ არსებობდა. ამოდიოდა მზე, დგებოდა შუადღე, მერე ნაშუადღევი მიიზღაზნებოდა, მერე მწუხრი შეფერავდა ცარიელ ფიცრის კედლებს, მერე ველური ტყის უკუნს ამოავსებდა ოთახებს და ასე ვიდიოდა დრო აგარაკების ოთახებში. ამ ცარიელ ოთახებში სინათლისა და უკუნის გარდა თრითინები, ღამის პეპლები, მინდვრის თავგები ბინადრობდნენ. ერთხელ, ნაზამთრალზე, კარგა ხნის წინ, დაცარილებულ აგარაკებს ვათვალთვლიდით და ერთ ფანჯარაში ჭოტი შევნიშნე. საკვამურიდან ჩამძვრალიყო და ფანჯრის მინას აკვროდა. მახსოვს, სოფლიდან აგარაკების დარაჯი კოლა ჩოხელი ვადმოვივინა, ბინაში შეძვრა და ღამის ფრინველი გამოიყვანა. მკლავზე ეჯდა და ბრჭყალით ხორცში ღრმად ჰქონდა ჩასობლი. კოლა უემცოდ იღიმებოდა, თავისუფალი ხელით სიგარეტს ეწეოდა, ფხიზელი იყო, მაგრამ სახეზე ნამთვრალეობა ეტყობოდა.

აირია. ქუჩაში გასვლისას ემინოდა ხალხს და აგარაკზე ვინ წავიდოდა. ის დრო იყო, ამხანაგის მანქანას რომ ავეყვი. ჭერს შევავლე თვალი და შევატყე, ამოტყეხილი სახურავიდან წვიმა ჩამოსულიყო. სატივროთო მანქანა დავიქირავე და სიმწრით შეძენილი სახურავის მასალა ორ გზობაზე ავზიდე. მეორედ რომ ავედი, საქმე მოვათავე თუ არა, დიდხანს აღარ შევეყოლებულვარ, იმავე სატივროთოთი ქალაქისკენ გამოვეშურე. კოჯრის გადასასვლელთან ავტომობილები იდგნენ. მაშინვე გაგვჩერეს და მძღოლს ავადებულად წაელაპარაკნენ. ათი-თორმეტი კაცი იქნებოდა, სამხედრო ფორმები ეცვათ. მაშინ მთელ ქალაქს ავტომობილები აკონტროლებდნენ, ქალაქგარეთ კი რას გაიგებდი, ვინ იყვნენ და სადაურები.

— მანქანა დაგვიტოვე და წადი! — მიუგდეს მძღოლი.

მძღოლი დაბნეული შემომყურებდა და შეველას მოხოვდა. მე რამდენიმე სიტყვა შევაძველე, მაგრამ ავტომობილებს ყური არცკი უთხოვებიათ. ამასობაში ზედიზედ ხუთი მსუბუქი მანქანა გაჩერეს და, მადლობა ღმერთს, ჩვენკენ აღარ გამოუხედავთ. ჩვენც ავიკრიფეთ და წამოვედით, თან გვემინოდა, ზურგში ტყეციბი არ დაეშინათ.

ესეც კარგა ხნის წინ იყო.

კიკეთში არასებოთნო დროს, შემოდგომასა და გაზაფხულზე უცნობები საქმიანოდ ადიოდნენ, ზოგჯერ კახპები აჰყავდათ და გათენებებდნენ რჩებოდნენ. სრულ სინყარეში რომელიმე სახლის კარი შეღებული იყო და ოთახებიდან ღრინაცვლილი გამოდიოდა. სიმღერას ხმამაღალი სიცილი ენაცვლებოდა. ვიღაც ძალიან ალგუნებული ლაპარაკობდა და რალაცას ამტკიცებდა, სხვები ეკამათებოდნენ თუ ედავებოდნენ. ყოველივე ეს დიდხანს გრძელდებოდა, მერე წყდებოდა და ღრინაცვლით სავსე მანქანა ტოვებდა აგარაკის ჩამოღამებულ სივრცეს. ცოტა ხნის შემდეგ კი მთვარით განათებული ტყის ფერდობიდან ჭოტის მონოტონური გმიწვა აღწევდა.

ესეც დიდი ხნის წინ იყო.

და აი, ახლა ვდგავარ ჩემს სახლთან, უღრანი ტყის პირას, საიდანაც ამ გაზაფხულზე შაშვის ჭახტახი ისმის და ვისხენებ იმ დროს, როცა აქ ცხოველყოფილი სიცოცხლე სუფევდა. ეს სიცოცხლე დღე და ღამე ანათებდა აქაურობას. დღისით ბალახსა და ხეებზე ასხმული ცვარ-ნამი ბრჭყვილებდა, ნასალამოვებს და ღამით კი ციციანათელები ციმციმებდნენ უღრან ტყეში, ალბათ ახლაც ანათებენ, მაგრამ ვინ შეესწრება მათ ნათებას? ადამიანებმა დატოვეს აქაურობა და სხვა სივრცეში გადაინაცვლეს, ბევრი მათგანი აღარც არის ამქვეყანაზე. ისინი დადიოდნენ ამ ფიცრული სახლების ოთახებში, ისმენდნენ ამ ნოტიო კედლებში თავიანთ დაგუბებულ ხმას, უწყებოდნენ და ეფერებოდნენ თავიანთ შეილებს, იჭერდნენ რადიოტალეებს, ღამღამობით ანთებდნენ ღამებს და სანთლებს და ეს სინათლე ირეკლებოდა სარკეებში, ბრჭყვილებდა სარკეთა ამაღამაზე. მათი მდურვა, გულისწყრომა, დრტინვა და ხმამაღალი ლაპარაკი ფიცრის კედლებით გატყევილი ბინებში აღწევდა. ამ კედლებში ოფლიანობდნენ და ავადმყოფობდნენ, სვამდნენ წამლებს, ეძინათ და ეღვიძათ, სტიკოდნენ და იყუჩებდნენ ტკივილებს. აქ ისინი დიდი ქალაქიდან ჩამოდიოდნენ და მათი ცხოვრება უფრო გამჭვირვალე ხდებოდა. ისინი უფრო გარკვევით ხედავდნენ ერთმანეთს და საკუთარ თავებსაც, სარკეებში ირეკლებოდნენ და მათი ხმა აგარაკის მყუდრო ოთახებში ნაგვიანე ექოს გამოსცემდა. ბევრმა მათგანმა სამუდამოდ დატოვა აქაურობა. ამ სახლებში დარჩა მათი ცხოვრების ნაწილი.

და აი, ვდგავარ ახლა ამ დაცარიელებული სახლების გარემოცვაში. მართალია, საავარაკო სეზონი ჯერ არ დაწყებულა, ჯერ კიდევ ნოტიო სუსხი აზრობს ღამღამობით ხეებქვეშ ამოწვერილ ყოჩივარდებს, მაგრამ მე ვიცი, რომ ხანმოხლოდ ადამიანებმა სამუდამოდ დატოვეს ეს სახლები. ზოგიერთი მათგანი თავისი ცხოვრების ბოლოს თურმე იმასაც ნატრობდა, ნეტავ ახლა კიკეთის რომელიმე ოთახის ფანჯრიდან გადამახედაო. მე ვიცი ისიც, რომ ცხოვრების წესი და ნირი შეიცვალა და ძველების დღევანდელმა შთამომავლებმა რატომღაც ზურგი აქციეს აქაურობას. მხოლოდ აქა-იქ დარჩნენ მოავარაკები და

მთელი ეს სამყარო რეალობაში დაემსგავსა ოკეანის ფსკერზე დაშვებულ გემს, რომლის კაიუტები მოღიავებულია და იქ არავინ შედის და იქიდანაც აღარავინ გამოდის. და ვგრძნობ: რეალობაზე უფრო მძაფრად ეს სამყარო ჩემს ქვეცნობიერებაში არსებობს, მე ხომ იქ მუდმივად ვარ, მუდმივად ვეხები იმ რიფებს, რომლის ქვეშაც ეს სამყარო გაშლილი. უცნაურია, ახლაც კი, ახლაც, როცა კიკეთში ჩემი სახლის ჩატეხილი კიბის საფეხურზე ვზივარ, მე იმ ქვეცნობიერ უკუნში დავდივარ და ხან რას ვევახები და ხან რას...

ერთ ფოტოსურათზე ბაბუაჩემი ანდრო ბუაჩიძე თავის ოჯახთან ერთად არის გადაღებული. აქ ჩანან უფროსი ვაჟიშვილი ანრი, ქალიშვილი ნელი, მეუღლე ნატალია და ბაბუას მიტმასნილი მამაჩემი — უმცროსი ვაჟი თაზო. ისინი დგანან სახლის წინ, ტყის პირას, ქარი არხევს ხეებს, ქარიანი ამინდია. ჯერ კიდევ ყველა ერთად არის. გაივლის სულ ცოტა ხანი და განგება თითოეულ მათგანს სხვადასხვა მხარეს გაფანტავს. ბაბუაზე აღარაფერს ვიტყვი, თბილისშივე დახვრიტეს. მამის დაპატიმრების გამო თითხმეტისი ანრიმ — „რკინისებური სახკომის“ — ეჭოვის სურათი თანაკლასელების თვალწინ ნაკუნებდა აქცია. კლასელებმა (ალბათ არ იცოდნენ, რას სჩადიოდნენ) ეს ამბავი, სადაც ჯერ არს, იქ განაცხადეს. ანრი სკოლიდან გარიცხეს და დაპატიმრეს. ცოტა ხანში ის უზბეკეთისაკენ მიუყვებოდა სატივროთო მატარებლის ვაგონებს, მოგვიანებით კი ციმბრში უკრეს თავი. დედამისი ნატალია ყაზახეთში გადასახლეს, პატარა ბავშვები კი — ნელი და თაზო — ნათესავეებში შეიფარეს და რის ვაი-ვაგლახით ზრდებოდნენ... ჰოდა, ეს ფოტო... აქ ჯერ კიდევ ერთად არიან, მათ არ იციან და არამცთუ არ იციან, ვერცკი წარმოუდგენიათ, რომ შეიძლება ერთმანეთს მოსწყნდნენ და მოუსაველეთი გადაიკარგონ. ამ ფოტოსურათზე ყველაზე მნიშვნელოვანი ქარია. ქარი ამოძრავებს ხეებს და იგრძნობა შეყოვნებული ნამიერების ხანგრძლივობა, იგრძნობა, რომ ეს ჩვეულებრივი დღე არის, ისეთი, როგორც ათასი სხვა, ცხოვრების რიტმული რხევა არ შეყოვნებულა, მხოლოდ ფოტოსურათზე აღიბეჭდება ნამიერი შეყოვნება და დარჩება ეს ნამი ასე შეყოვნებული. ისინი კი, ვინც ფოტობიექტივის წინ დგანან, ვერ გრძნობენ ამ შეყოვნებას, რადგან სიცოცხლის უწყვეტ რიტმში არიან ჩართული. ობიექტივის წინ შეჩერებაც ამ რიტმით არის ნაკარნახევი.

ეს სურათი ცოცხლდება და მე შევიღვივარ ამ სურათში, როგორც აკირა კუროსავა შედის ერთ მის კინონოველაში (ვანგოგის ამოძრავებულ ტილოში). ქარი ამოძრავებს და აცოცხლებს სურათს.

ბებიჩემი ნატალია წერს ერთ ნერილში: „გადავიღეთ სურათი. შემდეგ ნავედით ტყეში სამოარლოდ. იქ ვნახეთ ნასახლარი.“

და მართლაც: ვხედავ, როგორ მიდიან ისინი ტყეში, ფერდობს აივლიან და მერე დაღმართზე დაეშვებიან, აქედან კი იწყება ტყის ის დაბურული მონაკვეთი, რომელიც სიმყუდროვით, შუქ-ჩრდილებით მოცულად დარბაზს წაგავს. ერთი დარბაზი მთავრდება და იწყება მეორე. აქ ბილიკი კი არ არის — ფართო გზაა. ეს გზა ხშირი ფოთოლნარით არის გადახურული. ხანდახან ამ ფოთოლნარში მზის სხივი გაიბრჭყვიანებს და მიწის ჩამოქვეშებულ მონაკვეთზე აცხცახხდება. მერე ბაბუაჩემი და მისი სახლულობა მიაბიჯებს ტყის შუაგულ წიაღში. უცერად რალაც შეიფრთხილებს ტყიან ფერდობზე, ბავშვები ფრთხებიან და შეშინებულები გამორბიან მამისკენ, მამა ჩერდება, შეყოვნებული გაჰყურებს ბუჩქნარს, საიდანაც შავი ხარი ემთხროვება დაგრეხულ ჯავებს. ხარი ერთხანს გაშტერებული იყურება ბავშვებისკენ, მერე კი ისევ ჯავებში მიძვრება. ფართო და დაბურული გზა მალე მთავრდება, იწყება ვრცელი მიწდორი, შორს კრიალა ქედები და მონმენდილი სივრცე მოჩანს. მიწდორის ბოლოს მომცრო კორომში ნასახლარია. ეს ის ადგილია, სადაც მშობლები ძელსკამივით ჩადგმულ დიდრონ ნაგრძელებულ ქვაზე სხდებიან, ბავშვები კი ნასახლარს შეესევინან და თამაშობენ. ამ სახლში ოდესღაც ადამიანები ცხოვრობდნენ. რა უნდოდათ ამ შუაგულ ტყეში? იქნებ აქ არამართ

ნასახლარია, არამედ ნასოფლარიც? ვინ იცის, სად გაქრა სხვა სახლები, ალბათ დაშალეს და ყოველი ქვა სათითაოდ გაზიდეს...

ბაბუაჩემს უყვარს ამ ნასახლართან მისვლა და ქვაზე ჩამოჯდომა. ის უმეტესად ფიქრობს, ვინც იქ ცხოვრობდა. ახლაც ჩამოჯდა და ჩაფიქრდა. იმაზე ფიქრობს, ვინც იქ იყრიდა თავს და მერე გაიკრიფა იქიდან. ნუთუ აღარავინ დარჩა? ირგვლივ შემოკრებილ ბავშვებს მიაბიტი მზერა აქვთ, მიაბიტი და დაკვირვებული. მათ ჰგონიათ, მამამ ყველაფერი უნდა იცოდეს და ძალიან უკვირთ, როცა ეკითხებიან და იგებენ, რომ მან არ იცის, ვინ ცხოვრობდა ოდესღაც ამ ნასახლარში. მერე უცერად ღრუბლიანი ცა აირევა, ნაცრისფერი ჯანლი ჩამოწვება და წვიმა წამოუშენს. ბავშვები და მშობლები ნასახლარის პირველ სართულს აფარებენ თავს. მეორე სართული თავმოლიავებულია და წვიმა აღმაცერად სცემს ქვის იატაკს და დაბზარულ კედლებს. ნასახლარის პირველი სართულის ოთახებში ცივი წვეთები ვერ აღწევს, ბავშვები ხალისიანად აწყდებიან ნაფანჯრის ლიბოზე, ბაბუა კი მომლიძინა და, როგორც ყოველთვის, ფიქრში ნასული, პაპიროსით ხელში, დგას ნასახლარის ზღურბლზე და ტყეს გაჰყურებს. მან არ იცის, რომ გაივლის სულ ცოტა ხანი და ამ მუხთალ ნუთისოფელში ისინი, უსახლკარონი, სხვადასხვა მხარეს გაიფანტებიან ცხოვრების გზაჯვარედინზე. წვიმს.

ბაბუაჩემი მეცნიერი იყო და შინსახკომელებმა ინსტიტუტშივე დააკავეს. მას აქვთ, რა ბედი ენია, უცმა არ იცის. ფაქტია, რომ აღარავის უნახავს. მოგვიანებით ჩემმა ნაცნობმა მკვლევარმა დახვედრითა სია გამოაქვეყნა და იქ წავაწყდი მის სახელს. ერთ წვეულებაზე კი შემთხვევით გავიცანი ამავე ინსტიტუტის მუშაკი, რომელმაც მითხრა, რომ ბაბუაჩემის ფოტოსურათი ამ ინსტიტუტის არქივში ინახებოდა. რატომღაც არ დავინტერესებულვარ, სურათის ნახვა არაფრისმომცემი იქნებოდა ჩემთვის. რამდენიმე ფოტო შინ ჩვენც გვექონდა გადახახული. ამიტომ საგანგებო ძიება აღარ დამიწყია. ყველაზე შთამბეჭდავი ის სურათი იყო, სადაც ოჯახის წევრთა მიღმა ქარმა გადახრილი ხეები ჩანდა.

სამოცდაათიან წლებში გავრცელდა ვინმე პეტროვის მონათხრობი, სადაც ის ჰყვებოდა, რომ სოლანულში ოცდაჩვიდმეტ წელს დახვედრითა ნემსებს ნაწყენს. პეტროვი ხელმოკლედ ცხოვრობდა და უნდოდა, ჟურნალისტიკისად რამენაირი საზღაური მიეღო. ის ამტკიცებდა, სოლანულის მაცხოვრებელი ვარ და ნამდვილად ვიცი, რომ იმხანად ხელფეხშეპორკილი აქ მოყავდათო, აქვე ხვრტიდნენ და მარხავდნენო. ისინი თურმე ხშირად საცვლებსაც გამოჰყავდათ დასახვერებდა, ზოგჯერ კი დახვერტის წინ ერთიანად ამიშვლებდნენ. პეტროვი ამბობდა, რომ აქამდე არ უნდოდა ამის გამხელა, ახლა კი აღარაფერს მოერიდება. ამავე დროს, ეს კაცი დასძინდა, ყოველივე ამას ჩემი ცოლიც დადასტურებსო.

მე განსაკუთრებით შემზარა იმ ფაქტმა, რომ სოლანულში მიყვანილებს დახვერტის წინ თავით ფეხამდე ამიშვლებდნენ და უცერად გამახსენდა ერთი ფოტო. ეს ფოტო ინსტიტუტშია გადაღებული. ზის თავის მასიურ საწერ მაგიდასთან ბაბუაჩემი, ანდრო ბუაჩიძე, სახე და კორპუსი ფოტობიექტივისკენ აქვს ოდნავ მობრუნებული, მარჯვენა ხელში კალმისტარი უჭირავს, როგორც ჩანს, წამით შეწყვიტა წერა, რომ სურათი გადაეღო. ვერ იტყვი, ილიმება, მაგრამ ნათელი და გულღია გამოხედვა აქვს. ფართო მაგიდაზე დაწყობილ ნივთებში ეპოქის სტილი გამოსჭვივის. აქ საწერი მაგიდის ყველანაირი აქსესუარია წარმოდგენილი: სკამზე წამოჭდარი მინიატურული ნაკეთობა — მითოლოგიური პერსონაჟი — აპოლონი თუ დიონისე, გვერდით — სასანთლე და მაგიდის ნათურა ჩამოკონწიალებული ზონრებით, წინ — მოვარაყებული საფერფლე, რომელზეც ნახევრადმონეული პაპიროსი დევს. სიმშვიდა, ზურგსუკან ფანჯრიდან დღის სინათლე იღვრება. ბაბუა კოსტიუმშია გამოწყობილი, ცხოვრება თავის ჩვეულ კალაპოტში მიდინება. და

უცერად ჩემს წარმოდგენაში კადრი იცვლება: სატივროთო მანქანის ძარბობა ჩამოჰყავთ ყოველად უმიზეზოდ დაჭერილი ადამიანები, მათ შორის ბაბუაჩემიც, გარშემო ტრიალი მიწდორია, მათ ათხრევილებს სანგრებს, მერე ამიშვლებენ და აბჯენენ იარაღს: ეს ორი სურათი შეუთავსებელი ერთმანეთთან!


ამავე დროს სოლანულის ველზე მომხდარის მოხრობელი პეტროვი აქვეყნებს ჯალათების ვრცელ რეესტრს. ამ ჯალათთაგანია შაშურკინი, რომლის სახელი ადრეც მსმენია და ვიცი, რომ ეს კაცი ჯერ გალოთდა და მერე შეიშალა.

და მაინც, ყველაზე შემზარავია გამიშვლება. პატიმრებს ართმევდნენ ტანსაცმელს და მერე... სიცოცხლეს. ამის ამსახველი ფოტო არავის გადაუღია, ეს აკრძალული იყო, რადგან ადამიანის მახინჯი ქვეცნობიერი ზრახვების გამჟღავნება ცუდ ტონად მიიჩნეოდა, არადა, დახვერტის წინ პატიმრების გამიშვლება თურმე ჩვეულებრივ ამბად იქცა. იქნებ სჯობდა, ეს საშინელი ფორმით ჩადენილი ცოდვა იმთავითვე გამხელილიყო? თუნდაც ერთი ფოტო გამჟღავნებინათ და თავის გზას ის თვითონ იპოვიდა. არც ათი ათი წლის შემდეგ იქნებოდა გვიან ამ სისაძაგლის საქვეყნოდ მხილება, თუნდაც ადამიანების გარემოცვაში, იმ ქვეყანაში, სადაც ეს მოხდა. ასე უნდა მოქცეულიყვნენ იმიტომ, რომ მსგავსი სიგიჟე აღარ მომხდარიყო. არადა, არ გააკეთეს, ამიტომაც მეორედებოდა და მომავალშიც განმეორდება, რადგან ადამიანის ქვეცნობიერში ეს მახინჯი ზრახვები ისევე ხარობს, როგორც მიწდორში მოდებული სარეველა.

ისეც აქ ვარ, კიკეთში. ჩემი სახლის ჩამტვრეულ კიბეზე ვზივარ. ამ კიბეს ყოველწლიურად აკლდება საფეხურები. შემთხვევითი გამვლელები კიბეს საფეხურების ფიცრებს აძრობენ და წვავენ. ჩვეულებრივი ადამიანური აგრესია გრძელდება. სახლის გაპარტახების გამო ზაფხულობით ჩამოსვლა აღარ ხერხდებოდა. ბნელმა ძალებმა გამოიღვიძეს და თანდათან ნგრევას მიჰყვეს ხელი. მალალი კიბე მთლიანად მოაძრეს, მხოლოდ პირველი სამი საფეხური დარჩა. ვიღაც სარდაფში შეძვრა და მთელი კედელი მოარღვია. ყოველივე ამას ზოგჯერ დარაჯი მატყობინებდა, ხანაც შემსწრეთაგან ვიგებდი. პირადად ჩემთან სადავო არავის არაფერი ჰქონდა. უნდა ვიფიქრო, უფრო თავიანთი ცხოვრებით იყვნენ უმპაყოფილონი. ხელმოცარვა იწვევდა აგრესიას. შინსახკომელთა აგრესიაც ხელმოცარვიდან იღებდა დასაბამს.

სალამოდება. ტყეში უკვე წყვილია იკიდებს ფეხს. მარჯვენა მხარეს ხეების მიღმა სამანქანო გზაა და გზაზე სინათლეები იწყებენ ციმციმს. და მე ვფიქრობ ისევ იმაზე, როგორ დარჩა ეს აგარაკები და ეს სახლები, როგორ წავიდა ის დრო, როგორ გადავიდნენ ის ადამიანები, რომლებიც ამ სახლებში და ამ გარემოში ცხოვრობდნენ. მიკვირს, რომ მე ვავხედი დროთა ამ ცვალებადობის შემსწრე. ბაბუაჩემის ცხოვრებაც ამ სახლთან არის დაკავშირებული, მაგრამ ის უკვე ძალიან შორს გაირიყა. აი, მამაჩემი კი ახლოს არის, ამ ჭერქვეშ ჩვენ ერთად ვცხოვრობდით. ის გადავიდა და დარჩა ეს სახლი და მუდმივობაში გადასული სინათლეებით განათებული სამანქანო გზა. მე უკვე ამ გზას მივყვები. მიკვირს, რომ ფიქრში ამდენ რამეს გადავხედავ და ახლა თბილისისაკენ მიმავალ ავტობუსს მოველი. უცნაური გრძნობა მეუფლება იმიტომ, რომ ასე გვიან კიკეთში მარტო არასდროს ვყოფილვარ და ისიც ვიცი, ეს მარტობა შემთხვევითი არ არის. ირგვლივ სიცარიელეა. სიჩუმეა, ძაღლის ყეფაც კი არ გაისმის. სოფლის მხარეს ორიოდე სახლიდან სუსტი სინათლე გამოკრთის. საკვამურიდან კვამლი იზლანდება.

და მე ვგრძნობ, რომ ცხოვრება შემთხვევითი შეხვედრის ადგილია, სადაც თუნდაც უახლოესი ადამიანები ერთმანეთს კარგად გაცნობას ვერცკი ასწრებენ. კიკეთის სახლი კი უკვე ნასახლარია. აქ ყველა სახლი ნასახლარია, ისეთივე, შუაგულ ტყეში რომ იყო. იქ ცხოვრების გზაჯვარედინზე ბაბუაჩემის სახლულობამ წვიმაში ცოტა ხნით საიმედოდ შეაფარა თავი.



დათო მალრაძე

ალიზი

შემამკეს, როგორც ცეცხლი თაღობი,
შემომიტიეს პრესის აქტივით
და შენი კოცნა,
როგორც ალიზი,
სასამართლოზე დავედ ფაქტივით.

გადააქოთეს ვერაც, თაბორიც,
ეჭვის საბაბიც მისცეს თქმულებას,
მე კი ეს ჩვენი ნედლი ამბორი
ნარმოვადგინე მტკიცებულებად.

დამნამეს ძნელი ყოფა ღარიბის,
სამოქალაქოც დამბრალდა ომი,
რადგან არ მქონდა ადრე ალიზი,
მე მბრალდებოდა ხანძარიც რომის.

...ერთხელ ამღვრეულ
ჭორსა და მართალს
მოგაზომებენ მედიის თვალით,
რომ სასულეში გადამცდარ მარცვალს
ვერ მიაშველო მოწვედილი წყალი.

ამგვარად, გამკრა წარსულმა ტორი
და დაეკიდა მაჯებს ხუნდებდა,
ჩანს მომავალი
ნიადაგ შორი...
თუ ახლოს მოვა, განარსულდება.

და მინდა შენს მკერდს
რომ ვგრძნობდე მკერდით,
არ მიეკაროს სასთუმალს ძილი,
შენ უნდა იყო მუდამ ჩემს გვერდით,
რომ ვეღარავინ დამწამოს ცილი.

და დაუნინკლავს დილა ალუბალს,
ბალიდან ისმის გალობა შამვის
და შენი ნედლი
კოცნის ალიზის
თავისუფლების ფრიალებს საშვი.

სამრეკლო

მზე. ცხელი ქვიშა. ტალღა. ნაპირი.
მარილიანი სიმინდის გემო.
ძველი სასტუმრო. სტილი ამპირი.
— საით, საყვირით
დაძრულ გემო?..

კითხულობს თვალი ვენებიან ამბავს,
— ოთახში დამხვდეს ახლა ნეტავი...
ნაპირის ნიავს ზაფხულის კაბა
სასტუმროსაკენ მიჰყავს ხელკავით.

რამდენსაც გინდა,
იმდენ ორთოგრა-
ფიულ შეცდომას იტანს ფურცელი,
თუკი მოგენდო, როგორც ფოტოგრაფს
ენდობა წამი სახეუსცვლელი.

მას ასე, მზეა...
ძალი სდევს ტალღას
და ნელა-ნელა უმატებს ქოშინს,
ვიდრე მზე დაცხრა
და წყალში გალღვა,
როგორც ეს ფიქრი მომდევნო სტროფში,

რომ მენდოს წამი, ვენდობი ლოგოსს...
ნატვრა ჩავუთქვი ცარიელ ჯიბეს,
ცის კიდეს სიტყვა

მივადგი, როგორც
გარდამოხსნისთვის აწვდილი კიბე.

და ვინცებ წერას მარტო ამიტომ,
მენდოს ციცაბო გზაზე მავალი,
გავდივარ თოკზე,
როგორც შაპიტოს
პირველი დასის შთამომავალი.

და ვინცებ წერას, ვინცებ და, თუნდაც
სამგლოვიარო გაისმას მესა,
მსურს მომავლისკენ ვისროლო გუნდა,
„რომ ჩემს შემდგომად
მოძმესა ჩემსა...“

რომ იხმაუროს ჩემმა სამრეკლომ,
უფროს თაობას დაგუთმო სკამი,
რომ ოკეანე
წვეთში ავრეკლო,
მარადისობას დავარქვა წამი.

დაეკიდება ფოთოლზე წვეთი
და შევებს იგრძნობს გამშრალი სასა
და რასაც შევძლებ, იმაზე მეტი
ფასი ექნება, ვერ შევძლებ რასაც.

და შენ, შენ ჩემო
თეთრო ელადავ,
ან და მარადის იყავ დღეგრძელი,
შენ დააფასე ის, რაც მენადა,
თუ არ დაფასდა ის, რაც შევძელი.

ბირჟა

ქაოსია ბირჟაზე. კურსი ცუდად თამაშობს.
აღმსარებელს დაეძებს ცხიმიანი ოლარი...
ძალზე გამკაცრებულა
საიქიოს საბაჟო,
ნიჭი გაუფასურდა, რაც დაფასდა დოლარი.

— რაინდების მხარდამხარ! —
კარის მტვრევა ნატოსი...
ბევრი ბჭობის შედეგად უარზეა სამიტი,
ჩაველილია მოძმისთვის თავგანწირვა ტატოსი,
ფეთქავს გალაკტიონის თავდადება თავისთვის.

ატამანი ბრუნდება, ბანაკი ჩანს მლეღვარე,
ბოშა ეტყვის ატამანს:
— მილალატა ამანო,
ელავს გოგოს თვალები უცრემლობით ეღვარე,
ვინც მოჰპარა ალერსი
დამეს უატამანოს.

— მამ მიმღერეთ, რომალე,
დამივინწყეთ რა მალე...
ან მომეცით შავტარა ჩემი დანის სალესი,
შენც, შავთვალავ, მიმღერე, კარტით მაინც რომელით
გაჭრილ ბოშას მიანდე გრილ მინდორში ალერსი.

და ადამის ედემის თუ მინდორი მანდ არი,
რალა სანატრელია ჟამი მათუსალასი,
ელავს ღამის ვარსკვლავი ეპოლეტზე მუნდირის,
როცა ისმის შორიდან
Casta Diva კალასის.

ვერ დავტოვე სტრიქონი ანაბარად მესიის,
ვანუგეშე კარმენი, ნაცულად არა მინდა რა,
ვერ ჩავდექი გრძელ რიგში დეპუტატის პენსიის,
შევეუშვირე ცის ვარსკვლავს
ეპოლეტი მუნდირის.

თუმცა გასაოცარი არცრა არის ამაში,
პოეტს მეტი მზე უნდა,
მეტი სივრცე,
ცა მეტი...
მონიტორზე ციმციმებს ფულის კურსის თამაში,
ოცდაათმა გააკრა
ჯვარზე ოცდაცამეტი...

ამ სულის ფორიაქმა ძეგვისკენ დამიბარა,
და ქართლური აქცენტი
მესმის: — არა უშავო...
— საითა ხარ, — მკითხულობს კიკოლაანთ ქიმბარა,
— მისტერ ქიმბო, ძმის გულო,
ზარში ენად ვმუშაობ.

სცენარი

ის შეეგუა ლალატს და თვალი
მიაპყრო ღვინის
წამალს უებარს,
...მერე სახლიდან წავიდა ქალი,
ვერ შეეგუა ქმრის შეგუებას.

**ქალი ხიდზე
Cinquecento**

არქიტექტორი კოზიმო პონტი.
ქრისტეშობიდან ათას ხუთას ოც-
დაათი წელი. ტურისტი შორტით.
პლასტმასის ბოთლი, შესვლა უფასო.

შენ, ყელსაბამი და ეს შენობა...
მოგმართე უცბად მაშინ შენობით
ვწუხდი წარსულში მე უშენობას,
ვწერდი მომავალს, სავსეს შენობით.

და სადარბაზოს კედელზე აბრა,
თეთრი, გათლილი ქვისგან კარარის,
როგორც ხომალდზე გამლილი აფრა...
პატრონი სახლში
არის... არ არის...

აფრაზე ტექსტი:
ამ და ამ წლიდან
გახსნილი იყო ლექსისთვის ფრონტი
და თასით განვდილ სამსალას ცლიდა
ამ და ამ წლამდე ჯაკომო პონტი.

ეს ის დრო გახლავთ,
არაორდინა-
ლურია დროც და კესონის ქერიც,
დონ როდრიგოსგან დონა კორტინას
დილით ეყოლა დონ ლამანჩელი.

ამ დროს დაჰხურეს სან პიეტროს ფატა,
ფრთხილად შეაბეს სიმები ჩელოს...
დგას ხარაჩოზე და ცაზე ხატავს
სიქსტის კაპელას მიქელანჯელო.

ის დროა, როცა ყელგანვიღებ გედებს
გაჰყვა დავინჩის
თეთრი ნაშალიც,
როცა ბრამანტეს ნესტიან კედელს
შეახო ქრისტეს ბოლო ვახშამი.

ის დროა, როცა თავად დრო ქრება,
არც მიჭრიალებს
და აღარც გარბის,
საეკლესიოს ინვევენ კრებას:
— დრო, თავად შენ ხომ არა ხარ, რაბი?..

და თუმცა დროა სავსე ნარეკლით,
დგას ქალი ხიდზე,
უცქერს დინებას...
და მის ყელსაბამს წყალზე არეკლილს
ლექსით მოვტაცებ ალორძინებას.

ის დროა, როცა
არ ცხვრობ დროში
და ყელსაბამი დაეძებს პოეტს,
ის დროა, როცა გახვრეტილ გროშით
შეზლონგს უკვეთავ გემბანზე ნოეს.

ის დროა, როცა
დროს ეტყვი: — არას!
და არ გახდები ერთი მედროვე,
და ქალი ხიდზე იდგება მარად,
მარადისობის თანამედროვე.

ავტობიოგრაფია

პატივს მაგებდნენ მეზობლად,
შინ ჰგავდნენ
სულით შეშლილებს,
სამშობლო კი არ მემშობლა,
სულ ძალისძალად ვეშვილე.



სევდიანი სიმღერა

პირიქით უნდა იყოს ყველაფერი:
ყვავილები ჯერ დაჭკნენ
და მერე შეიმოსონ ელვარებით,

პრიფტი

თოვლის არაციფრული მეხსიერება
შემოგვინახავს ყოველ კვალს და
მოძრაობის ტრაექტორიას,

ჭრილობა

გამომართვი გასაღები,
გახსენი კარი და შეაბიჯე ჭრილობაში.
შეგიძლია ტახტზე წამოწე და დაისვენო,

შეთქმულაა

როცა ომში უეცარი სიჩუმე დაისადგურებს,
ყველაზე საზარელი შეთქმულება მაშინ მზადდება.
გენერლები, ლეიტენანტები და მეთაურები



ნენე
გიორგაძე

სისხლი დიდი ხანია
ალარ განეკუთვნება სპეცფეექტების კატეგორიას,
უფრო — ფოტოების კუთვნილებაა,

თარგმანი

1
ამოვიღე პატარა ოქროს გასაღები და საკეტს მოვარგე.
სახლში არავინაა.
ნამდვილად ახალი წასულია დიასახლისი —

2

კანქვეშ ცხოვრობენ
კლავიატურის ლილაკისხელა წიგნები.
თუკი ზუსტად შუაში შეახე თითი,

მე ვთარგმნი სპეციფიკური შეფერილობის შიშს.
იგი თარგმანის პროცესში
სალექი რეზინასავით ინელება,

მაგნიტი

არის ასეთი თამაში:
თვალახვეული დავედივარ და ხელებით გეძებ.
აქ ფიზიკის კანონები არ მუშაობენ:
კუთხეები საინტერესოდ იბრძვიან

ავტორი

1
დასანერი ლექსებით ვარ სწორედ ძლიერი.
დანერილები ჩავანვითე მკითხველებს თვალში.
ზოგისაში ნორპლივით ჩანდა,



მოქარაობის წესები

სიტყვები სხედან პატარა უცხოურ მანქანებში
და გზაზე მიდიან, სწრაფად, ნელა.
ქუჩა ფართოა, ან ვიწრო, ორმხრივია, ან ცალმხრივი.



ცალმხრივი სიყვარულის მფარველმა ან-გელოზებმა მათივე დასის საქმიანობაში:

ერთხელაც იყო, დაახლოებით სამი მთვარის თვის წინ, როცა ვახუშტის ხიდთან მყოფს მიაკითხეს დღისით-მზისით შუადღის პიკის საათში. დაურიდებლად მიადგნენ მათი აზრით უსაქმოდ მყოფ კონრადს, ეს კი იმ დროს ელიაგას ხელოსნებს შორის იდგა ნუგეშის საცემად და თან მანქანებით გადავსებულ ვახუშტის ხიდის მალე მალე საყრდენ ფლუიდებს უგზავნიდა, რათა არ ჩაზნექილიყო და უბედურება არ მოეცა.

საერთოდ, როგორც წესი, უსაფრთხოების მიზნით, მაღალი ნაპირიდან დაბლ ნაპირზე გადებული ხიდებს პიკის საათებში მეტ ყურადღებას უთმობდა, მაგრამ იმ დღეს, თითქოს ჯიბრზე, ყველაფერი ისე აენციო, ბოლომდე მოვალეობის შესრულებას ძლივს გასწვდა, ელიაგას მუშებს ზედმინევილი მხარდაჭერა დასჭირდა — კლიენტების სიმცირეს მძიმედ განიცდიდნენ, თანაც უჩვეულოდ ცხელი სექტემბრის მზე დაუნდობლად აჭერდათ უმუშევრობით ისედაც გადახურებულ თავებზე.

კონრადსაც რა უნდა ექნა, რაც შეეძლო, იმას აკეთებდა — აქეთ ვახუშტის ხიდის მალე მალე იჭერდა, იქით — სანაპიროზე მიმოვალი მანქანების მძღოლებს ფლუიდებით შეტყობინებებს უგზავნიდა: „კარგად დაფიქრდით, სამზარეულოში ონკანი შესაკეთებელი გაქვთ? გაჩერდით და აქვე დაეძინათ ხელოსანი“, „გარაჟი ასაშენებელი გაქვთ? გაჩერდით და მოელაპარაკეთ ამ მუშებს“, „აგარაკზე ღობე შესადები გაქვთ? მღებავები და საღებავი ორ ნაბიჯზე“ და ასე შემდეგ. სულ ამოდ... მოადგნენ **ცსმა** დასის ანგელოზები და თითქოს უსაქმური ყოფილიყო, ისე უცერ-ემონოდ დაუწყეს ფლუიდებით გაღიზიანება, შემდეგ კი ხელით სიტყვანობაზე გადავიდნენ: ძმაო კონრად, ვიცით, რომ დიდი საქმე გაბარია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, უძველესი და ძირითადი მოვალეობის შესრულება მივიწყო — თანამოსახელე ადამიანის მფარველ ანგელოზობაზე უარს ნუ გვტყვი. დაუახლოვდით, უბედობისგან-უსიყვარულობისგან დაიფარე. საათობრივად, მზარდი სიხშირით გაუგზავნე მხარდამჭერი ფლუიდები შინაარსით „გიყვარდეს!“ დანარჩენი კი შენც იცი, ლეთის ნება... გახდი ჩვენიანი!

კონრადს უარის თქმის შერცხვა და დათანხმება. იშვიათი სახელის გამო, ივარაუდა, ხიდების მფარველობის საქმეს დიდდ არ მოცდებოდა და ასე: იმ დღიდან მოყოლებული, 24 საათში ერთხელ ფლუიდით ეხმებოდნენ იმ არე-მარეში ერთადერთ თანამოსახელე ადამიან-კონრადს, ვინც გაღმა ცხოვრობდა, გამოღმა მუშაობდა, 40 წლის მარტოხელა მუსიკოსი იყო და დღესასწაულებზე დარიან დღეებში ქალაქის ორკესტრში უკრავდა ნუთნახევიან სოლოს ვალტორნზე; თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მუსიკოსი კონრად ისე იყო გაბეზრებული იმ უფასო კონცერტებით, რომ თუ ღონისძიება უამინდობის გამო ჩაიშლებოდა, ამით გახარებული, „ბაბოჩკას“ უცხად მოიხსნიდა, ჯიბეში ჩაკუჭავდა და ასე, საკონცერტო კოსტუმში გამოპრანჭული ჩაჯდებოდა სადმე, უახლოეს სახინკლეში სახინკლაოდ... **ცსმა** დასის ვარაუდი გამართლდა — მუსიკოსი კონრადი უსიყვარულოდ ცხოვრობდა, 24 საათში ერთხელ შეხმანება საქმეს არ შეელოდა. ანგელოზმა კონრადმა „გიყვარდეს!“ — ფლუიდებს თითო-თითოდ მოუხშირა: ერთს შინ უგზავნიდა, ერთს — მუსიკის სკოლაში (ანუ სამსახურში), ერთს — რეპეტიციანზე ორკესტრში, ერთსაც — კონცერტზე ან სახინკლეში ვითარების შესაბამისად...

ცოტა ხნის შემდეგ ფლუიდების გასაგზავნად ახალი მისამართები მოემატა — ღამის კლუბები, სტრიპტიზ-ბარები... ამის გამო ანგელოზი კონრადი საკმაოდ შეფოთდა, თუმცა საქმეში გარკვევისათვის დროის გამონახვა მალევე ვერ შეძლო, ხოლო 24 ოქტომბერს, ის-ის იყო ხიდების ღამის შემოწმების სამსუთიან შუალედში მუსიკოსი კონრადის ბედის ორონიის გასაშიფრად მდუმარებაში ჩაძირვას აპირებდა, რომ **ცსმა** დასის მხრიდან ერთბაშად 12 ქება-ფლუიდი მიიღო ერთნაირი შინაარსით: „გილოცავთ! მუსიკოს კონრადს უიმედო სიყვარულით შეუყვარდა ღამის ბარების და ამირბარების ფავორი-

ტი და ვარსკვლავი — სიმზვართე. მისია შესრულებულია. შეგიძლიათ მთლიანად დაუბრუნდეთ მზრუნველობა მოკლებულ ხიდებს, ცალმხრივი სიყვარულისგან შედეგის დაბადებას კი ჩვენ მივხედავთ. ახალი კონრადის დაბადებამდე აღარ შეგანუხებთ“...

ძალიანაც კარგიო, კონრადმა და მას შემდეგ მთელი დღეები და კვირები ძველებურად გაატარა — ხიდებზე და ხიდებზე მოსიარულეებზე ზრუნვაში; თუმცა, **ცსმა** დასის ბოლო ინსტრუქციის თანახმად, მუსიკოსი კონრადის ბედის ანაბრად მიტოვება აზრად არ მოსვლია და ბროგამოშვებით მაინც ნახულობდა ხოლმე...

ერთ საღამოს, ანგელოზი კონრადი ისეთ სცენას შეესწრო რესტორან-სახინკლესთან, ნანახით 5 წამის განმავლობაში გაოგნებული დარჩა:

ცივად ცრიდა. სახინკლის შესასვლელთან სიფრიფანა გოგო იდგა. იმ დღეს უამინდობისგან ჩაშლილი კონცერტის პროგრამის ბუკლეტი ხელში ეჭირა და მუსიკოსისგან ავტოგრაფის მიღებაზე ოცნებობდა. მთელი საათი ასე გაატარა, ვალტორნისტი კონრადი კი არა და არ გამოდიოდა — ქუჩის მხრიდან, ფართო ვიტრინაში ჩანდა, რომ თანამეინახე კლარნეტისტ არმენასთან ერთად სვამდა და თან კამათობდა რაღაც (ალბათ) ძალიან მნიშვნელოვან თემაზე.

გოგონას ძალიან შეცვივდა, კიდევ ერთხელ გაიარ-გამოიარა, გაცუნცულდა-გამოცუნცულდა, ქუჩიდან ვიტრინაში შეიხედა და დარწმუნდა, რომ კონრადი ნამდვილად იქ იყო. იფიქრა: შევალ, მივალ, მოვუბოდიშებ და ისე ვთხოვ ავტოგრაფსო, თუმცა... მაშინვე დაინახა, რომ მუსიკოსი ადგილიდან წამოხტა, თანამეინახე კლარნეტისტი სუფრასთან მიატოვა, ოფიციალტი დაიმარტოხელა, ჯიბეში ფული ჩაუკუჭა და გასასვლელს მიაშურა. გოგონა გაიქცა და კართან დახვდა. ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ერთმანეთს პირისპირ შეეჩხენა. მუსიკოსმა თავყვანისმცემელი განზე განია და თითქოს რესტორნის შიგნით დანეჭებული კამათი გააგრძელაო, დასძახა: დიახ, მე მიყვარს სამშობლო, მაგრამ სამშობლოს ვუყვარ მე?.. საკითხავი, აი, ეს არის!

გოგონა დაიბნა და პასუხად ხმა ვერ ამოიღო.

მუსიკოსმა გოგოს ახედ-დახედა და კბილებში გამოსცრა:

— გასოცარია, ასეთ ადრეულ ასაკში, როგორ ასწრებენ გაბოზებას! — დაიძრა და გაუტია სანაპიროსკენ.

— მე, მე!.. — ხმა ძლივს ამოიღო გოგონამ. უნდოდა ეთქვა, რესტორნის კართან იმიტომ კი არ დახვდა, რომ ბოზია, არამედ... სათქმელი ვერ ამოთქვა, თუმცა გაქცეულ სატრფოს ამოლულულულების ხმა მაინც მიაწვდინა... იმან კი პასუხად დაუყვირა: გვიანია, ბავშვებისთვის ძილის დროა, ძილის წინ მოფხმა არ დაგავინცდესო.

ნანახით და გაგონილით დარეტიანებულმა გოგომ კარგა ხნის შემდეგ აღმოაჩინა, რომ ქუჩის განათების სველ ბოძს იყო ჩახუტებული და ტიროდა.

ანგელოზ კონრადს, ცხადია, შეეცოდა ცრემლიანი გოგონა, მაგრამ მის სანუგეშოდ აღარ ეცალა — მუსიკოს კონრადს აედევნა, რადგან ივარაუდა, რომ ცუდი ამბავი იყო მოსალოდნელი... და ასეც აღმოჩნდა სინამდვილეში.

მუსიკოსი გალაკტიონის ხილზე ავიდა, შუაწელს მიაღწია და გაჩერდა. მოაჯირის იდაყვებით დაეყრდნო, მდინარეში გადააპურჭყა და მწარედ გაიცინა: ცოტა ხანში ამ ფურთხივით შევერევი მტკვარს, ოღონდ, ჯერ უკანასკნელ სიგარეტს მოვწევ.

ამოიღო სიგარეტი, სანთებელა და კარგა ხანს იწვავდა, ვიდრე მოუკიდებდა — მოაჯირისკენ ზურგიტ შებრუნდა, ჩაიძუხლა, თავი დახარა, ცალი მხარი ანუ-რა, კისერი მოღრიცა, საბერველივით დაიქმინა და როგორც იქნა თამბაქო ააბოლა... ისევ მოაჯირის დაეყრდნო და თავი ჩაკიდა.

წვიმდა და ციოდა. ხილზე არავინ გადადიოდა, არც გადმოდიოდა; მანქანებიც კანტი-კუნტად მი-მოდიოდა.

მუსიკოსმა კონრადმა სიგარეტი ბოლომდე არ მოწია — როგორც ჩანს, თვითმკვლელობა ძალიან ეჩქარებოდა. ნამწვი მდინარეში მოისროლა და მოაჯირზე აბო-

ბლება დაიწყო: ანია მარჯვენა ფეხი და სახელურს შეაღაჯა, მარცხენა ფეხის წვერზე აინია, ხელები მოიხმარა, ტანი აზიდა და მარცხენა ფეხიც მოწყვიტა ტროტუარის ზედაპირს...

ანგელოზი კონრადი კი ატყობდა, რომ საქმე სახუმაროდ არ იყო, მაგრამ თვითმკვლელი ვალტორნისტიდან ასეთ აქტიურ ქმედებას მაინც არ ელოდა. ზურგის მხრიდან მიადგა და თავისკენ მოქაჩა — შეაყოყმანა.

მუსიკოსი კონრადი შეჩერდა, გაირინდა. აშკარად იგრძნო, რომ რაღაც უკან ეწეოდა და მდინარეში გადახტომამი ხელს უშლიდა... მაინც მოერია ყოყმანს, ტანი აზიდა და ხიდის მოაჯირს ზედ გადააჯდა.

ანგელოზმა კონრადმა თავს დაუარა, მდინარის მხრიდან ჰაერში დაეკიდა, თვითმკვლელს პირისპირ აესვეტა და თვალბრმა ჩახედა. რისხვას ეერიდებოდა — არ უნდოდა ადამიანი შეეძრნებინა. პირიქით, ისიც კი იაზრა: თუ ოდნავ ჭკუა-გონებაზეა, ნამით მაინც დამინახავს და თავის მოკვლას გადაიფიქრებსო. ყოველი შემთხვევისთვის, ხიდიდან მდინარეში გადახტომის ძალა წაართვა, თან თვალბრმა დაჟინებით უქცქერდა და უარყოფის ფლუიდებს უგზავნიდა ტვინში: თუ გონს მოხვალ, დაგიფარავ, შეგენევი!.. გონს მოდი და გიშველი!..

წვიმისაგან გალუმპული, სიცივისგან აკანკალებული, ძალგამოცლილი კონრადი მოაჯირიდან ძლივს ჩამოხტოდა, ზედვე მიეყუდა. ის-ის იყო მუხლებში უნდა ჩაეკცილიყო და ტროტუარზე გაშხლართულიყო, რომ მფარველი მხარში შეუდგა, ტაქსი გაუჩერა, შიგ ჩასვა... ანგელოზი დაძაბული იყო, ამის გამო გამჭვირვალობა აკლდა და შესაბამისად ჩანდა კიდევ. აქედან გამომდინარე მძღოლს მისდ უნებლიეთ ათქმევინა: კი ბატონო, შინ მივიყვან უსიკვდილოდ, ფულსაც არ გამოვართმევ, ოღონდ ასე მრისხანედ ნუ მიყურებთ!..

განთიადამდე ბოლო შემოვლისას ანგელოზი კონრადი ვალტორნის ხიდთან კიდევ ერთხელ შეეყვინდა. **ცსმა** დასის აკრძალვის მიუხედავად ელენეს მონახულება უნდოდა. ზედიზედ რამდენიმე, ერთი და იმავე შინაარსის გამჭოლი ფლუიდი გაუშვა, რათა ელენესგან პასუხი უეჭველად მიეღო... და მიიღო კიდევ: სერობაზე გნახავთ!

კონრადი გოცდა. არანაირად არ ეგონა, რომ ცისკროვანებისგან დანიშნულ კრებაზე, თანაც — სატელევიზიო ანძის წვერზე, მიიწვევდნენ ელენეს — ახალს, ახალბედა და გამოუცდელ ანგელოზს...

სერობაზე წასვლის წინ მძღავრი, უფროსული ფლუიდები დაუგზავნა მწრალი ხიდების, ესტაკადების და პანდუსების მფარველ ანგელოზებს: გაედივარ!.. ჭკუით!.. უჩემობა ხიდებს არ აგრძნობინოთ!..

მამადავითის აღმართზე შიკრიკი შემოხვდა. უფრო სწორად, შიკრიკზე ადრე ფლუიდების სუსხი იგრძნო: დაგავიანდათ, იჩქარეთ!..

ვიცი, ჰო! — გამოეხმაურა შიკრიკს, რომელიც სატელევიზიო ანძის მფარველი ანგელოზი (**სამა**) აღმოჩნდა, მყისიერად უკან გაბრუნებული, ფუნქიკულიორის აღმართს კოჭლ-ფრენით მიუყვებოდა და ზურგის მხრიდან 22 წლის წინანდელი ხანძრის კვალი ჯერაც თვალნათლივ ეტყობოდა...

რა ხანია აქ არ ვყოფილვარ, — პანთეონს გადაუფრინა კონრადმა და სინანულით შეარხია ფრთები. მაინც არ აჩქარდა, ისე მიღწია ფუნქიკულიორის ზედა სადგურის დონეს, „ემშაკის ბორბლის“ ზედა დონეს, ანძის წვერისკენ მისაღმების ფლუიდი გაუშვა და, როგორც წესი და რიგი ითხოვდა, სერობაზე დასწრების უფლება ითხოვა...

აჰა, კონრადიც გვეახლა! — აღმოხდა ცისკროვანს, ისევ სერობის მონანილებს მიუბრუნდა და მსჯელობა გააგრძელა, — კარგად მესმის თქვენი, **ცსმა** დასიც სწორედ ამიტომ შეიქმნა. დიახ, ხელოვნების შედეგის, სულისშემძვრელი სიმღერის თუ ლექსის შესაქმნელად ცალმხრივი სიყვარული მძღავრი ენერჯის წყაროა, მაგრამ სად არის? შედეგში არ ჩანს!.. თქვენი, ანუ ცალმხრივი სიყვარულის მფარველი ანგელოზების არაკოორდინებული ურთიერთქმედების გამო მოჯადოებული წრე შეიკრა და შედეგის შექმნის იდეა შიგვე ჩაიკარგა... მდგომარეობის გამოსწორებისთვის ერთადერთი გზა არსებობს. მოჯადოებული წრე უნდა გავხსნათ. თქვე-

ნი აზრით, რომელია ჯაჭვის ყველაზე სუსტი რგოლი?

— ლესბოსური! — თქვა დასის ჩულურეთის წარმომადგენელმა.

— გერონტოფილური! — თქვა ისნელმა.

— სოდომური! — მტკიცედ თქვა ორთაჭალის მფარველმა.

— ვერ დაგეთანხმებით! — იუარა ცისკროვანმა და მარჯვენა ხელიც, ფრთაც ერთდროულად შემართა, — იქნებ ფლუიდებზე გადავსულიყავით, სიტყვიერად რაღაც ამაზრუნებად გამოითქმის თქვენი აზრები.

— გთხოვთ, ჩემი მოკრძალებული რჩევა გაითვალისწინოთ! — ხმა უჩვეულოდ აიმაღლა **სამა**-მ, სატელევიზიო ანძის მფარველმა ანგელოზმა, — არა მგონია, ფლუიდებზე გადასვლა ღირდეს.

— რატომ? — გაიკვირვა ცისკროვანმა.

— საკამათო სიტუაციაში, ფლუიდების შეპირაპირებისას, შეიძლება ანძაზე ხანძარი გაჩნდეს, — ხმას დაუნია **სამა**-მ და ბოლო სიტყვები ძლივს გასაგონი ჩურჩულით თქვა, — როგორც ეს წინა საუკუნის ბოლოს მოხდა.

ცისკროვანი შეყოყმანდა, მაგრამ მაინც თქვა: ის ხანძარი ხომ ანძის შიგა ელექტროგაყვანილობაში მოკლე ჩართვის ბრალი იყო?!

— ადამიანების ენაზე ასეც გამოითქმის, — უპასუხა **სამა**-მ, — თქვენამდე ვინც გვხელმძღვანელობდა, მან კი კარგად იცის ნამდვილი მიზეზი.

ასეა თუ ისე, მხოლოდ სიტყვებით არაფერი გამოვა, — გაჯიუტდა ცისკროვანი, — მე ფლუიდებით გაგესაუბრებით, თქვენ კი სიტყვებით შემესიტყვებთ.

სირუმე ჩამოვარდა. მერე სირუმეც დაიძაბა — ცისკროვანის ფლუიდებს სერობის ყველა მონანილე ყურადღებით „უსმენდა“ და თითოეული მათგანი ალქმის უნარის შესაბამისად ითვისებდა... ცისკროვანის ფლუიდები კი მიჯრით მოდიოდა, ისეთი შინაარსით და ძალით მოდიოდა, რომ ანძის წვერს და, ცხადია სერობის ანგელოზებსაც, გვარიანად აზანზარებდა: ყველაზე სუსტი რგოლი ელენეა, ის კი კვდება. თუ ასე ზურგზე ფრთებდაკრეფილები ვიქნებით, მოკვდება კიდევ და მოჯადოებული წრე გაიხსნება, მაგრამ ის ხომ ახალგაზრდაა, ძალიან ახალგაზრდა!.. მოჯადოებული წრე კონრადზე უნდა გაიშვებ, მით უმეტეს, რომ მისადმი უიმედო სიყვარულის გამო ელენე მანქანად გაიტანა „მირზანის“ რესტორნიდან საფეხმავლო აღმამენებლამდე სავალის 56-ე ნაბიჯზე. მუსიკოსი კონრადი წრიდან უნდა გავიდეს და წავიდეს თუნდაც (როგორც სპარსული ორიენტაციის მონანილამდე ძველი ქართველები ამბობდნენ) ჯან-და-ბა-ში!

აბა, რას გვეტყვი კონრად! — ფლუიდების მონოლოგს რიტორიკულად მოაყოლა სათქმელი ცისკროვანმა.

სერობის წვერებს შორის სირუმე ჩამოვარდა, სატელევიზიო ანძის წვერიც, ჩვეულებრივ, უხმოდ თრთოდა. ყველამ კონრადისკენ მიმართა ორთხა.

რა უნდა ვთქვა, — ჩაიბუტბუტა კონრადმა, — სხვა რა გზა მაქვს, თანახმა ვარ! სიმართლე გითხრა, არ მეგონა, თუ ასე იოლად დაგვეთანხმებოდი, — აშკარად ნასიამოვნებით თქვა ცისკროვანმა, — ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს შენს გამოცდილობას და საქმისადმი ერთგულებას.

ამასობაში მზე ამოიწვერა, თითქოს გუგუნი დაიწყო, თუმცა ამ ხმის წარმომშობი მიზეზი მალევე გაიკვია — სხივებმა გააბრწყინა სტამბოლიდან თბილისს მამავალი ქათქათა „ბონგ-777“ და ზემოდან, მის ფუზელაჟზე პირქვევანრთხმული, ხელებგაშლილი (თავით — თბილისისკენ, ფეხებით — სტამბოლისკენ) რეისის მფარველი ანგელოზი — **ბმა**.

სერობის მონანილებმა: ცისკროვანმა და **ცსმა** დასის ანგელოზებმა მისაღმების ფლუიდები გაუგზავნეს და ერთდროულად შეარხიეს ფრთები. „ბონგის“ მფარველ ანგელოზს თავიც არ აუწევია, ისე სტყორცნა საპასუხო მისაღმების ფლუიდი ანძის წვერზე შეკრებილებს.

— აი, ვისგან უნდა აიღოთ მაგალითი! — მიათითა თვითმფრინავისკენ ცისკროვანმა, — **ბმა** ძალების სრული დაძაბვით ასრულებს თავის მოვალეობას.



ცურვის პარადიზი

ადამიანი, ბევრად ადრე, ვიდრე ადამიანი გახდებოდა, წყლიდან ამოვიდა. მოცილა ფარფლები და ქერცილი, ამოიკერა ლაყურები, ღრმად შეისუნთქა, მარჯვედ გახობდა, ფორთხვით იარა, ბოლოს ნამოდგა! მერე ბევრჯერ ინანა მწარედ!

ინანა მისმა შორეულმა შთამომავალმა, რომ ამოვიდა, რომ წყლის სტიქიას ამჯობინა ხმელეთი მშრალი, ინანა, რადგან მალევე მიხვდა, რომ მდინარეში ვერ შევიდოდა ლტოლვილი ორჯერ, თუმცა კი ცდიდა, ცდას არ აკლებდა, და გამოსული საშვილოსნოდან, ჯერ კიდევ სველი, უკან, წყლის სტიქიაში დაბრუნებას ცდილობდა, და ყველა სხვა სითხე — ზღვა და მსოფლიო ოკეანე — კაცობრიობაზე ფეხმძიმე დედამინის სანაყოფე წყლები, უკან უხმობდნენ.

ცურავდა კიდევ მთელი ცხოვრება — ახალგაზრდობა და სიჭარმაგე — ვერ შორდებოდა ზღვას და მის ნაპირს, აკავებდა და შორს არ უშვებდა. თითქოს გაჰყვებოდა ჰორიზონტის ხაზს, მზეს რომ გაეცლო, მაგრამ იჭერდა უხილავ თოკით. და თუ ხმელეთზე ამოვიდოდა, თუ გაცდებოდა მის სველ ნაპირებს, იმდენად შორს, რომ

ტალღის ხმაური დაეფარა ავტოების ხმას, თოლიებისა — ქალების კისკისს, იოდის სუნი — დაფნისა და ევკალიპტისას, და თუ ზღვის ნისლსაც ჩაყლაპავდა თამბაქოს კვამლი, მაშინ ზღვა დიდად აღელდებოდა, და მოცურავეც ვნებით დამწვარი, ნამთვრალევი და მქრალი ლანდივით მას დაჰყვებოდა ისე მორჩილად, როგორც მოქცევის ტალღა

მინის და მთვარის მიზიდულობას და გაცურავდა როგორც სწევოდა: მონოტონურად, მძიმე ფიქრებით, რომლებიც ზღვიდან ამოსვლის შემდეგ, ისე ტოვებდნენ, როგორაც წყლები მის ზორბა სხეულს. მერე კი ხმელეთზე ამოსული, ქვებით მძიმე ცოდვებით გამწყდარი ნელში ისევ და ისევ უბრუნდებოდა წყლის ნიაღს უკან, და როგორც აკლდამაში, ისე ძირავდა ზღვაში ძველი ადამის სხეულს, რათა ხელახლა დაბადებულიყო, ხელახლა დაენყო სიცოცხლე და ასე გაგრძელებულიყო დაუსრულებლად, სამარადჟამოდ!

...მაგრამ ერთხელაც, დალილმა და დამძიმებულმა, ამოიგმინა:

„როგორ მომბეზრდა! კარგი იქნება, რომ არ ვიცოდე ცურვა და ყვინთვა, დავიხრჩობოდი და იმ ძველ ადამს, რომელიც ბორგავს და არ მასვენებს გავეცლებოდი მე სამუდამოდ!“

და მოეწონა ეს აზრი ისე, რომ მართლა სცადა: სუნთქვა შეიკრა, წყალი ჩაყლაპა, ხელი დაუშვა და გაახსენდა ის პირველი დღე, როცა გაცურა, როცა წყლის ზედაპირზე გასრიალდა, როცა ფსკერიდან პირველი ნიჟარა ამოიღო, როცა სხვას მიეშველა, გადაარჩინა, ცურვა ასწავლა; გაახსენდა ის ნეტარება,

დამწყები მოცურავე რომ იღებს წყლიდან, ეს გაახსენდა და მერე მიხვდა, რომ დავინწყების ნაცვლად, ცურვის გახსენება გამოუვიდა.

და კიდევ მიხვდა, რაც მეტსა ცდიდა, მით უფრო უკეთ იცურავებდა, მით უფრო მკვიდრად დააკავებდა უხილავ კალმით წყალზე მწერალი, და მიხვდა მაშინ, რომ ცურვის ცოდნა ნიჭი კი არა, მძიმე ვალია, და მოცურავეს, როგორც კიდობანს (დიახ კიდობანს, მიკროკიდობანს) არ უწერია ტალღებში დანთქმა.

გავა ბევრი დრო, კლემსიდრას მსგავსად ზღვაც დაიცლება და ყველა ნახავს, რომ კიდობანი — წყლიდან მოსული ადამიანი, დამშრალ ზღვის ფსკერზე დასვენებულია, გადაქცეულა ხის მძიმე ყუთად, და დაუფარავს გამომშრალ მიწას, ყვავის დათესილ იმ კურკის მსგავსად, რომლის გულიდან, კაკლებსა და მუხების ნაცვლად, ამოზრდილია უფოთლო და უნაყოფო ხე, რომლის წვერზე ქანაობს და თავს ძლივს იმაგრებს სწორედ ის ყვავი, თვალბედითი და NEVERMORE-ი, ყველაზე დიდი მოცურავე რომ გაანბილა...

მეაზოვის მარტვილოვა

გათენებამდე, სრულ სიბნელში, როცა ჯერ კიდევ ეძინა ქალაქს, როცა ნასუნთქი ნამავდა ფანჯრებს, როცა სიზმრები ფლოდენენ სხეულებს, ის გვიდა ქუჩებს, ასუფთავებდა, ცლიდა ბუნკერებს, სანაგვე ურნებს, და მხოლოდ მთვარე — მუქთა ნათურა, მას უნათებდა მტვრით და ნამწვებით მოფენილ ასფალტს, ზედ მიმხმარ ტალახს, ცელოფენის ნაჭრებს, ფოთლების ლაშქარს. ხან ცოცხს უსვამდა, ხან ფხეკდა ნიჩბით და ხმაურობდა, როგორც აშლილი ვიოლინო ორკესტრის გულში, თუმცა სიმფონია დიდი ქალაქის, ატონალური და არეული — ავტოს ბღული, მოტორს რომ უჭირს, საყვირის ხმები, კარის ჭრიალი — ძალას იკრებდა, ძლიერდებოდა, ის კი იქნევა დორიფორივით ცოცხს და აქანდაზს, წინ მიიწევა ნაბიჯ-ნაბიჯ გამოზომილად, უკან ტოვებდა სუფთა ქუჩას, მონასმის რკალებს, ბუღს აყენებდა —

მტვერს და ფიფქებს ჰქონდათ ფერხული, ყორანს აფრთხობდა შეციებულს, მიყინულს ტოტზე, აფრთხობდა ქალაქს, დანთქმულს ძილში,

ზამთრის ბურანში სიკვდილს რომ ჰგავს ვნებისგან დაცილილს, იმიტაცისა, და მის სიცოცხლეს, ქალაქისას, ბიოლოგიურს ეს მეეზოვე დარაჯობდა ცოცხით, ხმაურით. ძილს არ აცლიდა, აღვიძებდა, გარეთ უხმობდა, და ისიც თმობდა ლოგინსა და დროებით სიკვდილს და მერე, როგორც ყველა ცოცხალი, ტოვებდა ნაგავს, უტყუარ ნიშანს არსებობისას: სიგარეტის ნამწვს, ნახმარ ხელსახოცს, პლასტმასის ბოთლებს, საღებავ ზინებს, დახეულ გაზეთს, საჭმლის ნარჩენებს. „რა აჩენს ნაგავს?“ —

ვცადე ერთხელ საუბრის გაბმა, — „ამდენს რომ შრომობთ, რატომ არ ქრება?“ შეწყვიტა დაგვა, ცოცხზე დაეყრდნო,

მთვარემ ახადა სიბნელის ჩადრი, ახლოს მოვიდა და გამილიმა. და მე ვიცანი ეს ქურთის ქალი, მოხუცი, მაგრამ მაინც ლამაზი, გამხდარი სახით, ნუშის თვალებით, დიდი პირით და ოქროს კბილებით. ერთხანს მიყურა, მერე კი მითხრა: „როგორ გაქრება —

ერთი გვის, ყველა ანაგვიანებს!“ თქვა უბოროტოდ, ბრაზის გარეშე, სულს გაგითბობდა მისი ღიმილი, მივიზიდავდა ზამთრის მზესავით, დაგმუხტავდა და გაგამხნევებდა, და გამახსენა მე ამ ღიმილმა მზრუნველი დედა ერთი ბიჭისა, აბო რომ ერქვა,

ჭლექი რომ სჭირდა და რომ კვდებოდა სულის ხუთვისგან. ჩვენ სისხლს ვანთხევდით, ფილტვებს ვიხევედით, მუჭში ვარწყევდით ვარდისფერ ნახველს, ვილოკდით ტუჩებს დამსკდარს, შეღებილს, და ნითელ ლაქებს ისე ვმალავდით, როგორც მკვლელები დანას სისხლიანს, სიკვდილს ვებრძოდით უიარაოდ (ბრძოლის ველს ერქვა ტუბდისპანსერი), ჯერ ხუდადოვზე, დიდ პალატაში, და მერე, ბოლოს რესპუბლიკურში, კინოსტუდიის ეზოს მოსაზღვრედ, ფანჯრიდან ჩანდა რეკვიზიტები, კინოს სამყაროს ეს ნარჩენები: დილიყანები, კარეტები, ტყუილი დაშნები, მაშველი რგოლი, უნაგირი, ნავის ნიჩბები... ჩვენც ვოცნებობდით, ფანჯრებს ვეკროდით და

ვიხსენებდით ფილმებს ბავშვებზე, ცხენებით ვქროდით, ვლესდით მახვილებს, ეტლებს ვიცვლიდით...

ხან ვიტაცებდით განძით სავსე გემებს აფრიანს, ხან ცაში ვფრენდით ჯადოსნური ჭრელი ხალიჩით, მაგრამ პალმის რტო გვეკუთვნოდა ჩვენ იმ როლისთვის, რომლის თამაში არ გვიჭირდა ფილტვებდახვერტილთ: ხან მე ვიყავი სასიკვდილედ, მძიმედ დაჭრილი, ხან აბო იყო საფლავისთვის გამზადებული. ის მუდამ ინვა, ფერნასული, სულმეხუთული, თავს ედგა დედა — ქურთის ქალი ნუშის თვალებით, გვირგვინის მსგავსად დახვეული მსხვილი ნანანავით, ტოლს არ უდებდა სილამაზით არცერთ დედოფალს, ოქროს ბეჭდებით, ჰულა-ჰუპი საყურეებით, ლამაზი სახით, მიხრა-მოხრით, თავის დაჭერით ჰგავდა დედოფალს იმ სამყაროდან, სადაც შრომობენ და ჭუჭყს ებრძვიან, სადაც მონარქის სკიპტრას ცვლის ცოცხი, ფარჩა-აბრეშუმს — ტილოს ხალათი, სადაც ქუჩები ბრძოლის ველია, და სტადიონი — ციხე-სიმაგრე, სავსე ნამწვებით და ნარჩენებით, მის ტრიბუნებზე ყოველ კვირა დღეს იყო ყიფინა და ტაშის ცემა, რჩევა-ფურთხება მზესუმზირისა, ფილტრამდე დასულ ნამწვავთა სრესა და თვალწინ მედგა მე სტადიონი, მხრჩოლავი როგორც ეტნა, ვეზუვი, და როგორც ფერფლი ჰერკულანიუმს, ფარავდა სკამებს, მალალ ტრიბუნებს შავ-თეთრი კანი მზესუმზირისა, აბოს დედა კი, ქალი-ჰერაკლე გვიდა სტადიონს,

ამ ჩამქრალ ვულკანს, ავგიას თავლას და ამ საქმეში, ყველა სხვაშიაც, ის იყო მარტო! ყოფილი ქმარი, მრისხანე კაცი ბნელი წარსულით, თმიან ხელებით, მსხვილი უღვაშით (ჰგავდა ავაზაკს, შარავზის ყაჩაღს), სხვაგან ცხოვრობდა, სხვა ქალთან იყო, მაგრამ იცლიდა ყოფილ ცოლისთვის, მას აბრალებდა შვილის სისუსტეს, ჭლექიანობას, ხშირად ჩხუბობდა, ოღონდ ხმადაბლა, (თვალის ბრიალით, კბილების ღრჭენით), ალბათ ჩემს გამოც, მაგრამ აბოს უფრთხობდა მეტად — ბიჭი ტიროდა, ხელ-ფეხს კრუნჩხავდა, ვერ ითქვამდა სულს, ახრჩობდა ხველა, მერე ეს კაცი — ავი, უხეში, ყვირილითა და თავ-პირის მტვრევით გარბოდა გარეთ და შინ მიჰქონდა იოდის და ქაფურის სუნი, რის გამოც ცოლი ეჭვიანობდა, მინაში დებდა, შვილს უწყევლიდა

(„ბოზის გაგდებულ ჩიხოტკიან ბიჭს“), არ მშვიდდებოდა, ვიდრე არ სცემდა, ძირს არ დასცემდა, მაგრამ ჩხუბის წინ ისხნიდა საათს (თმიან მაჯაზე რჩებოდა კვალი),



საათს გერმანულს, მძიმეს, წარწერით, მამის სახსოვარს, ნადავლს მოყოლილს, რომ დათვრებოდა, ჩუქნიდა აბოს, დიდ რამედ თვლიდა, მას უტოვებდა, როგორც მემკვიდრეს, როგორც მამაკაცს, მაგრამ საათი, დროის შობილი, მისი მშთანთქმელი, მომაკვდავ აბოს არ სჭირდებოდა. არც ჰქონდა მაჯა ძლიერი, მსხვილი, რომ ამოეგსო სიცარიელე, არც ენერგია და არც ძალა დროის ტარების, მისი სიცოცხლის ყველა წუთი და ყველა წამი მიჰქონდა ბრძოლას, ბრძოლას სიკვდილთან! და რომ არ არგო ჩხვლეტამ ნემსების, აბების ყლაპვამ ლამის მუჭებით, ბოლო იმედად დარჩა პუნქცია — პლევრის გახვრეტა, გავლა ნეკნებში ცივი ლითონის და დაცლა ფილტვის მკვლეელი სითხისგან. ტკივილი იყო მწველი, ძლიერი, ყოველსმომცველი გულისნასვლამდე, თუმცა ტკივილი, ტანჯვა და ცრემლი, სხვასაც არ აკლდა იმ ძმურ კავშირში, ტკივილს კი ჰქონდა ერთი წამალი, ყველასთვის ერთი, საყოველთაო — უნდა გაგედლო და მოგეთმინა! ისიც უძლებდა, როგორც შეეძლო, მაჯების დაჭმით და გულის ნასვლით. მოასვენებდნენ გადაფითრებულს, ხელში აყვანილს ანდა საკაცით, შეგაშინებდა სიღრმე თვალების, დამშრალ ჭასავით აქრობდა საგნებს. ღონემიხდილი და განწმენდილი, დიდხანს იკრებდა ძალას დაკარგულს, რომ გონზე მოსულს და გაცოცხლებულს ეჩვენებინა სამსჭვალის კვალი — იოდისა და სისხლის წერტილი, იმაზე მსხვილი, ვიდრე მე მაჩნდა ნეკნების შუა, მარჯვენა ფერდზე, და მერე, როცა ამ წერტილიდან, როგორც დილეგში ანდა ხაროში, შეიხედა მზემ — უზენაესი მკურნალის თვალმა, მითხრეს, გადარჩი! და სხვა სამყარო გამეხსნა თვალწინ, სახვე ბავშვების ჯანსაღი რუჯით, ვიღებდი ფოტოს ზღვაზე და მთაში, და არა რენტგენს, ყველას რომ აფრთხოვს. დრომ უმკურნალა ყველა ჩვენ ტკივილს, დრომ შეახორცა ყველა ჭრილობა, მაგრამ ეს წლები მე სულ მახსოვდა, აბო თბილელი — დამჭკნარი ბიჭი, ღრმა, დაბინდული შავი თვალებით და ის ჭრილობა ნეკნებთა შორის — ნაკბენი ნემსის... აბო მოკვდაო, — მოხუცმა ქალმა, — იმ მხეცმა მოკლა, იმ გარენარმა, დანით მომიკლა, გულში ჩასცაო! წარმოვიდგინე აბოს სხეული, ბევრჯერ დათვლილი მისი ნეკნები, და ჭრილობები ნანემსრებივით, მისი ეს როლი უკანასკნელი, წმინდანის როლი! ქალი ტიროდა, ოცის იყო, მე მოვეკალი, მე არ მომკლაო, არც ღმერთი არ მკლავს, არადა დროა! გადავაინწყდი?! არ მკლავს ვიუტად, ძალით მაცოცხლებს... მერე გათენდა და მთვარეს გაჰყვა, თან გაიყოლა მოგონებები, როგორც ნამწვეები ცოცხის მოსმისას, გულში კი ჩამრჩა მისი სიტყვები: „ერთი გვის, ყველა ანაგვიანებს“. დროულ სიკვდილზეც იმ ქალმა მითხრა, რომ ჩვენ არ ვიცით მისი ბუნება: სიკვდილს არა აქვს მაჯის საათი, ამიტომ წვალობს და ჩვენც გვანვალებს — ან ჩქარობს ან აგვიანებს!



გიორგი არჩემაშვილი

ბედნიერების უფლებას ვითხოვ მრავლისმნახველი თვალების ფასად! როგორც პოეტი ყველგან ვარ თითქოს, როგორც უფალი მე არ ვარ არსად...

რადგან სასჯელად თქვენი მზე მერგო და მოლოდინით დამალა სივრცემ, მსურს სული ლექსებს გადავუწერო და საკუთარი სიცოცხლე მივცე,

რომ სტრიქონს, ზეშთაგონების ნაყოფს, შეეძლოს სუნთქვა ჩვილების დარად, რომ ჯოჯოხეთშიც კი ვიამაყო ამ სასწაულით მარად და მარად!

ცხოველური ინსტიქტები

მე განვლე გზები მოკვდავთათვის მართლაც უფალი და სულმდაბალმა არსებებმა ზეცა წამართვეს. სწორედ ამიტომ დღეს კაცთათვის ვარ შეუვალი და მოგონებებს კვლავ წარსულში ვამისამართებ.

ვიცი, სიცოცხლე ნაჩუქარი მხოლოდ წამია, მე მუდამ ვიბრძვი, ოღონდ არა სიკვდილის შიშით. გარს მახვევია უამრავი კაციჭამია ვირთხა ბნელ კასრში გამოზრდილი ახალი ჯიშის.

საოცრად ჰგვანან ეს მღრღნელები ერთმანეთს სახით, იერარქიულს თუ შეამჩნევთ მხოლოდ სხვაობას... და დედამიწაც, სისხლისმსმელი ვირთხების სახლი, არის მარტოდენ უბადრუკი სანახაობა,

სადაც მტაცებლებს გაუმართავთ თითქოს მარულა კაცის კვლამი და ვრცელ სანაგვეს ყოფენ უბნებად. ამ ქაოსიდან ჩემი ლანდი გამოპარულა და გულუბრყვილო სიკეთეზე მესაუბრება.

საწყალი, ძლიერ მოუხიბლავთ ზეციურ ფერებს და მონაზონთა ყოველდღიურს უსმენს გალობას, რაც უნდა ვუთხრა, ალბათ მაინც არ დაიფერებს, რომ ვერასოდეს გაექცევა ამ რეალობას.

რით ვანუგეშო, როცა ვცხოვრობთ ღრმა სანაგვეში და როცა ირგვლივ არავის სურს ახლის მიგნება: შენ თუ არ შეჭამ, თვითონ შეგჭამს სისხლზე ნაგეში! ასე ყოფილა, ასე არის, ასე იქნება...

საკანნი №3

მისი საკანი, ნომერი სამი, საოცარი და სიმბოლური. სიმარტოვისგან გაგიუფლეს ლამის, თავისუფლება ისე სწყურია.

თეთრი კედლებით გარემოცული და აფეთქების ზღვარზე მისული სულში ლექსებით ჩუმად ლოცულობს მარადისობის მზეს შეფიცული.

ის მდუმარების ტყვეა სრულიად და დედამიწის უნდა მხილება. იცის ბედისგან განწირულია და ბედს მაინც არ ემორჩილება.

კაცადქცეული ღმერთის ნამება

პოეტის მზერა — წყვილი ლამის, ვერ ამჩნევს კაცთა მოდგმას მინიერს, აღსრულებათა დიადი წამი თითქოს დროებით გადამინიეს...

და წუთისოფლის უსახურ მგზავრებს არა ვპატიობ სულით დაცემას!.. ამ ჯოჯოხეთში მე გამომგზავნეს ქრისტეს სიტყვების გადმოსაცემად:

„არ დავთმე გული, მე რომ მებადა, ვით სასწაული სიკეთის მარცვლის... და დადგა ჟამი მოთმინებათა, ჟამი წამების და ჟამი ჯვარცმის!“

ადამის გენი მდევნიდა მერეც, ცადამალელებულს არც დღეს მენდობა, სული ოცნებით ვათასფერე, რომ შემძლებოდა თქვენთვის შენდობა

უდიდეს ცოდვის, რომლის გამხელაც და სინანულიც ინებეთ გვიან, თქვენს ავხორცობას ახლა სახელად ღმერთის მინაზე მკვლელობა ქვია!

ზნედაცემულთა ბილიკებს ნაცადს ბრმად მისდევთ, როგორც ოცნებას ქარზე... და თუ კვლავ ღმერთი ვიქცევი კაცად თქვენ ხელმეორედ გამაკრავთ ჯვარზე!..“

ეს არის ქრისტეს გზავნილი თქვენთვის, რომ ამცირებდით, როგორც ავაზაკს... და უმოწყალოდ აწამეთ ღმერთი, რომელმაც სული გაგილამაზათ!

ახლა ხომ ხვდებით, რად მტკიცა ნეკნი, ან გოლგოთის ჯვარს რატომ ვატარებ, ან პოეზიის გვირგვინი ეკლის ზეციდან რატომ გამომატანეს...

უფალო, ზეშთაგონებას არ ვცვლი, მსურდა ოცნებად გარდამესახე... და მე მოვეყვი ამბავი ჯვარცმის კაცადქცეული ღმერთის შესახებ!



დასასრული

ამ თვითმფრინავის მგზავრების მფარველი ანგელოზები კი რეისის დასრულებამდე ისვენებენ და შესაძლოა ფრთა-თედოზზეც წვანან!

სატელევიზიო ანძის წვერზე უხერხულმა დუმილმა დაისადგურა. ყველამ მდუმარედ გააყოლა მზერა თვითმფრინავს, რომელმაც სიმაღლეს, სიჩქარეს უკლო და აეროპორტის თავზე წრე შემოხაზა.

დუმილი ისევ ცისკროვანმა დაარღვია. — ყველამ ყველაფერი იცის, ასე არ არის?.. სერობა დამთავრებულია! — თქვა მან და ისე გაშალა მხრები, თითქოს ადამიანია და იზმორებაო.

— დასტური! — თქვა დასის ჩუღურეთის წარმომადგენელმა. მას დასის სხვა წვერებიც აყვენ: დასტური, დასტური!..

ამის შემდეგ ცისკროვანი ცად ამაღლდა, სერობის სხვა მონანილები კი ანძის წვერიდან დაბლა, ქალაქისკენ დაეშვნენ და თავიანთ უბნებს მიასურეს. კონრადი და ელენე ერთმანეთს დაემგზავრნენ.

— ხილამდე მიგაცილებ, — თქვა კონრადმა.

— რომელ ხილამდე? — იკითხა ელენემ, სიფრიფანა ანგელოზმა.

— რა თქმა უნდა გალაკტიონის ხილამდე, — მხრები აიჩჩა კონრადმა და მდინარისკენ დასაშვებად ფრთები მოადუნა.

— ეეჰ! ამას უკვე მნიშვნელობა არ აქვს, — ამოიოხრა ელენემ და გალაკტიონის ხიდის მარცხენა სანაპიროს ლომის ზურგზე დაეშვა.

— რატომ არა აქვს მნიშვნელობა? — იკითხა კონრადმა და ლომის კუდთან ჩამოხდა, — ელენე მოკვდა?

უკვე გათენებულიყო. დარიანი დილა ღამის წარჩენ სიცივეს ებრძოდა. გალაკტიონის ხიდზე აქტიური მიმოსვლა დაწყებულიყო, სწრაფად მიმოდიოდნენ ქვეითები და მანქანები — დაგვიანებულები და უბრალოდ, მოჩქარეები. მდინარის თავზე ნაფოტაზე მონადირე თოლიები დაქროდნენ. ორი მათგანი მოაჯირზე მიბაჯბაჯებდა ხიდის შუაწილიდან ანგელოზებიანი ლომის მიმართულებით.

— ელენეს ჩამომამორეს! — თქვა სვედიანმა ელენე-ანგელოზმა, — ეს გადანყვეტილება სერობაზე თქვენს მოსვლამდე გვაუნჯა ცისკროვანმა. ალბათ ასეც იყო საჭირო — მე ხომ გამოუცდელი ვარ.

— ჰოო! — უხერხულად შეიშმუშნა კონრადი, — ის ახალი უშველის და გადაარჩენს?

— რა ვიცი! — უპასუხა ელენე-ანგელოზმა, — დიდი ელენე გამოცდილია და ის თუ ვერ უშველის, ესე იგი მართლა უსაშველოა ყოფილა.

დადუმდნენ. მზე უკვე კარგად ანათებდა, ყველაფერი — რეალური და ყოფითი — დღის შუქზე გამოჰქონდა; ესენი კი, გამჭვირვალის გამო, უჩინარები გახდნენ, მით უფრო — ელენე.

— ელენქორანი სად არის? — იკითხა ელენემ.

— ლენქორანი? — შეუსწორა კონრადმა.

— ჰო, იქ გამანანნილეს. — ზუსტად არ ვიცი, მაგრამ შორსაა. იქ ხიდები არ არის — ზღვაა.

— იქ ელენეც არავის ჰქვია, თურმე.

— აბა, რა დაგავალეს?

— ზღვის დონეზე დაბლა მდებარე სუბტროპიკების მფარველ-ანგელოზობა.

— ჰმ!..

— რა ბრძანეთ?

— მაგას, ადამიანთა ენაზე... ყინვისაგან და ზოგადად ავდრისგან მოსავლის დაზღვევა ჰქვია... თუმცა ამით შენს მომავალ საქმიანობას არანაირად ჩრდილი არ მიადგება, არ გენყინოს — დამიჯერე.

— კარგი, დაგაჯერებთ, მაგრამ... არ ვიცი, იქ როგორ უნდა გავძლო. ერთი ის მიემედება, რომ დროებით ვიქნები მივლინებული.

— ასე დაბეჯითებით ნუ იტყვი.

— რატომ?

— თუ ლენქორანში ვინმეს, ახალშობილს ელენეს დაარქმევინ, დიდი ხნით მოგიწევს იქ დარჩენა.

— ასეთი რამ ცისკროვანს ჩემთვის არ უთქვამს.

— ეს თავისთავად იგულისხმება, ელენე.

— ვერ გავიგე...

— კარგი, არ იდარდო. საქმე და მოვალეობა ანგელოზის მოთმინებით უნდა შეასრულო. სევდა რომ არ მოგეძალოს, გირჩევ, ლენქორანის ადგილის დედასთან მჭიდრო ურთიერთობა იქონიო. გესმის, რას გეუბნები?

— დაიას!

— და კიდევ, ყველაზე მეტად თოლიებს უფროთხილდი. აი, ამათსავით ახლოს არ მოუშვა. ამათ თევზის და ანგელოზის ერთმანეთისგან გარჩევის უნარი არ გააჩნიათ — მწარედ იკორტნებიან.

კონრადმა ლომის კუდი დაარბილა, მოახლოებულ თოლიებს პოლიტივით მოუქნია და აუქმია. ისინი კიდევ, ძალიან არ დამფრთხლან, მაგრამ მაინც თვითმკვლელებით გადაცივიდნენ ხიდიდან მდინარისკენ და მონადირე თანამოძმეებს შეერივნენ.

კონრადმა ლომის კუდი გაასწორა, გაამაგრა და ბოლოში ისევ ისე მოხარა, როგორც დამზადებისას იყო ჩამოსხმულ-შენებებული. ხიდზე მიმოვალ ქვეითებს გახედა, ვინმემ რამე შენიშნა თუ არაო.

არაო, თითოეული ქვეითი თავის საზრუნავთან ერთად მიაბიჯებდა: ზოგი — ელბაქიდის აღმართისკენ, ზოგიც — მარჯვნივმხლისკენ. არავის შეუნიშნავს ლომის კუდის ფოკუსი. ელენე კი ისე აღფრთოვანდა, რომ უფროს კოლეგას სთხოვა, კიდევ გაიმეორეო. კონრადმა



იუარა, ქანდაკება მყიდვია, ლომს კუდი შეიძლება მოძვრეს და ცოდაო. ელენეს განმეორებითი და დაჟინებული თხოვნისთვის რომ თავი აერიდებინა, თითქოს სხვათაშორის თქვა: მეც მივდივარ. მუსიკოს კონრადს მივყვები საზღვარგარეთ, ამერიკაში.

— მერე ხიდები? — იკითხა ელენემ, — ამ ხიდებს ვინ უპატრონებს?

— შეუვლელი არავინაა, — ამოიოხრა კონრადმა და ამით შეემჩნა, რომ დარდობდა, — გამონახავ ვინმეს. გმირთა მოედნის პანდურების მფარველ ანგელოზზე ამბობენ, მაგრამ არ მჯერა.

— რატომ?

— ახალგაზრდაა და გამოუცდელი. სანყნად არ მითქვამს — ეს შენ არ გეხება. აქ უფრო ადგილის დასახელებამ ითამაშა გადაამწყვეტი როლი, ალბათ.

— ან ადგილის დედამ.

— შეიძლება მართალი ხარ. უნდა ვალი-არო, რომ რაღაც ბოლომდე არ მესმის, რაღაცას ბოლომდე ვერ ვხვდები. ალბათ ჩვენც ვცოდავთ, მეტ-ნაკლებად. არ მეთანხმები?

— კი, გეთანხმები.

— ჩვენ რომ მოვალეობას ზედმიწევნით ბოლომდე ვასრულებდეთ, უპატრონოთა თავშესაფარი არ იარსებებდა, უპატრონო ძალებს თავშესაფარიც არ იარსებებდა, თუმცა...

— რა თუმცა?

— მამაზეციერმა ასე ინება — ადამიანებს თავისუფალი ნება და არჩევანი აქვთ. ამას ჩვენ ვერ შევცვლით. უნდა ვითმინოთ, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ეს ადამიანები შეცდომებს უშვებენ და მცდარ არჩევანს აკეთებენ. მაგალითად, მუსიკოსი კონრადი — ემიგრირება გადაწყვიტა და ჰგონია, რომ უცხოეთში უფრო დააფასებენ, ვიდრე სამშობლოში.

— მამ, რატომ არ უშლით წასვლას? ხომ შეიძლება პიროვნულად განადგურდეს, როგორც პროფესიონალი დაილუპოს!

— რომ არ დაილუპოს, სწორედ ამიტომ მივყვები — კარგი ვალტორნისტი ყველგან კარგი იქნება. წასვლის ამბავში კი (ნაქებებით დაწყებული და ამერიკის ვიზა-ბილეთით დამთავრებული) ცსმა დასის ანგელოზები ეხმარებიან.

— რატომ?

— ემიგრაციაში სამშობლოს უფრო მეტად შეიყვარებს, იქ (ნოსტალგიურ)

შედევრს შექმნის და როცა დაბრუნდება, საბოლოოდ დაბრუნდება კიდევ. ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობენ დასის წევრები.

— არ მჯერა.

— ბოლომდე არც მე მჯერა, მაგრამ კონრადმა არჩევანი უკვე გააკეთა. ცისკროვანების გადაწყვეტილების თანახმად ხვალ თან მივყვები...

აეროპორტში ხალხმრავლობა იყო. სტამბულის რეისზე რეგისტრირებული მგზავრები რიგში იდგნენ და სათითაოდ გადიოდნენ ბოლო შემოწმებას. უნი-ფორმიანი მებაჟეების ახლოს „ბოინგ-777“-ის მფარველი ანგელოზი გამჭვირვალე სვეტიცხეთის ასვეტილიყო და ისე უცქერდა მწკრივში მდგარ, ხელბარგიან მგზავრებს, თითქოს მოდის მაგნატი და ახალბედა ტიტლიკანა მოდელებს სათავისოდ აკვირდებოდა. ანგელოზი კონრადი რომ შენიშნა, გამხიარულდა და შეძახება-ფლუ-იდი სტყორცნა: ძმაო კონრად, ეს მართლა შენ ხარ თუ მეჩვენება?

— არ გეჩვენება! — ფლუიდივით უპასუხა კონრადმა.

— მოდიხარ?

— მოვდივარ.

— მერე-და ხიდები?.. ხიდებს რა ემყვება უშენოდ?

— როგორმე ეშველება — ეგ ნუ გადარდებს.



— ვის მოყვები?

— ამას, ამ კაცს.

— ხელში რა უჭირავს?

— რა უნდა ეჭროს — ხელბარგია.

— კი, მაგრამ ეგეთი უცნაური ჩემოდანი ჯერ არ მინახავს.

— ეგ ვალტორნაა!

— მერედა საბარგოში ჩაებარებიან, რას წვალობს! იქ კიდევ, თვითმფრინავის სალონში სხვებს შეაუხებს.

— ნუ დარდობ, რაღაცას მოახერხებს.

— კონრად, რა უგუნებოდ ხარ, ჩემი ნახვა არ გაგიხარდა?

— როგორ არ გაგიხარდა, უბრალოდ...

— რაო, მითხარი!

— უბრალოდ, ქალაქში ერთი კონრადი გყავდა და ისიც ემიგრაციაში მიდის.

— სად მიდის?

— ამერიკაში.

— გინდა, ეგრევე გადავაფიქრებინო?

— არა, ყველაფერს თვითონ უნდა მიხვდეს.

ხოოო! — თქვა ბბა-მ და ხმაურით შენუხებულივით მოილუშა, რადგან ხმამალალი მუსიკა აფეთქებდასავით გაისმა აეროპორტის ვრცელ და ჭერმალალ დარბაზში, ყველა რეპროდუქტორიდან-დინამიკიდან პრესიოზას ომანხანი ხმა გაისმა: one way ticket, one way ticket...

დარბაზის ცენტრში შემოცვივდნენ ფერად-ფერად მორტებში, მაისურებში, გეტრებში, ბოტასებში გამონყობილი თინეჯერები და ფლუმპობი გამართეს. ყველას ყურადღება მიიქციეს, ვალტორნისტი კონრადიც კი მოახედეს, თუმცა თავის მაყურებლად მაინც ვერ აქციეს, რადგან მუსიკოსი კონრადი Eruption-ს ბავშვობაშიც ვერ იტანდა...

ტუჩაბზუებული მგზავრი — კონრადი მიადგა მებაჟე ქალს, მან კი საბუთები შეუმოწმა და ლამის დასცინა: ამ სიმღერისა არ იყოს, ბილეთი ერთი მიმართულებით გაქვთ?.. თქვენ რა, საზღვარგარეთ დარჩენას აპირებთ?

მგზავრი დაიბნა და პასუხად ხმა ვერ ამოიღო.

ბბა-მ ანგელოზ კონრადს ანიშნა, არ ინერვიულოთ და მზერა დაასო მებაჟე ქალს, ვისაც უნებლეთ ისეთი ძლიერი ფხანა-ქავილი აუტყდა, რომ შერცხვა, საბუთები ვალტორნისტი კონრადს ეგრევე დაუბრუნა კიარადა, ხელში მიაჩნა, მებაჟე კაცს კი გასძახა: მოდი შემცვალე, ტუა-ლეთში გასვლა მინდაო...

სიმღერა გუგუნებდა, მოცეკვავეები თავს არ ზოგავდნენ, მგზავრი-კონრადი კი ესკალატორისკენ ბარბაცით მიიწევდა.

ის-ის იყო ანგელოზი კონრადი ადამიან კონრადს მხარში უნდა შედგომოდა, რომ გაოცებულივით შედგა, რადგან არაჩვეულებრივად სასიამოვნო ფლუიდი ზურგის მხრიდან თბილად მიელამუნა და უკან მოახედა...

ელენე-სიფრიფანა ანგელოზი დაინახა — არაჩვეულებრივად მხიარული, გაცისკროვებული... იმდენად გაცისკროვებული, რომ კონრადი შეშფოთდა კიდევც, ყველასთვის ხილული არ შეიქნასო. მაშინვე სიფრთხილის ფლუიდი სტყორცნა, რათა მისთვის გამჭვირვალეობა დაებრუნებინა. მას კი აზრადაც არ მოსვლია ფრთხილად მოქცევა, მიადგა კონრადს და სხაპა-სხუპით მიახალა: ჩემი ელენე უკეთ არის, მნახველებს იღებს, მის მეგობრებთან ერთად მოვილაპარაკეთ, რომ ვალტორნისტი კონრადისთვის ფლუმპობი მოგვეწყო და ამით მისთვის წასვლა გადაგვფიქრებინა.

— კი მაგრამ, — კონრადი აშკარად დაბნეული ჩანდა, — მე შენ უკვე ლენქორანში მეგონე!

— არა, ჩემო კარგო, — სიცილ-კისკისით მიუყო ელენემ, — ყველაფერი შეთანხმებულია. უფრო სწორად, დიდმა ელენემ, დღევანდელი ფლუმპობის გამო, ელენქორანში მივლინების ორი დღით გადავადება მომიხერხა. ასეთი მხიარული არასდროს ვყოფილვარ. თქვენც?..

ანგელოზ კონრადს დანარჩენი ფლუიდების შინაარსი აღარ ესმოდა, მთელი ოცი წამის განმავლობაში დაავიწყდა, ვინ იყო... მუსიკა გრიანდებდა, გოგო-ბიჭები დახტოდნენ, ბუქნავდნენ, ყირაზე გადადიოდნენ, როკავდნენ, რეპავდნენ, თვბრუდამხვევად ბზრიანდნენ... ამის შემხედვარე, უშუალოდ ხასიათზე მყოფი, ლოდინით გაბზრებული მგზავრებიც კი გახალისებულიყვნენ და ტამისკვრას აყოლებდნენ სანახაობას...

ამასობაში ვალტორნისტი კონრადი დანიშნულბულიყო, ესკალატორზე შემდგარიყო და ზევით ადიოდა...

ანგელოზი კონრადი თვალის დახამხამებაში თავს გადაეგლო მგზავრების ჯგუფებს, რიგებს, მოცეკვავეებს, ესკალატორზე აფრინდა, მხარში შეუდგა ამგზავრებულ კონრადს, სახეში შეხედა და დააკვირდა, რადგან მოეჩვენა, რომ ამ ადამიანს ფერი-ფური მისდიოდა, ფეხზე ძლივს იდგა; მისი უძვირფასესი ხელბარგი-ვალტორნა ქვასავით დამძიმებოდა და ხელიდან უსხლტებოდა — ცოტაც და ესკალატორის კიბის საფეხურზე გაადენინებდა ბრავგვანს...

ანგელოზი კონრადი მიეშველა, ხელბარგი აუშმატა. მუსიკოსმა კონრადმა შევებით ამოისუნთქა, მუსიკა შეწყდა და ფლუმპობიც დამთავრდა.

ამასობაში სიფრიფანა ელენემ კლარნეტისტი არმენას დანაბარები ცნობათა ბიუროს ქართულად უთარგმნა და დიქტორს სიტყვა-სიტყვით გამოაცხადებინა: კონრად, ჰა, კონრად! სად ტრაკში მიდიხარ, თუ იცი?!

ანგელოზი კონრადი შეკრთა, უკან მიიხედა, თავი უნებლიეთ წამის წინ გაგონილი სიტყვების ადრესატად მიიჩნია, ესკალატორის სიმაღლიდან გოროზად გადახედა დარბაზს, მზერა ყველას მოატარა; რადგან შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, ისიც კი დააპირა, რომ გაგონილის საპასუხოდ მისხანე ფლუიდი ეტყორცნა აეროპორტის დიქტორისთვის და ჭკუის სასწავლებლად ცნობათა ბიუროს შუშის ოფისი ზედ თავზე დაეშო მისთვის, მაგრამ დროზე დაიოკა ლელვა, ნამიერი გადაცდომა უკუაგდო, თავს მოერიო და უფლება-მოვალეობა დროზე გამიჯნა — მუსიკოს კონრადს წამოეწია, მხარში შეუდგა, ვალტორნა აუშმატა, რეისის „ბოინგამდე“ მიიყვანა... ისე ააცილა ტრაპზე, თითქოს ტრამპლინზე აპყავდა, შემდეგ თვითმფრინავის სალონში შეჰყვდა და ტრამპის ქვეყანაში წაჰყვდა...

კონრადს უყვარდა სამშობლო, სამშობლოს უყვარდა წარმატებული ადამიანები, წარმატებულ ადამიანებს უყვარდათ ამოების შინაარსიანად გატარება, სახელის მოხვეჭა, ქველმოქმედება, მანქანები, იახტები, ცხენები, ძაღლები და კიდევ, კონრადის მსგავსად, უყვარდათ და ახლაც უყვართ ზოგადად ხელოვნება და კერძოდ — სიშხვართე...

ქართველი მწერლის ზოგი ლექსი მიაბრუნებინა და სიღრმის მომხიბლავი შერწყმა. სწორედ ასე აღვიქვი მისი ბოლოდროინდელი ციკლი („ლიტერატურული გაზეთი“, 2017, №2), გაჯერებული თუშური მელოდურობით, დი-ალექსის სრულყოფილების შეგრძნებით.

მხატვრული ნაწარმოების შექმნა უფრო ადვილია, ვიდრე მასზე წერა, მონტენს რომ უთქვამს თავის დროზე — ჩვენში კი გრივად კიკნაძე იმეორებდა ხშირად — უთუოდ მიესადაგება ეთერ თათარაიძის უნიკალურ შემოქმედებასაც. ამჯერად ერთმა პანანინა უსათაურო სტროფმა დამაინტერესა და, ძალდაუტანებლად, რამდენიმე პარალელიც გამახსენა.

*წინილა' რო ხარბ ქორმ ვასტაც
გულგახეტილ კრუს,
მითა, ხანთხან ცა ქუფრდება-დ
ქორის რისხვად ქუსს...*

თითქოს უწინარესად ვაჟა უნდა წამოტივტივებულიყო გონებაში, მაგრამ ფიქრს ვერ უბრძანებ და ფრანგი სიმბოლისტის ჟიულ ლაფორგის „ავგისტოს პატარა უბედურებების“ ციკლიდან ერთი ლექსი გამახსენდა — ბელურის დაღუპვას რომ ეხება. ალბათ იმიტომ, რომ ეთერ თათარაიძის ლექსებში ვხვდებით „გზაარეულ ჩიტებს“, ბარტყებთან, ყინვის მოშიშ ჩიტუნია-ჩიორას, მივინყებულ საყდარში შეფრენილ ფრთათეთრ მტრედს, გულყვითელას და მოკიოტს, მოჭიკჭიკე მერცხალს, „ჭირის მკურნალი“ ბულბულის სტვენას, მგალობელ ტოროლას, წეროსა და გუგულს... ყოველ მათგანს საფრთხე ემუქრება: „შეკაბიანი ქორი“, ყინვა, დაუნდობელი მონადირე, ხარბი ადამიანი... ყოველი მათგანი უმწეოა; ასეთივე უმწეონი აღმოჩნდნენ უღმობელი სენის წინაშე ლეგენდარული წყვილი — ფრანგული ლექსის რეფორმატორი ჟიულ ლაფორგი და მისი ინგლისელი ცოლი — ლეა ლე — სრულიად ახალგაზრდანი რომ გამოეთხოვენ ნუთისოფელს.

ვაჟა-ფშაველას „წინილას“ „სისასტიკე“ ჰიპერბოლებით გაჯერებული იუმორით ნეიტრალდება, თუმცა ბავშვისათვის ეს ძნელად აღსაქმელია; ამაში დაერწმუნდი, როცა, დიდი ხნის წინ 5 წლის ანის წავუკითხე ეს ლექსი — რატომღაც „ტრაგიკული“ ინტონაციით. ბავშვი ერთხანს მისმენდა, მერე კი გააპროტესტა და ტექსტი თავად გადააკეთა: „ქორმა წინილა წილო და მერე დააბრუნაო“... ამაზე არაფერს ვიტყვოდი, რომ არა თანამედროვე მოდური ტენდენცია ქართული ხალხური ზღაპრების „ოპტიმიზაცია-სეკვესტრირების“, თვითნებურად გადაკეთების მოთხოვნისა — ბავშვთა „დაცვის“ საბაბით. ჩემი აზრით, ეს ფოლკლორის (არა მარტო ქართულის) პროფანაციაა, განსაკუთრებით არასასურველი საყოველთაო გლობალიზაციის ფაზა.

ანის შვილი — 4 წლის ალექსანდრე — დღეს „ინტერნეტმომხმარებელია“: თითქმის ერთი წელია, რაც კომპიუტერულ თამაშებს დაეუფლა. „პლანშეტზეც“ ისე აცმაცუნებს თითებს, რომ დამოუკიდებლად ირჩევს სასურველ მულტიფონებს, რომელთა გმირები მონსტრები, ლოკონები, დინოზაურები და ძმანი მათნი არიან. ამ უზღვევ უცხოურ პროდუქციაზე უფრო „მანეა“ ქართული ზღაპრები? ბავშვი ხომ ჩვენზე ადვილად ეგუება პირობითობას, თამაშის დროს „ვითომ“ — მისთვის იოლად აღსაქმელი ხერხია; ჰოდა, იმასაც აითვისებს, რომ „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი“...

ან ზღაპრის დასასრული გავიხსენოთ:

*„ქატო იქა, ფქვილი აქა,
ჭირი იქა, ლხინი აქა!“*

რაც შეეხება სრულიად უნიკალურ ფენომენს — წარმართობის დანაშრეგებანი ქართულ ხალხურ პოეზიას — ბადალი რომ არ მოეპოვება მსოფლიოში და არაფრით ჩამოუვარდება ჩვენს ბუნებრივ ფოლკლორს, აშკარად არ არის სათანადოდ დაფასებული.

1926 წელს თბილისის რესტორან „სიმპატიასში“ მოქეიფე მაიაკოვსკის ჩვეული დაურიდებლობით უთქვამს „ცისფერყანწლებსათვის“ — რას ჩააცივდით ფრანგ დეკადენტებს, მათ პოეზიას ერთი ქართული ხალხური ლექსი მირჩევნიაო (წინო მაყაშვილი-ტაბიძის მოგონება); ეს ისე, სასხვათაშორისოდ.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი გაჭირვების წლებში ნიგნები კანტიკუნტად გამოდიოდა. ბუნდოვნად მახსოვს — სამსახურიდან დედა რუხ, უხემ სქელ ქალღმებზე დაბეჭდილი ორფურცელიანი ზღაპრით ხელდამშვენივლი ბრუნდებოდა, რითაც უზომოდ გვახარებდა ჩემს უფროს დას და მეც; სიხარულის განცდა უფრო მაგონდება, ვიდრე ღარიბულად დასურათებული ზღაპრები; მაშინ კითხვაც კი არ ვიცოდი. დის წამხედურობით, კითხვა მალევე ვისწავლე, მაგრამ შემდეგში, რომ არა დედ-მამის მშობლების მდიდარი ბიბლიოთეკა, ცნობისწადლს ვერ დავიკმაყოფილებდი; სწორედ მისი წყალობით გავცვანი ქართულ და მსოფლიო კლასიკას (ახლა რომ „მოდაში“ არ არის), ძველ ქართულ და რუსულ პერიოდიკას. უკვე სტუდენტობისას, დავიანებული რეპილიტაციისა თუ „დათბობის“ ფაშს გავაცნობიერე, რომ აკრძალული ლიტერატურა — რეპრესირებული მწერლების ნიგნები ან 20-იან წლების ქართული მოდერნისტული პერიოდიკა — გამქრალიყო: 30-იან წლებში, როცა ოჯახი ქუთაისიდან თბილისში გადმოსახლდა, ალბათ მაშინ მოხდა ამ ლიტერატურის შეგნებული „ლიკვიდაცია“, რასაკვირველია, საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

თუმცა ბაბუაჩემი დავით ავალიანი, ჟურნალისტი, მთარგმნელი, ქუთათური ფედერალისტების აქტიური

წევრი 1937 წლის რეპრესიებამდე გარდაცვლილა, არ იყო მოულოდნელი, ოჯახისათვის მოეკითხათ მისი „ცოდვები“.

სწორედ მის ნიგნებში აღმოვაჩინე დავითის ახლო მეგობრის სილოვან ხუნდაძის საგანგებოდ შენახული ლექსი, როგორც ჩანს, ჟურნალიდან ან წიგნიდან ამოხეული — უჩვეულო სათაურით — „ხალხის ძმობილი“. მამამ მითხრა, სილოვანი კომუნისტებს ამასხრებს და არ გამოაჩინო.

მეც დავუჯერე, თუმცა ვრცელი ლექსი დიდი ინტერესით წავიკითხე. მხოლოდ ზოგიერთ ფრაგმენტს გაგაცნობთ:

*თავი მოსწონდათ „ხალხის ძმობილით“,
ვით დემოკრატით კეთილშობილით...
დღეს იგი მინას ფეხს არ აკარებს,
მთელ დღეს დაქროლავს ავტომობილით!..
...ცვდება ბორბლები, ცვდება რეზინი, —
ინვის, უზომოთ ინვის ბენზინი, —
მაგრამ ეს მხედარს რა ენაღვლება?
ხაზინით ყველა განეახლება!
...მამ რა გეგონათ?! რევიოლუციის
მონაპოვარი სწორეთ ის არი,
რომ თავისუფლათ, როგორც სწადია
ისე ირჯება დღეს კომისარი!
...დღეს ყველა გარეთ გამოშეურდა,
ვინც ცხოვრებაში გაუზნეურდა!..
ხოლო მართალი, პატიოსანი —
ნასწავლი, ბრძენი, ქვეყნის მგოსანი —
სიღარიბეში, სიღატაკეში
ხშირად შიმშილით იხოცებიან, —
მაგრამ ხალხს მინც არ ღალატობენ,
კიდევ მისთვისვე იქნაცებიან... და ა.შ.*



სილოვან ხუნდაძე — პუბლიცისტი, პედაგოგი, ენათმეცნიერი, პოეტი, კრიტიკოსი — პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული; ამასთან — საზოგადო მოღვაწე, რომელიც ეროვნულ საკითხს პარტიულ კუთვნილებაზე მაღლა აყენებდა — თავად იყო „ხალხისათვის დაქანცული“ უანგარო, განათლებული, იმავდროულად თავმდაბალი და ჩრდილში მყოფი (განსაკუთრებით — საქართველოს ანექსიის შემდგომ) მუშაკი; მისგან კომუნისტების ძაგება მოულოდნელი არც იქნებოდა. მაგრამ საოცარი ისაა, რომ სულ ახლახანს მივაქციე ყურადღება ლექსის მისეულ დათარიღებას, — პეტიტით აწყობილს — ქ. ქუთაისი. 1920 წლის ივლისი! ჩანს, ჩვენი დღემოკლე დამოუკიდებლობის ფაშასაც იყენებ ხალხის ამგვარი, ცრუ „ძმობილები“:

*ჩემო მკითხველო, შენ არ გეგონოს
„ძმობილი“ მე თვით გამომეგონოს: —
დღეს სახელმწიფო, ხალხის სათელათ,
ამ „ძმობილებით“ საესვა მთელათ!..*

საქართველოს პირველი, სამწლიანი დამოუკიდებლობის მიმართ რომ ამბივალენტური შეფასება არსებობს (თეთრი — შავი), მოგვიანებით გაირკვა. საბჭოური ტოტალიტარიზმის ფაშს თავისუფლების ეს პერიოდი ოჯახში სამოთხედ გვესახებოდა: მამა, ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მოსწავლე, მაშინ 8-10 წლისა იქნებოდა. მან შემეყვარა საქართველოს სიმინი, ფოცხვერაშვილისეული (ბევრჯერ უმდროა), ანდა, საზოგადო მოღვაწის, მრავალმხრივ გამორჩეული მეცნიერისა და სპორტსმენის, 1918 წელს ტანმოვარჯიშეთა საზოგადოების დამაარსებლის გიორგი ნიკოლაძის „შეგარდენისტა“ მისალმება: „გუშაგობ ერს? — მააარად!“

„ერის გუშაგი“ დღესაც დიდი „დეფიციტია“, სამწუხაროდ, სილოვან ხუნდაძის ლექსსაც არ დაუკარგავს აქტუალურობა.

ერლომ ახვლედიანი, მინიმალისტური პარადოქსების ოსტატი, მეიგავე-მეზღაპრე-ფილოსოფოსი, ყოველგვარი ყალიბის „საბჭოურიდან“ ამოვარდნილი მწერალი, სცენარისტი და, უბრალოდ, შესანიშნავი პიროვნება გასული საუკუნის 90-იანი წლების ერთ ინტერვიუში წერდა: დასავლეთი ევროპისა და ამერიკის ქვეყნების კეთილდღეობას, სიმდიდრესა და წესრიგს რომ შეენატრით, რატომ არ ვფიქრობთ — რა დიდი შრომა-გარჯის, მრავალწლიანი გამოცდილების, ცოდნის და პასუხისმგებლობის ფასად დაუფლდათ ეს ყველაფერიო...

ციტატის სიზუსტეზე პასუხს ვერ ვაგებ, ერლომს ალბათ უკეთესად ენერა, როგორც სჩვეოდა — სადად, მართლად და ოდნავ დაბნეულად... თავად იყო დიდი პასუხისმგებლობით აღჭურვილი: „ვანო და ნიკო“ ჯერ ზეპირ მოთხრობებდა ყალიბდებოდა, ავტორი მას თითქოს „აქაშინიკებიანდა“ მსმენელს (მათ შორის მეც ვიყავი), მერე კი მის დაბეჭდვას არ დააღვა საშველი.

ჟურნალისტის რედაქტორებს, ამ პატარა შედეგის გამოქვეყნებას რომ უარობდნენ, ძნელი დასაჯერებელია, არ სცოდნოდათ მისი ნამდვილი ფასი. თუ არ ვცდები, მისი პირველი თარგმანი ჰოლანდიაში დაისტამბა, მოგვიანებით კი — ქართულად გამოქვეყნდა. ცალკე წიგნაკად — მისი მეგობრისა და ქართული ანდერგრაუნდის ერთ-

ერთი პიონერის, დღემდე სათანადოდ შეუსწავლელი უნიკალური მხატვრის თემო ჯაფარიძის არაჩვეულებრივად რელიევანტური, ნაივური ილუსტრაციებით გამოიცა.

რადგან სიტყვამ მოიტანა, აქვე ვიტყვი ორიოდ სიტყვას თანამედროვე „ანდერგრაუნდზე“, რომელიც, უცნაურობის, სიტყვის თავისუფლებისა და ყოველგვარი ტაბუს ახსნის პირობებში, როცა თითქმის ყველაფერი ნებადართულია, სრულიადაც აღარ არის ანდერგრაუნდი.

ერლომის შემოქმედებაც (მათ შორის კინოსცენარებიც) სწორედ რომ ანდერგრაუნდად გვესახებოდა.

„კოლო ქალაქში“, ისევე როგორც „ვანო და ნიკო“, დიდხანს ინერებოდა — აღმავრენით და წვალებით, რწმენით და ეჭვით, თვითირონიით და სათნო იუმორით, ბავშვური გაოცებითა და ზრდასრულის სიბრძნით, შეძრწვნილებითა და სიყვარულით, მორჩილებით და გაბრძობლებით...

ზურაბ კიკნაძე, მრავალმხრივი ნაყოფიერი შემოქმედი (მეცნიერი, მთარგმნელი, ესეისტი, კრიტიკოსი...), რომლის ნებისმიერ პუბლიკაციას დღემდე აღტაცებით ვკითხულობ, ავტორია ერლომის ნიგნის წინასიტყვაობისა „მე აქ ვარ!“ („კოლო ქალაქში“, 2010, გამომცემლობა „სიესტა“). მისი აზრით, გაოცების თვისება ერლომისათვის თანდაყოლილი უნდა ყოფილიყო, ეს უნარი სიცოცხლის ბოლომდეც არ განელებია. მისი გაკვირვების ექსტაზი (ამ ორ მოვლენას — განკვირება-ექსტაზის — შორის პირდაპირ კავშირს სახარების ძველი ქართული ტექსტი ამხელს), „პირველქმნილობასთან“ უნდა იყოს წილნაყარი.

სულ ახლახანს გამოქვეყნდა მანანა კვაჭანტირაძის ვრცელი და საფუძვლიანი ესეი ერლომის თხზულებაზე — „ოთახის დაღაგება შესაძლებელია“ — თანამედროვე კრიტიკის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში (ჟურნალი „კრიტიკა“, 2016, №11), დასტური იმისა, რომ ჩვენში კრიტიკა კი „არ არსებობს“ — არამედ წარმატებულიც არის. იგი ერლომს წარმოგვიდგენს არა მხოლოდ „პირველქმნილებას“, არამედ ჭეშმარიტი ნოვატორის ამპლუაში, რომელმაც გაუსწრო დროს; ყოველივე ეს, სიღრმისეული წვდომით, ტექსტის გათავისებებით, ავტორის „მეთოდის“ ნაბიჯ-ნაბიჯ წარმოჩენით, და, რასაკვირველია, ინტელექტუალური მზაობით მიიღწევა.

„ერლომი უცნაური მწერალია, ავტორი, რომელიც ჭკვიანი ბავშვივით, უცნაურობებს გვეუბნება. ეს რაღაც უსაზღვროდ ძველია და თანაც ახალი, თითქოს სახარებისეულიც. ერლომის თხრობას ახლავს ერთდროულად სინათლე და სუნთქვა, რიდე და ჭეშმარიტება (სინათლე, გარკვეულობა). მწერალი, რომელიც ხედავს ზედაპირის სიღრმეს და სიღრმის ზედაპირს, სამყაროს მტვერს და მტვერის ბუნებას, აღქმის სიმძვინვარება და მცდარობის ყოვლადობას, მცდარობის სიმშვენიერეს, ხედავს სამყაროს ხედვის ახალ პოტენციას, ხედვის განახლების შესაძლებლობებს, ამ ხედვების ამოუნწურავ მრავალფეროვნებას“ (მანანა კვაჭანტირაძე).

ერლომი პიროვნულადაც უცნაური იყო — „უცნაური მოთამაშე“. მის ნიგნებში თითქოს არაფერია ემპირიული, მაგრამ მასვე რომ დავესესხობთ — „არის და არც არის“. ლიას მონოლოგიდან: „გია ჭკვიანია და არ შეიძლება, არ იძინოს. სათვალეს რომ არ იკეთებდეს, მაშინ ჩემსავით ლამაზი თვალები ექნება. სათვალის მინები უპატარავებს თვალებს, მაგრამ სათვალეს რომ არ იკეთებდეს, ასეთი ჭკვიანი აღარ იქნება...“ — ეს ხომ ერლომის ირონიული ავტოპორტრეტია! ხოლო „ლია“ — მოხდენილი და მინიატურული ქალიშვილი (ერთ დროს ვსწავლობდით უნივერსიტეტში), ავტორზე ბევრად უმცროსი, ნამდვილად „სეზობს“, — როგორც ბავშვები ამბობენ ხოლმე და ერთ დროს ის ნამდვილად იყო ერლომის ხანმოკლე „ცალმხრივი სიყვარულის“ საგანი.

ერლომის ახლობლებს კარგად მოეხსენება, როგორი უიღბლო და ხშირად ტრაგიკული იყო მისი ცხოვრება; დღენიადგა ნუხდა — ყოველდღიური ყოფის სიმძიმით განანამები, მაგრამ არც ურყევი რწმენა შერყევიდა, არც „გაკვირვების ექსტაზი“ (ზურაბ კიკნაძე), არც სიყვარულის უნარი და არც იუმორის გრძნობა. ამ „უიღბლობის“ გამომდინარე პატარა ქვეთავის „გრაფომანი მწერალი (განზრახვა)“ უაღრესად სასაცილო დასაწყისი: „ამ ამბის წერა დავინყე თუ არა, ერთი ალიაქოთი ატყდა. თავბრუ დამეხვა. მუცელმა დამიწყო გვრემა, გამოხრული და რის ვაი-ვაგლახით ამოგლეჯილი სიბრძნის კბილი ამტიკვდა. მარცხენა ფეხი დამიბუფდა. სათვალე დამივარდა და ერთი მინა გამიტყდა. მანამდე კი მარჯვენა ხელზე რაღაცამ მიკბინა. მარცხენა ხელი მარჯვენას დაგარტყი. აქამდე არ ვიცი, მოკალი თუ არა. ქარი ამოვარდა, მინები ჩაამსხვრია და სახურავს კრამიტები აჰყარა. განვიმდა. ჩემს მაგიდას ჯერ ერთი წვეთი დაეცა. მერე მეორე. მერე მესამე... მერე თვლა ამერია. ტაშტის მოსატანად როცა ნამოვარად, მუხლი მაგიდის კუთხეს მივარტყი. ამ დროს სინათლეს ჩაქრა. სანთელი ვერ ვიპოვე (ისე ალბათ იცით, რომ სანთელი უფრო ცოცხალია, ვიდრე ნათურა). ასანთის კოლოფი სულ მთლად დასველებულიყო თავის ღერებიანად.

ნამომახურა. მერე შემაცია“...

საკუთარ თავთან მისადაგებული „გრაფომანი მწერალი“ უთუოდ გროტესკული სათაურია. ნეტავ თუ აქვს „გრაფომანს“ ანტიონიმი, ოპოზიციური წყვილი? არამგონია. ერლომისათვის „ანტიგრაფომანია“ ზედგამოჭრილი სახელი.


...იყო და არა იყო რა, იყო უცნაური და უნიჭიერესი ერლომ ახვლედიანი, რომლის „ვანო და ნიკო“ და „კოლო ქალაქში“ იყო, არის და იქნება ქართული მწერლობის ავანგარდში.



მწვანეაივნისანი სახლშიდან

ეს ამბავი 1965 თუ 1966 წელს მოხდა: „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში, სადაც იმხანად ვმსახურობდი, დარეკა რედაქტორმა იოსებ ნონეშვილმა და მითხრა სასტუმრო „თბილისთან“ ჟან პოლ სარტრი მელიოდება (ვიცოდი, ორიოდ დღით იყო ჩამოსული), მანქანას გიგზავნი, მიდი, ქალაქი დაათვალიერებინე და მეც მალე შემოვიერთდებითო.

ცხადია, უმალ და სიხარულით წავედი. სარტრისნაირი მოაზროვნენი თბილისში იშვიათად ჩამოდისო დიდნი. მე კი მთელი ერთი საათი მასთან ურთიერთობა მექნება. უცხოელ მწერალთათვის ქალაქის გაცნობის ცოტა გამოცდილება მქონდა: როცა ბატონი იოსებ სტუმრებს ქალაქს აცნობდა (იგი ზემოთხსენებული გახეთის რედაქტორიც იყო და მწერალთა კავშირის მდივანიც. როგორც მდივანი, უცხოეთის საკითხებს განაგებდა), ათასგზის მომისმენია, რას ეუბნებოდა სტუმრებს, როგორ აცნობდა თბილისს.



გოგირდის აბანოებს რომ ჩავუარეთ, ჯერ აბანოებზე ვუამბე, მერე კი ჟან პოლ სარტრს მტკვრის თავზე გადმოიდებულ აივნებზე მივუთითე და ბატონი იოსებივით ვთქვი:

— აი, იმ სახლში, მწვანე აივანი რომ აკრავს, ერთი ჩემი მეგობარი ცხოვრობს. ჩვენ ხშირად ვსხედვართ აივანზე, ვსვამთ ქართულ ღვინოს, ჩემს მეგობარს მარჯვენა ხელი აივნის მოაჯირზე უდევს, ხელში კი ანკესი უჭირავს. უცებ ხელს გადმოსწევს და მაგიდაზე ანკესზე წამოგებული ცოცხალი თევზი აფართხალდება.

ეს ამბავი ხშირად გამიგონია ბატონი იოსებისაგან და მეც ვაგიმეორე. ამ გამონაგონით ბატონი იოსები თბილისს რომანტიულ იერს მატებდა. ცხადია, მე ბატონი იოსებს მივბაძე.

მეორე დღეს, გამგზავრების წინ, მწერალთა კავშირში სარტრი ქართველ მწერლებს შეხვდა. ვილატამ, ვგონებ, ნიკა ყიასაშვილმა დაუსვა შეკითხვა: თბილისში რამ გაგაკვირვათო. იმან, რომ იმ მწვანეაივნისან სახლში მცხოვრებ კაცს ამდენი მეგობარი მწერალი ჰყავსო, ღიმილით თქვა სარტრმა...

ნოდარ დუმბაძე

ბასაფრინად არ გამოსცხადდა

მეხიკოდან ტამპიკოს მივფრინავთ. თეატრალური ფესტივალი იქ იმართება, თეატრმა იქ უნდა ითამაშოს ნოდარ დუმბაძის ნანარბოებების მიხედვით შექმნილი ჩემი პიესა „ცა რომ სარკე იყოს!“ ჩვენი მასპინძელი — აურელიო — საფესტივალო კომიტეტის წარმომადგენელი — ჩანთიდან იღებს თვითმფრინავის ბილეთების დასტას. სადაცაა თვითმფრინავში ჩასხდომა დაინყება და ყოველ ჩვენგანს გვანჯიდის ბილეთს, რომელიც ადრევე აუღიათ. ვიდრე ბილეთს მოგვანოდებდეს, გადაფურცლავს და ყოველ ჩვენგანის გვარს კითხულობს, იმის გვარს, ვისთვისაც ბილეთია ნაყიდი.

— კერესელიძე, — და ბილეთს ანოდებენ მსახიობ კერესელიძეს.
— ვაშაქიძე! — ბილეთს ანოდებენ რეჟისორ ვაშაქიძეს.
— ბათიაშვილი! — ახლა მე მანვდიან ბილეთს.
— დუმბაძე!
დუმბილი. ბილეთს არავინ იღებს. ვერც

გურამ ბათიაშვილი

სახეები და სიტუაციები

მივხვდით, თუ რატომ დაიძახეს ეს გვარი. — დუმბაძე!

კვლავ დუმბილი. აურელიო ბილეთს ჩააცქერდა, ყურადღებით წაიკითხა: ყველაფერი რიგზეა. ეს ინტონაციაზეც დაეცყო. სპექტაკლისათვის გამოცემული ბუკლეტი გადაშალა, ჩააცქერდა, ამოიკითხა: — დუმბაძე ნოდარი.

დუმბილი ახლა უფრო მნიშვნელოვანი გახდა, გულისმომწყვეელი. ფესტივალის დირექციას თვითმფრინავის სამგზავრო ბილეთები იმათთვის აუღია, ვისი გვარიც პროგრამასა და აფიშაზე იყო მოხსენიებული. ცხადია, ნოდარ დუმბაძე თავში გახლდათ აღნიშნული, ამიტომ მისთვისაც შეუძენიათ მეხიკოდან ტამპიკოში გასაფრენი ბილეთი ისევე, როგორც სპექტაკლის ავტორებისა და ყველა მონაწილისთვის.

ასე რომ, დღეს, 1988 წლის 1 ოქტომბერს გაუქმდა ერთი ბილეთი რეისზე, რომელიც მეხიკოდან ტამპიკოში მიფრინავდა, დუმბაძე ჩასხდომისას არ გამოცხადდა — იგი ოთხი წლის წინათ გარდაიცვალა. აურელიომ კი ოქმი დაწერა, ნოდარ დუმბაძე არ გამოცხადდაო.

შაილოკის სათქმელი?

მაოცებს შექსპირის ერთი ფრაზა — რა ხანია, ვფიქრობ და ვერ მივხვდარვარ (თუმცა, რამდენი რამ არის ქვეყნად ისეთი, მე რომ ვერ მივხვდები, ვერ გავიგებ). „ვენეციელ ვაჭარში“ პორცია ეუბნება ნერისას, თავის მოახლეს:

„უნდა გამოვტყდე, ნერისა, ჩემი პატარა სხეული მოქანცა ამ დიდმა ქვეყანამ“.

გასაოცარია, იმიტომ რომ ამ რეპლიკას პორცია წარმოსთქვამს. ვინ არის პორცია? ახალგაზრდა, ლამაზი ქალი. მეგვიდრე მდიდარი ოჯახისა, ქალწული, რომელიც ბევრი ჭაბუკის ოცნების საგანი გამხდარა; მისი გულის მონადირებას ლამობენ სხვადასხვა ქვეყნის რაინდნი, უფლისწულნი. ახალგაზრდაა, შექსპირისეული ქალების ასაკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შესაძლოა, ჯულიეტაზე ხნოვანი არც იყოს და თუ არის, ორი-სამი წლით მეტისაც იყოს, 17-18 წელზე ასაკოვანი ხომ არ იქნება?! იტალიის შიშის ქვეშ მომნიშვნეული გასათხოვარი ქალი. და აი, უცებ ასეთი უცნაური ფრაზა: „ჩემი პატარა სხეული მოქანცა ამ დიდმა ქვეყანამ“. რატომ უნდა მოქანცა მისი „პატარა სხეული ამ დიდ ქვეყანას“?

ახლა ამ პიესის მეორე — მთავარი — პერსონაჟი ვნახოთ. ვინ არის შაილოკი? მამა პორციას ტოლი ქალწულისა — ჯესიკასი, რომელსაც მდიდარ ებრაელს კი უწოდებს შექსპირი, მაგრამ ცხოვრებისათვის ორომტრიალი გამოუვლია. მისი ბიოგრაფია კარგად იკითხება ანტონიოსთან საუბრისას:

„ჩემო ბატონო ანტონიო, ძალიან ხშირად გაგილანძლივართ რიალტოზე, ვახშს რად იღებო, მეც მხრებს ვიჩეჩდი, მოთმინებით ვიტანდი მუდამ. მოთმინება ხომ ნიშანია ჩვენი მოდგმისა! აბა, შაილოკო, ფული გვინდა. ამას თქვენ ამბობთ, თქვენ, ვინც წვერებში მაფურთხებდით, ვინც წიხლსა მკრავდით, თითქოსდა, ძალი გამოგვეგდოთ თქვენი ეზოდან.“

აჰა, არც არის აუცილებელი შაილოკის საყოველთაოდ ცნობილი მონოლოგის („ანკესზე გამომადგება თევზის მოსატყუებლად“) მოსმენა ან ნაკითხვა. ამ ორ სტროფაშიც კარგად ჩანს, ვინ არის შაილოკი, ცხოვრების რა გზა გაუვლია და ამიტომაც მგონია, პორციას ფრაზა: „ჩემი პატარა სხეული მოქანცა ამ დიდმა ქვეყანამ“, სულაც არ არის პორციასი — მდიდარი კაცის მეგვიდრის, განებივრებული ლამაზმანის სათქმელი რეპლიკა. ეს შაილოკის რეპლიკაა. მას აქვს უფლება, ასე და-


იჩივლოს — მისი გარემომცველი სამყარო სწორედ იმ დღეში აგდებს, რომ ეს უნდა თქვას.

ტიპოგრაფიაში ცნობილია: „გაფრენილი სტრიქონი“. გაფრენილად ითვლება სტრიქონი, როცა სტამბაში ტექსტის დაკაბადონებისას ესა თუ ის სტრიქონი, შემთხვევით თუ დამკაბადონების დაუდევრობის გამო, მოულოდნელად ადგილს იცვლის და იქ აღმოჩნდება, სადაც არ უნდა იყოს. კორექტორები ამ გაფრენილ სტრიქონს ხშირად ვერც ამჩნევენ. „ჩემი პატარა სხეული“ გაფრენილი სტრიქონი ხომ არ არის?! და გადადის ასე გამოცემიდან გამოცემაში.

პიროვნება და ისტორია

თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტის სხდომა კარგა ხნის დაწყებული იყო. უკვე საღამოედებოდა. სამსახურიდან წასვლის დრო ახლოვდებოდა. ის იყო, გავემზადე კიდევ წასასვლელად, რედაქციის კარი აკაკი ბაქრაძემ შემოაღო.

იმ წლებში — 1978 წლის 13 აპრილი იდგა — აკაკი ბაქრაძე, როგორც რუსთაველის თეატრის დირექტორი, თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტის წევრი იყო. პრეზიდენტში, ბატონი დოდო ალექსიძის მეთაურობით, თვეში ერთხელ, ზოგჯერ ორჯერაც კი იკრიბებოდა... მსჯელობდნენ ქართული თეატრის იმდროინდელ მდგომარეობაზე.



— პრეზიდენტის სხდომა დამთავრდა? — შევეგებე ბატონ აკაკის.

პასუხი არც გამცა, უხმოდ გაემართა სკამისაკენ. მივხვდი, რაღაც ვერ იყო რიგზე — ცუდად გამოიყურებოდა.

— რა იყო, კაკო, პრეზიდენტში ვინმემ განწყენა? — პრეზიდენტის სხდომაზე ზოგჯერ ცხარე კამათი იმართებოდა.

— არა, — თქვა და უღონოდ დაეშვა სკამზე, — ცუდადაა საქმე, ძალიან ცუდად! ქუჩებში ტანკები გამოჩნდნენ, ტანკები გამოიყვანეს.

მივხვდი, რაც ანუხებდა, რატომ იყო ასე შემოფოტებული, შემინებულიც კი. საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნების შემდეგ საქართველოში დიდი მღელვარება დაიწყო. ახალი კონსტიტუცია ისე ცვლიდა ქართული ენის სტატუსს, რომ ივერთ ქვეყანა მეფის რუსეთის ხანას უბრუნდებოდა — სახელმწიფოს ოფიციალური ენა რუსული ხდებოდა. ყველა სახელმწიფო დაწესებულება რუსულ ენაზე იმუშავებდა, სკოლებში სწავლება რუსულ ენაზე იქნებოდა. ერთი სიტყვით, სულ რაღაც 20-30 წლის შემდეგ, საქართველო აღარ იქნებოდა, ხოლო სვირში, აბაშაში, ყვარელსა და მცხეთაში მეზობელს ქართულ ენაზე თუ გადასძახებდნენ, ამის გამო ალბათ არ დაგატუსაღებდნენ, ეს დანაშაულად არ ჩაგეთვლებოდა.

70-იანი წლების ქართულ მწერლობაში დიდი ეროვნული სულისკვება იყო. ცხადია, მთელ ქართულ მწერლობას არ ვგულისხმობ — მის ყველაზე საინტერესო ნაწილს. ჩემთვის კი სწორედ ეს მცირე ნაწი-

ილი იყო ქართული მწერლობა.

დაუვინყარი გამოდგა 12 აპრილის მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაციის დახურული კრება. სწორედ ამ კრებაზე დადასტურდა ქართული მწერლობის ეროვნული პოზიცია. ახლაც ყურებში ჩამესმის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის — გრიგოლ აბაშიძის — სასონარკვეთილი შეძახილი: „რას შერეებით, ხალხო, ხომ იცით, რა დღეში ჩავარდება საქართველო?!“ მას ეს აკაკი ბაქრაძის, ნოდარ ნულოვისკირის, იზა ორჯონიკიძის გამოსვლის შემდეგ აღმოხდა. მწარე გამოცდილება ამფოთებდა.

ეს კრება გუშინ იყო. დღეს კი კაკო ძალიან შემოფოტებული, შემინებულიც კი, აი, აგერ ზის. აქვს შემოფოტების მიზეზი: სწორედ მისმა გამოსვლებმა დაუდო სათავე ქართველი ხალხის მღელვარებას. სხვა ორ-სამ მწერალთან ერთად სწორედ ის გახლდათ წარმომქმნელ-დამბადებელი იმ საპროტესტო განწყობილებისა, რომელიც თბილისის უნივერსიტეტში დაიწყო და რეგიონებშიც დღითიდღე ძლიერდებოდა. ახლა კი ტანკებით.

და თუ ტყვია გავარდებოდა, თუ ქართველი კაცის სისხლი დაიღვრებოდა, თავად ჩათვლიდა თავს ბრალეულად. კაკო კი ამას ვერ აიტანდა, რადგან ჰქონდა პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა. ჩემი ყოველი ცდა, მისი შიში გამექარწყლებინა („ამას ვერ გაბედავენ“, „ხალხს როგორ ესვრიან!“), ამაო გამოდგა.

ხვალ კი...

14 აპრილი იყო აღმაფრენის, დიდი გამარჯვების დღე. ქართველი ერი დაირაზმა, აბობოქრდა. იმართებოდა დემონსტრაციები, მიტინგები, რუსთაველზე ხალხს ბოლო არ უჩანდა. ვიდრე ქრუსთაველის თეატრის წინ და ვფიქრობდი: ალბათ ასეთი იყო საქართველო მამინ, როცა იმარჯვებდა. ამბობენ, ქართველი ხალხი არ არის ერთიანი, დაქსასულიაო. ქართველი ხალხიც ისეთია, როგორც ყველა ხალხი — ცხოვრობს თავისი ცხოვრებით. ხალხს აერთიანებს იდეა. როცა ხალხმა მიიღო იდეა — გადავარჩინოთ ჩვენი ენა, ვიხსნათ ქართული ენა — იგი იყო ერთიანი, ძლიერი, შეუვალი.

ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს პიროვნების როლზე ისტორიაში: კომუნისტური პარტიის ცეკას პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ კონსტიტუციის პროექტზე სამსჯელოდ (?) ცეკაში ინტელიგენცია შეკრიბა. პროექტი, რასაკვირველია, მოინონეს, შეაქეს, მაგრამ...

მაგრამ წამოდგა აკაკი ბაქრაძე და... მერე წამოდგა ნოდარ ნულოვისკირი და...

საქმე სხვაგვარად დატრიალდა. აკაკი ბაქრაძემ აღმართა წინააღმდეგობის კედელი. ამ კედელთან ბევრი ქართველი დადგა, უწინარესი ნოდარ ნულოვისკირი იყო. პიროვნებამ — აკაკი ბაქრაძემ — შეცვალა ხვალისდელი დღის მდინარება.

დავწერე ის, რაც იყო, როგორც იყო, მაგრამ ერთი ფიქრი არ მასვენებს: შევარდნაძე ხომ კარგად იცნობდა აკაკი ბაქრაძეს, ხშირად ხვდებოდა, კამათობდნენ. იცნობდა ნოდარ ნულოვისკირსაც. კარგად იცოდა მათი სულისკვეთება. ხომ შეეძლო, ინტელიგენციის თათბირი არ გაემართა, მაგრამ თუ მაინცადამაინც უნდა გაემართა, ხომ შეეძლო, აკაკი ბაქრაძე და ნოდარ ნულოვისკირი თათბირზე არ მიენვია?

და თუ მაინც მოინვია, სიტყვა არ მიეცა? რატომ მოინვია? სიტყვა რაღად მისცა?..

ნოდარ დუმბაძე

არ ვიცი, რამდენად მოვახერხებ ამას, ძვირფასო მკითხველო, მაგრამ მაინც მინდა, გესაუბროთ იმაზე, თუ რა ძალა აქვს ნამდვილი მწერლის სიტყვას, რა ძალა აქვს ჭეშმარიტ ლიტერატურას, თუ თეატრის მიერ სწორად არის გაგებული და წარმოდგენილი:

კანადის არცთუ პატარა ქალაქში — ჰალიფაქსში — ხუთშაბათს ჩავედით, მონრეალიდან მანქანით ორიოდ საათის სავალი იყო. აქ სიღნაღის ახალგაზრდულ თეატრს მოყვარულთა თეატრების საერთაშორისო ფესტივალზე ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზესა“ და რამდენიმე მითხრო-



ბის მიხედვით ჩემს მიერ დაწერილი პიესა „ცა რომ სარკე იყო“ უნდა ეთამაშა. თუ ერთ რეპეტიციას არ ჩავთვლით, უსაქმოდ ვიყავით, ქალაქში დაესვირნობდით, ვეცნობოდით — მასპინძლები ბარებში, დისკოთეკებში, რესტორნებში გვეპატიჟებდნენ. ფესტივალის გახსნის პატივი ჩვენ გვხვდა წილად, ეს ძალიან სასიამოვნო იყო, მაგრამ ქალაქის ყოფას რომ გავეცანით, შიში დაგვეფუფლა: სპექტაკლი მეორე მსოფლიო ომისდროინდელი გურიის ერთი პატარა სოფლის ტკივილიან ყოფაზე გვიამბობდა, იმაზე, თუ როგორ ცდილობს ეს პატარა ქართული სოფელი ომის მწარე დღეებში მხნეობა შეინარჩუნოს. ამ სოფლის მკვიდრნი ცრემლსაც ღვრიან, მღერავენ.

ჰალიფაქისნაირი ქალაქის მოსახლეობას, ამ დიდებული ბარების, რესტორნების ხშირ სტუმარ ახალგაზრდობას დაინტერესებს კი პატარა ქართული ქალაქის — სილნაღის — თეატრის მიერ გათამაშებული გურიის ერთი სოფლის ყოფა? ან სად არის ეს გურია, ან რა უცნაურად მღერიან, უჭირთ, მაგრამ ერთმანეთს ლამის სიმღერით ესაუბრებიან.

ერთი სიტყვით, ჰალიფაქის ცხოვრების წესი, ყოველდღიურობა თითქმის გამოირცხვად ნაწარმოებში წარმოსახული ყოფისადმი ინტერესს. კონტრასტი იმდენად დიდი იყო, რომ რეჟისორ მურად ვაშაქიძეს ისიც კი ვუთხარი, იქნებ, სულაც არ ვითამაშოთ სპექტაკლი, რაიმე მოვიმიზეზოთ, ან მსახიობის ავადმყოფობა, ან... არ შევრცხვეთ-მეთქი. მურადმა უიმედოდ გააქნია თავი: სპექტაკლი უსათუოდ უნდა ვითამაშოთ.

სპექტაკლის დაწყების წინ შიში უფრო გამიათქვცდა. მოდიოდა ყოველმხრივ კმაყოფილი, უზრუნველყოფილი მსახიობები. მოვიდა ფესტივალის დირექტორი, მთელს კანადაში ცნობილი მსახიობი ევა მორო. მასთან ერთად მოვიდა ინგლისის პრინცესა, ლედი დაიანა. ეს ორი უმშვენიერესი ქალი — ორივეს მომწვანო ფეტრის ქუდი ეხურა — თეატრ „ნეპტუნის“ ქვემოთ გადაშლილ ატლანტის ოკეანეში ჩამავალ მზეს არ უდებდა ტოლს. მზე დაღლილი იყო, მოქანცული და ზანტად ეშვებოდა ოკეანეში ესენი კი — ახალგაზრდები, საამო სახილველნი.

ჩემს გვერდით ქალბატონი ირინა გოცირიძე დაჯდა, მის გვერდით ევა მორო, მის გვერდით კი ლედი დაიანა. ევა და დაიანა თავთავიანთი სკამებისაკენ რომ მიდიოდნენ, წამოვდექი, რომ რიგებს შორის იოლად გაველოთ. გაიარეს. დასხდნენ... ლიკა თოდუამ მსახიობებს დაწვრილებით უამბო წოდარ დუმბაძის თაობაზე, იმაზე, თუ სად ხდება მოქმედება, სად არის ეს პატარა სოფელი, რა ურთიერთობაა ადამიანებს შორის.

დაიწყო სპექტაკლი და ჩემი პულსაც იცოდა უფრო ინტენსიური გახდა.

რა საერთოა აქვს ამ დარბაზს იმასთან, რაც სცენაზე ხდება? რასაკვირველია, არაფერი. ამიტომ სხედან ასე გულგრილნი, მოშვებულნი.

მაგრამ, სპექტაკლის დაწყებიდან ათიოდ წუთის შემდეგ ვიგრძენი, რომ დარბაზი სუნთქავს, ამოიხრებს, რაღაცას შესძახებს — მსახიობები რეაგირებს იმაზე, რაც სცენაზე ხდება. მალე მოკრძალებული ტაშიც გაისმა, რამდენიმე წუთის შემდეგ უფრო ძლიერი ტაში იყო... დარბაზი სწორედ იმ ეპიზოდებზე იცინის,

რომელზეც ქართველი მსახიობები იცინებდა.

მიდის სპექტაკლი... არა-რა შეგრძნება იმისა, რომ მსახიობები სხვა ენაზე თამაშობენ, დარბაზი ჩვეულებრივად ეგებება გურიის ერთი სოფლის ყოფას და როცა ადამიანების მწარე ხვედრი ესოდენ მიძიმებდა, მეზობლებს გავხედე — ევა მორო დაძაბული შესცქერის სცენას, ლედი დაიანას ცრემლებს მის სახეზე საღებავი ჩამოურეცხავს. დარწმუნებული ვარ, არ სწადია, სულაც არ უნდა ჰალიფაქის მსახიობებმა მისი სახე ასე ცრემლით და წყლადქცეული საღებავით სახეცვლილი იხილოს — ნოდარ დუმბაძის პერსონაჟთა ბედს ისე აუღელვებია, გულს იმდენი სევდა შემოსწოლია, არც ალღევებს ჩამოდენილი გადაშლილი საღებავი...

მერე კი ყველაფერი ჩინებულად იყო — ამ აცრემლებულ, გულს დარდმემონოლილ ხალხს არ დაუმაღავს თავისი სიხარული ჭეშმარიტ ლიტერატურასთან, თეატრთან შეხვედრის გამო.

სპექტაკლის შემდეგ მსახიობები ტაშს მხურვალედ რომ უკრავდა, ლედი დაიანა ცხვირსახოცით სახეზე ჩამოდენილ საღებავს ინმენდა.

ჯამალ ქარჩხაძე

დიდი თოვლი მოვიდა — ისე ლამაზად ბარდნის, სულ ქუჩაში ყოფნა მინდა, ეზო-ეზო, ქუჩა-ქუჩა სიარული მნადია. უფრო კი გაუკვალავი თოვლისაკენ მიმიწევს გული.

ირგვლივ სამყაროს შექმნის ხანისეული სიჩუმეა, უფრო სწორად, დუმილი. თოვლი ცვივა და ცვივა. გარემო სრულიად სხვაა — გამოცვლილი, გაუცხოებული. ნაცნობი ბუჩქი, ხე სულ სხვანაირია — ხე, ბუჩქი კი არა, ამ თეთრადქმნილი სამყაროს ის დეტალია, გარემოს საამო სახილველს რომ ხდის.



მერე თოვა გადაიღებს და მზეც გამობრძანდება. თოვლი წყლად იქცევა, მისი არსებობა ისევე მთავრდება, როგორც ყველაფრისა ამქვეყნად...

აჰა, მზის ღიმილი ყინულის ბორცვად ქცეულ თოვლს წყლად აქცევს. დღითიდღე იღვავა ყინულის ბორცვი. გაილია, დადნა, წყლად იქცა. აი, იქ კედელთან კი ისევე დევს. ყინული, როგორც ერთი კვირის, ათი დღის წინათ იდო. ამ ადგილს მზე არ უღიმის — კედლის ჩრდილში მოქცეული თოვლი არ ღებება.

ჩრდილში მოქცეული თოვლი ყინულად იქცა.

ჩრდილში მოქცეული ადამიანი. ჩრდილში მოქცეულ ადამიანს ვერავინ უყურებს. ამჩნევენ, მაგრამ ვერ ხედავენ. აი, ის კაცი კი, რომელიც მზეზე გამოვიდა, წარჩინებულთა, ამა სოფლის ძლიერთა თვალწინ ტრიალებს, თავის აზრებს ამზიურებს, ამიტომ ყველა იცნობს, ათვალეობენ, თავს იქნევენ, რა კარგიაო, ამბობენ. ცოტა, სულ ცოტა ადამიანი თავს იკავებს, არაფერს ამბობს.

აი, იმას კი, ჩრდილში რომ დგას... მისი ათასგზის უმჯობესი ნახელავი ცოტამ იცის. დღეს სხვათა ბამბა ჩხრიალებს, ამისი კი... ეს ჩრდილში დგას. რამდენი ასეთი ჩრდილში მდგარი დიდებული მწერალი გვყავდა, მაგრამ სხვანი ხმანობდნენ, სხვები მოძღვრავდნენ ერს, რადგან კარგად ფლობდნენ თავის წარმოჩენის ხელოვნებას.

არადა, დიდებული მწერალი იყო ჯემალ ქარჩხაძე, მაგრამ მწერალი იყო და მეტი არაფერი. სადუქუტატო სიების შემდგენელთან არავის გზავნიდა, კარგი მწერალი ვარ და დუქუტატი უნდა ვიყო. არც იმას მოითხოვდა, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში შემეყვანეთ, მდივანი გამხადეთო და სხვა ათასი.

ჩრდილში იდგა, მზე არ ათობოდა და ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან.

მის დროში, მის ირგვლივ კი მზის ქვეშ მოქცეული იბრიქებოდნენ.

ეს იმათაც კარგად უწყოდნენ, ვისი ბამბაც ჩხრიალებდა, ვინც ბრძენკაცის ინტონაციით ელაპარაკებოდა ხალხს. იცოდნენ, თუმცა არ ახსოვდათ ან ავიწყებოდათ. თუ ძალიან ჩააცვივდებოდი, თუ ჯიუტად არ დაიშლიდი შენსას, დაგეთანხმებოდნენ:

— კი, კარგი მწერალია, მაგრამ, იცი, რას გეტყვი?!

ამ „იცი, რას გეტყვი?“ ავტორები იმდენად მრავალმნიშვნელოვან მხერას მოგაპყრობდნენ, თავს სპილოდ გაგრძობინებდნენ. „ეს როგორ არ იცი, სპილო ხარ?“

— რა, რა უნდა ვიცოდე?!
ეჰ! ჯემალი კი იყო ჩუმად, უხმაუროდ.

„უსინდისობა“

ფრიდონ ხალვაში თავის წიგნში „ომრი“ გულისტკივლით იგონებს, თუ როგორ მოთქვამდა იოსებ ნონეშვილი რუსთაველის პრემიის მიმინიჭებულ კომიტეტში კოლეგებმა რომ „გააშავეს“ — ხმა არ მისცეს იოსებ ნონეშვილს და მხარი დაუჭირეს ფრიდონ ხალვაშს.

ფრიდონ ხალვაში ზნეობრივი კაცია და გულწრფელად ფიქრობდა — იოსებ ნონეშვილი პოპულარული, ხალხის საყვარელი პოეტია, მას უფრო დაუჭერენ მხარს, ვიდრე — მეო. ეს იმდენად სჯეროდა, კანდიდატურის მოხსნასაც აპირებდა.

— არ ჰქონა ეგ საქმე, მხატვრულ ლიტერატურაში ორი პრემია გვაქვს. შესაძლებელია, ორივემ მიიღოთ პრემია, შენც და იოსებმაც, — გონივრულად ურჩევია გრიგოლ აბაშიძეს — პრემიების მიმინიჭებული კომიტეტის თავმჯდომარეს.

კენჭისყრისას მხარი დაუჭირეს ფრიდონ ხალვაშს — შესანიშნავ პიროვნებას, თავისი კუთხის — აჭარის — ღირსეულ შვილს.

მხარი არ დაუჭირეს შესანიშნავ პოეტსა და პიროვნებას, ხალხის საყვარელ შემოქმედს — იოსებ ნონეშვილს.

ერთი პრემია გაუქმდა — არავის მიანიჭეს.

კონიუნქტურით გატაცებული ხალხი ამ ცუდ საქმეს ასე ამართლებდა — ჩვენ აჭარას დაუჭირეთ მხარიო.

მეორე დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე ერთ პრივატულ საუბარში, ასე გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ამ ფაქტისადმი (ესეც ფრიდონ ხალვაშის წიგნში ამოვიკითხე):

— უსინდისობა (მწერლებმა) იოსები წაშალეს.

ფრიდონ ხალვაში კი დასძინა: „სიმაართლეა“.



ფრიდონიც მიიჩნევს, რომ უსინდისო მწერლებმა იოსები წაშალეს.

აქ არის ერთი ზნეობრივი ფაქტორი: ფრიდონისადმი მხარდაჭერა სულაც არ გულისხმობდა იოსების წაშლის აუცილებლობას — პრემია ხომ ორი იყო. მაგრამ უსინდისობისათვის მთავარი იყო არა ის, რომ ფრიდონ ხალვაშს მიეღო პრემია, არამედ ის, რომ იოსებს არ მიეღო — იოსების პოპულარობა, ხალხის საყვარელი ყელში ჰქონდათ გაჩხერილი. რასაკვირველია, პოეტის პოპულარობა კიდევ არ არის შემოქმედებითი რაობის საზომი, მაგრამ მე და არა მხოლოდ მე, შემიძლია მოვიშვე-

ლიო იოსებ ნონეშვილის თუნდაც ათი ლექსი, რომლის ბადალი იმ წამსვე უმეტესობას არ დაუნერია.

ფრიდონ ხალვაში კი ჭეშმარიტებას წინ აყენებს და წერს: „სიმაართლეა“. მაგრამ: „იოსებმა თვალი მომკრა. თავი წამოსწია. ყველაფერს სძლია და მოგილოცავო, გამაგონა“.

ეს უკვე ზნეობრივი პიროვნების უსცხვია. იოსებ ნონეშვილს კი ძალუდდა ზნეობრივი ამალღება, ქართველი ხალხის მისადმი სიყვარულიც აქ იღებდა სათავეს. მაგრამ კოლეგებმა არ აპატიეს კეთილსინდისიერება, ნიჭიერება, ხალხის სიყვარული.

და ეს უსინდისობები, რომლებიც იოსებს დანადქეული კალმით მიადგნენ (იმ დღიდან დიდხანს აღარ უცოცხლია), შევარდნაძეს კიდევ დიდხანს ჰყავდა იმ თანამდებობებზე, რომელიც რუსთაველის პრემიების კომიტეტის წევრობასაც გულისხმობდა. ისინი ქალაქში მედიდურად დაბიჯებდნენ. მათ წამდვილ სახეს პოზა ფარავდა. საქართველოში პოზას გასაგავალი ყოველთვის ჰქონდა. დღესაც აქვს.

დანარილის ნაშლის ნიჭი

საბჭოთა საქართველოში ყოველ პირველ მაისს და შვიდ ნოემბერს მოსახლეობის დიდი დემონსტრაცია იმართებოდა. ყოველი სერიოზული ორგანიზაცია, აღლუმზე აუცილებლად უნდა გამოსულიყო და ტრიბუნაზე მდგარ პარტიისა და მთავრობის ლიდერებს უნდა მისალმებოდა. მწერალთა კავშირი ერთობ სერიოზულ შემოქმედებით ორგანიზაციად მიიჩნეოდა და თუ სიარული შეეძლოთ, ქართველი მწერლები აღლუმს არ აკლდებოდნენ. ტრიბუნას ღიმილით ჩაუვლიდნენ და მასზე მდგარ პარტიისა და მთავრობის ლიდერებს ხელის აწევით ესალმებოდნენ.

დროთა განმავლობაში დაკრძმუნდი, რომ ქართველი მწერლები დემონსტრაციებზე პარტიული ლოზუნგების მხარდასაჭერად და „ვაშა-ურას“ საძახებლად კი არ მოდიოდნენ, ერთმანეთთან ურთიერთობას უფრო ესწრაფოდნენ. ტრიბუნასთან ჩავლის მომლოდინენი, ისევე მწერლობაზე, „ცისკარსა“ თუ „მნათობში“ დაბეჭდილ ახალ ნაწარმოებზე საუბრობდნენ.

...ტრიბუნასთან ჩავიარეთ და გზა განვაგრძეთ — ცხადია, ფეხით, რადგან გმირთა მოედანზე ტრანსპორტი არ მოძრაობდა — არჩილ სულაკაური, თამაზ ჭილაძე და თქვენი მონა-მორჩილი. სამივენი საბურთალოს ვცხოვრობდით. ცხადია, ისევე ლიტერატურაზე საუბრით მივუყვებოდით გზას. იმ წლებში ძალიან გახმაურდა ყირგიზი დრამატურგის მარ ბაიჯიევის პიესა „დეული“. ეს მელოდრამა ახალგაზრდა კაცზე, კოსმოსისაკენ სწრაფვამ სისხლის გათვრება რომ დამართა, საბჭოთა კავშირის ლამის ყველა თეატრში დაიდგა. ქართულად „დეული“ მე ვთარგმნე და ჩვენთანაც ბევრი თეატრი მიეტანა. სწორედ ამ პიესის ღირსება-ნაკლოვანებაზე საუბრისას თქვა არჩილ სულაკაურმა ფრაზა, რომელიც მწერლობის სახელმძღვანელოში შესატანად მიმაჩნია:

— ქართველ მწერლობას ერთი დიდი ნაკლი აქვს — დანარილის ნაშლა ეზარება.

რას ნიშნავს, ნაშალი ის, რაც უკვე დანერე: ფრაზა, სტრიქონი, აბზაცი, რომლითაც ჩამოაყალიბე პერსონაჟის სახე, პორტრეტი, გამოხატე მისი ბუნება, ხასიათი, თუ ბიოგრაფიის ესა თუ ის დეტალი?

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რასაც ნიშნავს — აზრის დახვეწას, სრულყოფას, სიტუაციის, განწყობის, ხასიათის უკეთ გადმოცემისაკენ სწრაფვას. როცა შლი და ხელახლა წერ, უმეტესწილად, უკეთეს ვარიანტს ქმნი, აუმჯობესებს.

ავიღოთ თანამედროვე ქართული პროზის, გნებავთ პოეზიის ნიმუშები — ქართველი პოეტები, პროზაიკოსები, დრამატურგები მათ მიერვე 10-15 წლის წინათ დაწერილი რამდენს წაშლიდნენ, რამდენ დეტალზე, იქნებ, ეპიზოდზეც კი იტყოდნენ უარს?

მაგრამ დავით კლდიაშვილი აგერ, ლამის საუკუნის შემდეგ რომ წამოაყენო, ბევრს წაშლიდა? გენიოსის თავში ვის ჩაუხედნია, მე რომ ჩამეხედნა, თუმცა, მე რომ მის პროზას, დრამატურგიას ვკითხულობ, კიდევ მოუნადინებინა, ვერცერთ აბზაცს, ვერცერთ დიალოგს წაშლიდა.



მაკითხვარი

ნინო კასრაძე

ცოტა ხნის წინ თელავში, ერეკლეს მოედანზე, თეატრთან დიდი ბანერი გამოფინეს მსახიობ ნინო კასრაძის გამოსახულებით და წარწერით: „საუბრები ესმა ონიანზე“.

პროექტზე, ესმა ონიანის პოეზიაზე, საყვარელ ავტორებზე, ნიგნებზე, დრამატურგიაზე, და ისევ ესმაზე ნინო კასრაძე გვიყვება.

— „საუბრები ესმა ონიანზე“ დაიწყო თბილისიდან, „შაქრო ბაბუაში“ შეხვედით მკითხველს და შესავალშივე ილაპარაკეთ იმაზე, რომ მხოლოდ საზოგადოების ვინაობა იცნობს მას. ზოგადად, ასეთ ავტორებს ცოტა მკითხველი ჰყავს.

— როგორ ავტორებს? ვის შეადარებდით ესმას? რატომ ვამბობთ, რომ ასეთს არ ჰყავს ბევრი მკითხველი? მაგალითად, მარკესს ყველა იცნობს. იმის თქმა მინდა, რომ ნურავის ნურავის შევადარებთ, პოეტებსაც ნუ დავყოფთ დიდებად და პატარებად. ესმა პოეტია, ვიტყვოდი — დიდი პოეტი, ის თვითონ ამტკიცებს ამას. კითხულობ, კითხულობ და აღტაცებას ვერ მალავს. ცოტა ხნის წინ „დიდოსტატიის მარჯვენა“ გადავიკითხე, რადიოში ჩანერა მქონდა და მათ შორის კავშირი დავიჭირე. რაც ყველაზე მეტად მომწონს გამსახურდიში, რის გამოც მიმაჩნია, რომ ასეთი რანგის პროზა იშვიათია — ეს მისეული ბუნების აღწერაა, საოცარი მეტაფორებით, დიდი სიღრმით. ამ მხრივ, ესმა თითქოს მისი მემკვიდრეც არის. კრიტიკოსი არ ვარ, ჩემთვის ძალიან უხერხულია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ესმას შედარებები, სიტყვათა კავშირი, ნყოფა ზუსტად აღწევს მიზანს. მას კარგ დრამატურგსაც შევადარებდი. როგორც მსახიობმა, ვიცი, როგორ აღწევს ტექსტი მსმენელამდე, მაყურებლის გულამდე, პიესაშიც მთავარია ის სიტყვათა ნყოფა, ის კავშირი, რაც იმოქმედებს მაყურებელზე, ჩვენ ხომ ამის ძიებაში ვართ. და პოეზიაც ეს არის. ამ თვალსაზრისით, როგორც გითხარით, ესმა დიდ დრამატურგად, დიდ რეჟისორად წარმომიდგება, ის ზუსტად აწყობს პოეტურ მიზანს ცენას, მისი ტექსტი ისეთი მოქნილი, ძლიერი და იმდენად ზუსტია, რომ პირდაპირ მოქმედებს სულის სიმბოზე. კიდევ, რის გამოც ესმას ვეთაყვანები, მისი ირიბი თქმება, ტესტო ჩაგდებული კენჭივით რომ წარმოშობს პატარა ემოციურ ტალღებს და სულ უფრო დიდ წრეებად იშლება, შენი გრძობების, შენი სულის სულ უფრო ფართო შრეებს მოიცავს და მერე, უცებ, შეიძლება ისეთ ადგილას ამოტივტივდეს, გაგახსენოს თავი, რომ გაოცებული დარჩები.

— როგორ დაიწყო პროექტი და რა დაედო საფუძვლად ესმაზე „საუბრებს“?

— ჩვენი ოჯახი ესმასთან და მის დასთან მეგობრობდა, ბავშვობიდან მესმოდა მასზე, მაგრამ არ ვიცნობდი მის შემოქმედებას. რამდენიმე წლის წინ, ესმას დამ, ირინა ონიანმა მთხოვა, ერთ-ერთი პროექტისთვის წამეკითხა მისი რამდენიმე ლექსი. მაშინ იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ ესმას თაყვანისმცემელი გახდი და მას მერე, სულ ვკითხულობ. ჩვენ ხშირად ვმართავთ მის სახელთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. ერთ-ერთ ბოლო საღამოზე გავიცანი ზვიად კვარაცხელია — „ინტელექტისა“ და

„არტანუჯის“ მთავარი რედაქტორი. ესმას პოეზიაზე და მისი მკითხველის სიმცირეზე ვისაუბრეთ, ისიც ვუთხარი, დიდი ხანია, მინდა, სტუდენტებს ველაპარაკო ესმაზე-მეთქი. ჩვენი ინტერესები დაემთხვა და ეს დაედო კიდეც საფუძვლად თანამშრომლობას და ამ პროექტს. ვფიქრობდი, ჯერ რეგიონები მოგვევლო, თუმცა საბოლოოდ, პროექტი მაინც თბილისიდან დაიწყო, „შაქრო ბაბუაში“ უამრავი ხალხი მოვიდა. შემდეგ ვიყავით ხაშურში, ზუგდიდში, თიანეთში, გორში, თელავში. ახლა გვთხოვენ გორის უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრა, ვფიქრობთ, ნავიდეთ ბათუმში, მესტიაში, ქუთაისში,



ახალქალაქში, სექტემბრიდან თბილისის უნივერსიტეტებზე მოვივლით, იანვარში კი ერთგვარი შემაჯამებელი საღამო მოეწყობა.


— მართალია, მსმენელი გყავს, მე ვკითხულობ, ადამიანები ესმას ეცნობიან, მაგრამ ვერ გეტყვით, რომ დიდ აუდიტორიას ან ბევრ სტუდენტს ვხვდები. რეგიონები და ცდილია ახალგაზრდებისგან. იმედი მაქვს, ისინი თბილისში, უნივერსიტეტებში დაგვხვდებიან. მიუხედავად ამისა, ვცდილობთ და ინტელექტუალ მსმენელს მაინც ყველგან ვპოულობთ.

— თქვენი პროფესიიდან გამომდინარე, ალბათ კარგად გრძობთ აუდიტორიას, მის რეაქციას. როგორ მოქმედებს პოეტი მსმენელზე?

— ესმა ყოველთვის ტოვებს შთაბეჭდილებას, უბრალოდ, აუდიტორიას გააჩნია, ყველგან სხვადასხვანაირადაა, მაგალითად, „შაქრო ბაბუაში“ მისი პოეზიის თაყვანისმცემლები მოვიდნენ, ზემოთი იყო. ზოგან სრულიად არ იცნობდნენ მას, უფრო რთული მსმენელი შეგვხვდა, მაგრამ ის, რომ ესმამ არ იმოქმედოს, ემოციის გარეშე დატოვოს ვინმე, ეს წარმოუდგენელია და ამას ვხედავთ კიდეც შეხვედრებზე. — როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია ცოცხალი კითხვა. ეს მიმართულება ძალიან განვითარებულია საზღვარგარეთ. არის ადგილები, სადაც



ვენელოვანია ცოცხალი კითხვა. ეს მიმართულება ძალიან განვითარებულია საზღვარგარეთ. არის ადგილები, სადაც








ონიანი, მიმაჩნია, რომ ის პოპულარობის ღირსია და ამისთვის არ მეზარება ენერჯის დახარჯვა, პირიქით, მგონია, რომ რასაც გავცემ, დამიბრუნდება. რატომ ვფიქრობ ასე, ვერც კი გეტყვით. ხომ იცით, კუბაზე ფიდელ კასტროს დროს სიგარის ფაბრიკების მუშებს, რომლებიც საათობით თავაულებლად ახვევდნენ სიგარებს, შრომის შემსუბუქების მიზნით, ხმამაღლა უკითხავდნენ, სულ უკითხავდნენ, სწორედ აქედან მოდის სიგარების სახელწოდებები — „რომეო და ჯულიეტა“, „მონტე კრისტო“... რა თქმა უნდა, მსგავსი პათოსი არ მამოძრავებს, უბრალოდ მგონია, რომ კარგ ავტორთან კავშირი აკეთილშობილებს ადამიანს, ყველაფერში ეხმარება, ამიტომაც კითხვა ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია.

ტექსტებთან კავშირი გამწყდარია

ხალხი მიდის და ისმენს ნაწარმოებებს. საინტერესოა, რატომ ჰყავს ცოცხლად ნაკითხი ნიგნებს ბევრი მსმენელი, ან რა არის ამ ფორმის უპირატესობა?

— არ ვიცი, მგონია, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა, მხედველობადაქვეითებული ადამიანებისთვის გაკეთებულიყო აუდიოთეკა, ვიცი, რომ ამაზე უფიქრიათ და მე არ ვარ პირველი. საერთოდ, მნიშვნელოვან რამედ მიმაჩნია, რომ ხალხს, რომელიც საერთოდ ვეღარ კითხულობს, ჯანმრთელობის, მოუცლელიობის თუ სხვა პრობლემების გამო, შექონდეს საშუალება, უსმინოს ნიგნებს. ვფიქრობ, რომ მსახიობების ჯარს, რომელიც, ხშირად, არ არის დაკავებული, შეუძლია დაეხმაროს ამ ხალხს, ჩანეროს ნიგნები, შექმნას მდიდარი აუდიოთეკა, რომ ყველას შეეძლოს შინ თუ გარეთ მოუსმინოს, გადანეროს, თან ატაროს ჩვენი თუ უცხოელი კლასიკოსების, თანამედროვე ავტორების ნიგნები. გარდა ამისა, მგონია, რომ კარგად ნაკითხულის მოსმენა, არ ვგულისხმობ მხატვრულ ინტერპრეტაციას, შეიძლება შენი ნაკითხულსაც სჯობდეს. მე ვერ გეტყვით, დასავლეთში როგორ არის, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ეს ძალიან საინტერესო სფეროა. აი, მე მიყვარს ესმა





ცა მასთანაც, სხვა რეჟისორებთანაც, ყოფილა ავტორი, რომელიც ბოლომდე ვერ გამოიგია, ვერ მიმიღია. როცა დამოუკიდებლად მუშაობ, პირველი პირობა ის არის, რომ გაითავისო ავტორი. მცდელობების მიუხედავად, ზოგჯერ ეს არ გამოგდის, საყვარელ მწერლებთანაც არ ხდება სრული დამთხვევა. შეიძლება, დრო გავიდეს, შეიცვალოს, უფრო მოქნილი გახდეს, მაგრამ მაინც დარჩეს დისტანცია ავტორთან, ამას ვერაფერს უზამ. ამიტომაც, დიდი ბედნიერებაა, როცა სრული თანხვედრაა, როცა ის შენს სულს, შენს გრძნობას ედება. ჩემს კოლეგებშიც მინახავს ეს თანხვედრა პერსონაჟებთან, მინახავს მათი შესრულებული როლები, რომლებიც თითქოს მათთვის დაინერგა. ასეთ შემთხვევაში ნაშლილია მსახიობსა და პერსონაჟს შორის ზღვარი. ზოგჯერ კი სულ სხვანაირად შეიძლება მოხდეს.

— რაზეა დამოკიდებული?
 — ზოგჯერ სათქმელი ბევრად ღრმავა, ან პირიქით, უფრო მარტივი, ხანაც სხვაგან ხარ. ასე ხდება. მაგალითად, შვილები რომ გავაჩინე, წლების განმავლობაში არ მითამაშია სასტიკი, ძლიერი პერსონაჟები, ბრუტალური თემები არ მიზიდავდა, და ეს იყო სატანჯველი — როლებზე უარს ვამბობდი. მერე გავიდა დრო და 24 წლისამ სტუდენტურა „მაკბეტში“ ლედი მაკბეტის როლი ვითამაშე. იქ ვდებდი ფიცს მაკბეტის წინაშე და ვამბობდი — შვილისთვის ძუძუ მიწოვებია, ვიცი, რა არის ეს ნეტარება, მაგრამ თუ ფიცით შეგეკვრებოდი, სიტყვას მოგცემდი, ვით შენ მომეცი, პირმშოს მკერდიდან მოვიგლეჯდი, ძირს მოვისროდი, მინაზე ტვინიც რომ დაენთხია... უმძიმესი სათქმელია. თუკი მართლა გინოვებია შვილისთვის ძუძუ, როგორ უნდა მოიქცე ასე, რა ქალი უნდა იყო, ის სიტყვები რომ წარმოთქვა? ახლა დაფიქრდები ხოლმე, როგორ ვთამაშობდი იმ როლს, რა მეგონა, რას ვფიქრობდი? ალბათ, როცა არ ფიქრობ და არ იცი, რისი უნდა გეშინოდეს, მაშინ ყველაზე კარგად გამოგდის, მაშინ თავისუფლად ქმნი. როგორც ტრიუფო წერს — ახალგაზრდობაში უტოვინობა შენი პლუსია. ახლა ალბათ ვერაფრით გავიმეორებ იმ ტექსტს, იმდენს ვიფიქრებ, როგორ ვთქვა-მეთქი, რომ შეიძლება, არც გამოვივიდე.

— საყვარელ ნიგნებზე, ავტორებზე მელაპარაკეთ, როგორ შემოვიდა ლიტერატურა თქვენს ცხოვრებაში?

— სასაცილო რაღაც უნდა მოვყვე. პირველი წიგნი, რომელიც ძალიან პატარამ რუსულ ენაზე წავიკითხე, შოდერლო დე ლაკლოს „სახიფათო კავშირები“ იყო, დეიდაჩემის ოთახში ვიპოვე. რა თქმა უნდა, ვერაფერი გავიგე და რაკი სათაურში „კავშირები“ ერია, მეგონა, რომ რომანი კავშირგაბმულობას ეხებოდა. რა გითხრათ, მთელი ბავშვობა ვიჯექი და ვკითხულობდი. ყველაფერს ვკითხულობდი, რაც ხელთ მომხვდებოდა. ღამით მამა სამჯერ მაინც შემოვიდოდა ჩემს ოთახში და ფანარს ნამართმევდა — ნულა კითხულობო. მიგრძალავდნენ. ეს ერთგვარი ობსესია იყო. 17-18 წლისამ მთელი დოსტოევსკი წავიკითხე, აბა, რა უნდა გამეგო იმ ასაკში. მერე ახლიდან მომინია ნაკითხვა. ბავშვობის ყველაზე ტიპილი მოგონება სწორედ ნიგნების კითხვაა, საათობით შემეძლო ვმჯდარიყავი, დროც მქონდა და არაფერი მანუხებდა. იცით, მამა მაძლევდა მაგალითს, ის მუდმივად მახსოვს ლოჯიაში მჯდომი, წიგნით. დედაც, დეიდაც — ყველა კითხულობდა ჩვენთან. ამას ვადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბავშვისთვის. ასე რომ, არც მახსოვს, როდის გაჩნდა ჩემს ცხოვრებაში ლიტერატურა, თითქოს ჩემთან ერთად გაჩნდა. მერე, როცა იზრდები, მუშაობ, შვილები გყავს, იმდენი დრო აღარ გრჩება, მაგრამ ახლაც არის ასეთი სიტუაციები, მაგალითად, როცა დასასვენებლად ვართ, იქაურობა სამკითხველო დარბაზივითაა.

ჩემმა მშობლებმა 90-იან წლებში ყველაფერი გადაიკითხეს და დღემდე სულ კითხულობენ, სულ რაღაც ახალს ეცნობიან, ახალ თარგმანებს, ახალ ქართულ ტექსტებს. სწორედ რამდენიმე დღის წინ დედასთან მივედი, „ემმაკეულ აიებს“ კითხულობდა — სალმან რუსმდომ გამაგიჟაო.

— თანამედროვე ქართველ მწერლობასაც ეცნობით?

— რა თქმა უნდა, ყველაფერს, რაც ხელში ჩამივარდება. მაგრამ ახლა უკვე იმდენი ახალი წიგნი, ახალი კრებულება, ქართულიც, თარგმანიც, რომ ვეღარ ვენევი. ძნელია, ყველაფერს განვდე.

— რომელი ავტორი მოგწონთ განსაკუთრებით ბოლო დროს ნაკითხულთაგან?

— ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა სალმან რუსმდომ. იგივე შემიძლია ვთქვა ფრანსუა ტრიუფოს წერილებზე კინოსამყაროს შესახებ „რაც თვალს სიამოვნებს“, რომელიც ნუცა მესხივილიმ თარგმნა. საოცარი წიგნია ანდრეა პირლოს „ვაზროვნებ, მასხადადამე ვთამაშობ“ — „არტანუჯის“ სერიიდან „ფეხბურთელების ავტობიოგრაფიები“. საოცრად საინტერესოა ჩემი საყვარელი ავტორის, პოლ ოსტერის „მისნის ღამე“, ბოლოს რომ გამოცა, თუმცა მისი ყველა ნაწარმოები, მოთხრობა იქნება, ნოველა თუ რომანი, ენიგმა ნამდვილი. ბოლოს რაც წავიკითხე, მათგან განსაკუთრებულად იმოქმედა სერგო ზაქარაიძის ბიოგრაფიის სამტომეულმა, სტეინბეკის „რუსულმა დღიურმა“ — ესეც საოცრად საინტერესოა. სულ რაღაცა ვარ აღტაცებული. მგონი, ასაკის ბრალია. თუმცა, რუსმდომ მაინც განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა, თანაც არაჩვეულებრივი თარგმანია. იცით რა არის, ნიგნები ძალიან ეხმარება მსახიობს თამაშის დროს. სამეფო უბნის თეატრში ნიკა თავაძემ დადგა ჟან ჟენეს „მოახლები“, რომელშიც ბაია დვალისვილი, ნატო მურვანიძე და მე მოახლებეს ვთამაშობდით. ის როლი პატრიკ ზიუსკინდის „სუნამოს“ შთაბეჭდილებით ვითამაშე, არა-

და, ის ტექსტები ერთმანეთთან არანაირ კავშირში არ იყო, ისევე, როგორც არაფერ შუაშია რეჟისორ მარგო ზუბაშვილის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ანა“ და სემუელ ბეკეტის „მოლო“, რომლის გავლენითაც იმ ფილმში ვითამაშე.

— თანამედროვე ქართულ დრამატურგიაზე რას იტყვით?

— ქართულ სცენაზე ხშირად უნდა ცოცხლდებოდეს ქართული პიესა. სამწუხაროა, რომ ჩვენს დრამატურგიას რთული დრო უდგას და ნაკლებად იდგმება. და რადგან ნაკლებად იდგმება, შესაბამისად, ნაკლებად ინერება. ძალიან მნიშვნელოვანია, ძალიან კლასის დრამატურგია იდგმებოდეს თეატრში. მას უნდა დგამდნენ კარგი რეჟისორები, თამაშობდნენ კარგი მსახიობები, და როდესაც მოთხოვნა გაჩნდება, მაშინ ალბათ კიდევ დაინერება კარგი პიესები. ქართული თეატრები საუკეთესო პიესის გამოვლენისთვის კონკურსებს რომ ატარებენ, სწორედ ამას ემსახურება — გამოჩნდნენ ავტორები, დაიწყონ წერა და იფიქრონ, თუ რაზე უნდა დაწერონ, როგორ მოყვენენ, როგორ დაიდგას მათი პიესები, როგორ ითამაშონ მსახიობებმა. ამას აუცილებლად უნდა ითვალისწინებდნენ. აი, მაგალითად, ესმა იცით როგორ წერს? თითქოს როგორც კარგი დრამატურგი, შენზეც ფიქრობს — რომ არ დაიღალო, ლექსის მდინარეებს ცვლის, ამოგასუნთქებს, საშუალებას მოგცემს, დაისვენო და გააგრძელო მოგზაურობა. დიდი მნიშვნელობა აქვს, დრამატურგი გრძნობდეს, იცნობდეს სცენას, არ მოწყდეს მსახიობებს. და მაინც, მთავარი სათქმელია. წერასაც სწავლა სჭირდება. მაგალითად, მიმარჩნია, არ არის ტრავმულია, ჩუბოვს რომ არ თამაშობენ საქართველოში, მაგრამ ძალიან ცუდია, ქართველი დრამატურგები რომ არ იდგმებიან.

— „საბას“ ნომინაციებშიც აღარ ჩანან დრამატურგები და ესეც მინიშნებს პრობლემაზე.

— ასეა. ამას ახლა არ ჩაუვლრმავდები, უბრალოდ ვიტყვი, რომ ყველაზე დიდ პრობლემად მიმაჩნია ის, რომ წლიდან წლამდე მხოლოდ ერთხელ, „საბას“ დაჯილდოებაზე გაიფიქრებს ხოლმე ლაურეატების სახელები და მერე აღარავინ ზრუნავს მათ ნიგნებზე, არავინ უწევს პოპულარიზაციას, ტექსტებთან კავშირი გამწყდარია. მე კიდევ მგონია, სწორედ დაჯილდოების მერე უნდა იწყებოდეს იმ ნიგნებისთვის ბრძოლა.

— ისევე ესმა ონიანს დავუბრუნდები. ის უცნაურად ალაგებდა, სხვადასხვა თემის ქვეშ აერთიანებდა ლექსებს. თქვენ როგორ ამოარჩევთ ხოლმე, რა ნაიკითხოთ მისი ნაწერებიდან?

— ხომ იცით, ზოგადად, როგორ ყოფენ პოეტების შემოქმედებას — პატრიოტულ ლირიკად, სატრფიალო ლირიკად და ასე შემდეგ. ესმასთან ასე ვერ დაყოფ, ვერაფერს მოაქცევ ჩარჩოში. მაგალითად, მას აქვს „გადახვევები“, მერე ისევე: „გადახვევები ოთხ ნაწილად“, რის მიხედვით არის გაერთიანებული ის ლექსები, ზუსტად ვერ იტყვი. თან როგორ წერს — ერთი წერტილიდან იწყებს, ფართოვდება, გადადის სხვა სიღმეებში, ხეულებში, და სადაღაც სხვაგან ამთავრებს. თითქოს არ ებმის დასაწყისი და ბოლო ერთმანეთს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ხვდები, რომ ეს მაინც ერთია. რაღაცნაირი სულის რევიზიაცია მისი ლექსები, ძალიან მტკივნეული და არამარტივი. რომელ ჩარჩოში უნდა ჩავსვათ ესმა ონიანის პოეზია, რა სახელი უნდა დაერქვათ, რომ სრულად გამოვხატოთ მისი არსი, ხასიათი, თემატიკა. სტინებეკი იხსენებს თბილისში სტუმრობასაც და წერს, ყველაზე მეტად იმ შეკითხვების მეშინოდა, მწერლები რომ მისვამდნენო — „რა ტენდენციებია თქვენთან?“, „რა პროცესები მიდის?“ კონკრეტულ სახელებს ვერ ვარქმევდი ამერიკელი ავტორების ლიტერატურულ ცხოვრებასო. დაახ, ისინი იხსენებ და თავჩარგული წერდნენ. ესმაც ასე იყო ჩაკეტული თავის სამყაროში, თავის წვენი იხარშებოდა. ბევრ რამეს დაუდო საფუძველი, ბევრი ავტორი ასაზრდოა. მე ასე მეჩვენება. ან ფერებს როგორ აღიქვამს. აქვს ასეთი ლექსი „ყვითელი“, რომელიც სიკვდილს, მამის გარდაცვალებას ეძღვნება. ეს ლექსი ჩემთვის არის სიღრმისეული რევიზია უმძიმესი მდგომარეობის, ყოფნა-არყოფნის, ძვირფასის კარგის, ისეთი ღრმა, როგორსაც გაუბნის ადამიანი. ამას ახლავს პროტესტი, გარდუვალობის განცდა და როგორც ჯადოქარი, ყველა ნიუანსს მიმოიხილავს და ბოლოს ამთავრებს საოცარი პასაჟით, მაჟორულ ნოტაზე, როგორც ბახთან მოგვისმენია — სასაფლაოს აღწერს და გარდაცვალებას დიდ კათარზისად აღიქვამს. როგორ შეიძლება, არა მარტო ემოციური განცდა, არამედ სულის ძვრები ჩატიო ერთ ლექსში, ერთი ადამიანის ამბავში, და ნიუანსებიც არ გამოგრჩეს — გახსენება, საწთლები, შანდლები, გლოვა, ტირილი, აგონია. ვფიქრობ, ასეთი ლექსი „პატრიოტულ ლირიკასაც“ მოიცავს, სამშობლოც მასშია, სიყვარულიც. ამას ვგრძნობ, ისევე, როგორც მიგრძნობს კარგი დრამატურგის ნაწერი და ვიცი, რა გრძნობებს ბადებს ის. ესმაც იმავეს განმაცდევინებს. სწორედ მან მასწავლა, რომ თუ ნამდვილი ხარ, თუ სუფთად და ჭეშმარიტად გრძნობ, არ უნდა გემინოვდეს გამოხატვის. ხელოვნება ვერ იტანს სიყალბეს. თვითონ ძალიან გამბედავი იყო, არასდროს ეშინოდა ისეთ რაღაცებზე ლაპარაკის, წერის, რაც იმ მომენტში ბევრს დიდად არ ესმოდა. ამიტომ მას რომ კითხულობ, გინდებდა მოწინებდა ცხოვრების წინაშე, პატარ-პატარა დეტალების წინაშე და ხვდები, რომ ის აბსოლუტურად მართალია...

ესაუბრა თამარ ქურული

გურამ ბათიაშვილი
სახეები
და სიტუაციები
 მოღუბი ფანსაცმელი?

ჩვენს თეატრში თანამედროვე ქართველ დრამატურგთა პიესებს თითქმის ისევე უყურებენ, როგორც მოღურ ფეხსაცმელებს, პერანგს, გნებავთ, ქუდს — გამოვა ახალი, კარგი ფეხსაცმელი, პერანგი, ქუდი თუ სხვა რამ ჩასაცმელი და მას ეტანებიან — ცდილობენ, ეს ახალი სამოსი მოიგონ.

გადის დრო — იმ ფეხსაცმლის, ქუდისა თუ სხვა რამ სამოსის სიახლის ჟინს მოიკლავენ და მიაგდებენ — მისი ჩაცმა უკვე სირცხვილადაც ითვლება — უხერხულია, მოძველდა, მოდიდან გავიდაო.

ახლა პიესის ამბავი ვიკითხოთ — იბადება ახალი ქართული პიესა — ცხადია, ყველა ახალ ქართულ პიესას არ ვგულისხმობ. ახალი და კარგი იმეიათი ხილია, მაგრამ მაინც ჩნდება და ამ ახალსა და კარგს ბევრი თეატრი ანხორციელებს. ძალიან კარგი, შესანიშნავია: თუ ახალი ქართული პიესა, კარგიცაა, რატომ არ უნდა დადგან, რატომ არ უნდა განახორციელონ და მყურებელიც რატომ არ უნდა გაახარონ? უმეტეს შემთხვევაში, ასეც ხდება და კიდევ ერთხელ ვამბობ: ეს ძალიან კარგია.

არის სპექტაკლი და არის დრო! დრო რასა იქმს? დრომ სპექტაკლი გაცივითა, დრომ მოაძველა დეკორაცია, მოაძველა სამოსი — სპექტაკლს დაერია დროის მსახვერელი ხელი და, ბუნებრივია, იგი სცენიდან ჩამოდის და... ეს კარგი ქართული პიესა აღარავის ახსოვს. ისევე გავიდა „მოხმარების ზონიდან“, როგორც ის მოღური ფეხსაცმელი, პერანგი თუ ქუდი.

კონკრეტული ავტორების დასახელებას თავს ავარიდებ, არც პიესებს დავასახელებ. არ მსურს, თეატრებს ეს ვაკადრო და იმ ქართველ ავტორთა პიესების სია შევაშველო, თუ რეჟისორსა მოინადინებს, დღესაც საინტერესო რომ იქნებოდა. შესაძლოა, ვინმემ ეს მოსაზრება გამიტირზავოს და შემძახოს: მთელი 70 წელიწადი ქართული მწერლობა, თეატრი იდეოლოგიზირებული იყო და იმ ეპოქაში ვერაფერ მნიშვნელოვანს ვერ ვპოვებთო. შემძახებენ და მეც დავეთანხმები, დავეთანხმები, მაგრამ... იმ ეპოქაში დაწერილი თხუთმეტი-ოცი ქართული პიესა მაინც შემიძლია დავასახელო, რომელიც დღესაც საინტერესო უნდა იყოს მყურებლისათვის, იმ შემთხვევაში, თუ რეჟისორი ახალი თვალით შეხედავს.

მანამდე, საბჭოების აღზევებამდე დაწერილ პიესებზე აღარას ვამბობ...

სამხე ქლირ ცუდადაა!

საქართველოში საქმე ცუდადაა. საქართველოში ძალიან უჭირს ეკონომიკას, გრუნველობას, სოფლის მეურნეობას... ამაზე წერენ, ლაპარაკობენ. მეც ვხედავ, როგორ გაუჭირდა ხალხს, მაგრამ იმასაც ვხედავ, რომ მომრავლდა ახალი, კარგად ნაგები სახლები, რესტორნები სავსეა ხალხით, თეატრში მოვიდა მყურებელი. ამიტომ ფრაზა „საქართველოში საქმე ცუდადაა“ მაინც ტენდენციური მეჩვენებოდა. მიმაჩნდა, რომ იგი გამოხატავდა ხელისუფლების ოპონენტთა პოზიციას და ფრაზა „საქართველოში საქმე ცუდადაა“ პოლიტიკური განცხადება უფრო იყო, ვიდრე რეალობის ამსახველი. გაცნობიერდა:

ერთ სატელევიზიო გადაცემაში ეჭვქვეშ დააყენეს მთავლელ გია თორთლაძის მიერ მწვერვალზე ასვლის საკითხი — ამტკიცებდნენ, თორთლაძე ევერესტზე არ ასულაო.

მომდევნო დღეს ახალგაზრდების დიდმა ჯგუფმა, ამათ შორის რამდენიმე ახალგაზრდა თავის თავს მწერალსაც კი უწოდებს, იმ ტელეკომპანიის წინ საპროტესტო აქცია მოაწყო. პლაკატებით, შეძახილებით დაიცვეს თორთლაძე: როგორ გაბედეო, ამ ღირსეული კაცის კეთილსინდისიერებაში ეჭვი როგორ შეიტანეთო.

ერთი სიტყვით, კარგად დაიცვეს ეს, ვგონებ, მართლა წესიერი სპორტსმენი.


კეთილი და პატიოსანი! რამდენიმე დღისა, თუ კვირის შემდეგ, იმავე ტელეარხზე მყურებელს ევლინება ერთი ვინმე კაცი, რომლის გვარის ქვეშ წერია — პოეტი. ეს ერთი ვინმე კაცი კითხულობს ლექსებს. თავად ჰგონია, რომ ლექსებს კითხულობს, თორემ... მერე საუბრობს პოეზიაზე და ამბობს, რომ ჩვენ პოეტები არ გვყავდნენ, ჩვენ გვყავდნენ „ბანძები“, ხოლო გალაკტიონი ერთი უბრალო სოფელი ბიჭი იყო და მეტი არაფერი. უკეთესი არც ბარათაშვილი იყოო. საქართველოში საქმე ცუდად იმითომ კი არ არის, რომ იმ ერთ ვინმე კაცს ასე მიაჩნია — ეს მისი პრობლემაა. არა, საქმე იმითმაა ცუდად, რომ ჩემი მოლოდინი არ გამართლდა. რას ველოდი? ის ყმანელები, რომელთა შორის რამდენიმე თავის თავს მწერალსაც რომ უწოდებს და რომლებმაც ასე დაიცვეს სპორტსმენი, გამოვიდოდნენ და უფრო დიდს თუ არა, ისეთსავე დემონსტრაციას მაინც მოაწყობდნენ, როგორც სპორტსმენის დასაცავად სავსებით სამართლიანად მოაწყეს.

არა. არც მეორე, არც მესამე, არც მეოთხე დღეს ქართული პოეზიის დასაცავად დემონსტრაცია არ გამართულა...



თეკლა ქველადე

სვანური სოფლებიდან ესპანურ მებაჟოლისებამდე



პირველი პროზაული კრებული — „ქუნარემ“ — გამოსცა. კადრები სვანური სოფლების არქაული ყოფიდან ისე ოსტატურად ენაცვლება ესპანურ მებაჟოლისებ-სა თუ სოფლებში მცხოვრები ემიგრანტის აუტანელ ყოფას, თითქოს სადღაც ქრება ეროვნული მახასიათებლები და თანამედროვე ლიტერატურული კვლევისთვის ასე საინტერესო ავტო და ჰეტეროგენობები-სოსო მეშველიანის ნაწახი, გამოვლილი და მოყოლილი ამბები ბევრად მეტია, ვიდრე ერთი ემიგრანტის მოგონებები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო, სვანეთი, მთაში გატარებული ბავშვობის წლები და მშობლების ხატება მუდმივად სადღაც სიახლოვეს აქვს ავტორს, რთულია, განსაზღვრო, მის მიერ დანახული ემიგრანტი ქართველების ყოფა ქართველებზე გუ-ლატრული ქართველი კაცის დამოკიდებულებაა თუ მსოფლიო მოქალაქის მიერ დანახული ქართული ემიგრაცია.

„თეგზივით ვგდივარ უცხო ნაპირზე. სულის თხევადი უფსკრულიდან გამორიყული და მშრალ ქვიშაში გამოხვეული. ოცნებასავით დაჩუტული მთვარე თუ ამჩნევს მოლუსკივით რომ დასრიალებს ჩემი სხეული. ჩუმად, წვეთ-წვეთად, დავიცალე არსებობიდან, დაცარიელდა გამდინარე ცნობიერებაც...“

სოსო მეშველიანის ლიტერატურული ბიოგრაფია არც ისე ხანგრძლივი და ფაქტებით დატვირთულია, თუმცა მთიელი კაცისთვის დამახასიათებელი ხისტი, ემოციური ნარატივითა და გამორჩეული ხედვით, ძალიან მოკლე ხანში დაიმკვიდრა მნიშვნელოვანი ადგილი თანამედროვე ქართულ პოეზიაში. სოსო მეშველიანის პირველი პუბლიკაციები 2006-2007 წლებში გამოჩნდა ლიტერატურულ გამოცემებში, შემდეგ აქტიურად ქვეყნდებოდა მისი ლექსები ინტერნეტში. მრავალწლიანი ემიგრაციის პარალელურად ქართველი მკითხველი მუდმივად ეცნობოდა მის შემოქმედებას. თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებს გარიდებული, უცხოობაში გადახვენილი კაცი ტკივილებზე გვწერდა — შორიდან გვწერდა და გვიყვებოდა ამბებს, თითქოს ნაცნობსა და მრავალჯერ მოსმენილს, მაგრამ მაინც ცოტათი მითოსურს. ისეთსავე მითოსურსა და შორეულს, როგორც მისი სოფლის შემოგარენში მობინადრე ტყის სულები, კუდიანი ქალები და მოჩვენებები.

ეს ის ამბებია, რომლებიც ჩვენ, საქართველოში დარჩენილ შვილებს, დედებს, მეგობრებს, დებსა და ძმებს უამრავჯერ მოგვისმენია, წაგვიკითხავს, ტელევიზორში გვიჩვენებს, მაგრამ ცოტა გაბუქებული და გადაჭარბებული გვგონია ხოლმე მარტოობითა და ნოსტალგიით მძაფრად აღქმული მათი რეალობა. სოსო მეშველიანის შემთხვევაში დიდი ტკივილით მოყოლილ ამბებს ისეთი მძაფრი, ხისტი და გამკლავი ხმა გასდევს, რომ ავტორსაც და მკითხველსაც სადღაც ეფანტება სევდა და რჩება ბრაზი, ბრაზი ქვეყნის მიმართ, ქვეყნისა, რომელსაც ასეთი პოეტები ღღემდნენ შორს გაურბიან.

„ჩვენ არც წასვლას გთხოვთ, არც დარჩენას, ნება თქვენია, ბამბა გათოვდეთ, ზეთი განვიმდეთ, სულ კარგი ფეხი დაგეტოვოთ ჩვენთვის, ყველასთვის, სულთაფლ-მზიანი გზებით გვევლით, სულ თაფლ-მზიანი“...

აქვე აულ-მაული, კოხინჯრობა, ალქაჯები, ტყის სულები და უამრავი დაუჯერებელი და ამოუხსნელი ამბავია, რომელიც სვანურმა ყოფამ შემოინახა. ამ არქაული, პირველყოფილი ამბების ესპანური გამოცხილია სოსო მეშველიანის პროზა-ცა და პოეზია — კაცისა, „ვისთვისაც დედა სამშობლოს ნიშნავს, მამა კი ღმერთს“.

გვანცა მგალობლიშვილი


ბერმანელი ჰოლდენ კოლფილდის ახალი ვნებანი

ლიტერატურამ საუკუნეების მანძილზე ბევრი ცვლილება განიცადა. იმის მიუხედავად, რომ სხვადასხვა დროში შექმნილი ტექსტები ერთმანეთისგან ერთ, სტილითა და საკვანძო თემებით განსხვავდება, ერთი რამ უცვლელი რჩება — ლიტერატურა კვლავაც ადამიანის, მისი ცხოვრებისა და ბედისწერის ირგვლივ ტრიალებს. მიზეზი ის ეგზისტენციალური, ყოფითი საკითხებია, რომლებიც ყველა ეპოქის ადამიანს ერთნაირად აფიქრებს და აწუხებს.

ჯერომ სელინჯერის რომანის — „კლდის პირზე, ჭვავის ყანაში“ — გამოცემიდან რამდენიმე ათეული წელია გასული, თუმცა აქტუალობას დღესაც არ კარგავს. ნიგნის პროტაგონისტი, 16 წლის აყლაყუ-და ჰოლდენ კოლფილდი, პირში გაჩრილი სიგარეტითა და თავზე ჩამოფხატებული წითელი სანადირო ქუდით, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პერსონაჟია ლიტერატურულ სამყაროში. მთელი ნიგნი ყალბი ჩარჩოებისაგან თავისუფალი და მგრძობიარე თინეიჯერის მონოლოგია. ჰოლდენი ისეთ დეტალებსა და წვრილმანებს აქცევს ყურადღებას, რასაც სხვები ვერ ამჩნევენ. განიცდის გარშემოყოყნების სიყალბეს და ცდილობს, საკუთარი ცხოვრება ამ საფრთხისგან დაიცვას. „კლდის პირზე, ჭვავის ყანაში“ მხოლოდ კოლფილდისა და თინეიჯერების მანიფესტი არ არის. ის ყველა იმ ადამიანის ისტორიაა, რომლებიც გარბიან, საკუთარ თავს ეძებენ, განიცდიან და ცრუ კანონებს წინ აღუდგებიან.

ჰოლდენ კოლფილდის დაბადებამდე ორიოდე საუკუნით ადრე, 1774 წელს იოჰან ვოლფგანგ გოეთე წერს ლირიკულ რომანს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“, რომელიც შემდგომ დასავლეთის ლიტერატურაზე მოახდენს დიდ ზეგავლენას. ერთი შეხედვით, ნაწარმოები, რომელიც მეგობრისადმი გაგზავნილი ბარათებისგან შედგება, ეძღვნება ახალგაზრდა კაცის ვერტერის უნუფარს სიყვარულს ლოტეს მიმართ. თუმცა, ამ სამიჯნურ ამბის მიღმა არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა იმალება — ადამიანის შეუთავსებლობა, გაუცხოება რეალობასთან და იმ გარემოსთან, რომელშიც უნევს ცხოვრება. „მე შეუცხოება ადამიანთა მოდგმა“ — ამბობს ვერტერი და სიყალბეს, ცრუ რწმენებს პროტესტს უცხადებს: უარს ამბობს ტიტულზე, დანინაურებაზე; არ სურს არისტოკრატასთან საქმის დაჭერა. მისი თვით-მკვლელობის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ განსხვავებული მსოფლმხედველობით გამოწვეული მარტოობა ხდება.

მეოცე საუკუნის გერმანელმა ავტორმა, ულრიხ პლენცდორფმა საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარა და მკითხველებისთვის უკვე კარგად ნაცნობი ორი პერსონაჟის, ვერტერისა და კოლფილდის თვისებები თავისი რომანის მთავარ გმირს მოარგო. სათაური სანახევროდ გოეთესგან იხსება და „ახალგაზრდა ვ.-ს ახალი ვნებანი“ დაარქვა (ნიგნი გერმანულიდან დალი ფანჯიკიძემ თარგმნა). ეს არ არის სენტიმენტალური ამბავი ცალმხრივ სიყ-



ვარულზე. ეს ნიგნი პროტესტია საზოგადოებაში მტკიცედ ფესვადგმული სტერეოტიპების წინააღმდეგ. „ახალგაზრდა ვ.“, იგივე ედგარ ვიბო, რომელიც კოლფილდისხელა ბიჭია, ყალბ წეს-ჩვეულებებს თავისი მოსაწყენი, პროვინციული ქალაქიდან გაქცევით აუჯანყდება, ბერლინში ერთ მიტოვებულ კოტეჯში დაიდებს ბინას და საკუთარი წესებით იწყებს ახალ ცხოვრებას. ის 1970-იანი წლების გდრ-ის სლენგით მეტყველებს და ჰოლდენით გულწრფელად ჰყვება თავის ამბავს. ხანდახან თავის მეგობარს, ვილის უგზავნის მაგნიტოფირებით ციტატებს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანიდან“ და თავად ვერტერს მასხრად იგდებს. სამაგიეროდ, ორად ორი ნიგნი ჰგონია ნამდვილი და ნაღდი. ერთი „რობინზონ კრუზო“, მეორე — „კლდის პირზე, ჭვავის ყანაში“. კოლფილდის პერსონაჟთან ახდენს საკუთარი თავის იდენტიფიკაციას და ნატრობს, მისამართი რომ მცოდნოდა, მივწერდი და ნიუ-იორკიდან მიტენბერგში ჩამოვიყვანდიო. ედგარ ვიბოს ისტორია „ვერტერის“ სიუჟეტურ ხაზს მიჰყვება: ცალმხრივად უყვარდება გოგონა სახელად შარლი (შარლოტა) და მისი ცხოვრებაც ტრაგიკულად სრულდება, რასაც რომანის პირველივე გვერდზე გამოქვეყნებული ნეკროლოგიდან ვიგებთ.

„ახალგაზრდა ვ.-ს ახალი ვნებანი“ სატირული და სოციალურად კრიტიკული რომანია, რომელიც ასახავს მეოცე საუკუნის ბოლოს აღმოსავლეთ გერმანიაში ცხოვრებასა და რეალობას. თუმცა, ედგარ ვიბოს თინეიჯერული ამბოხი არ ეხება მხოლოდ ერთი, კონკრეტული ადამიანის ცხოვრებას. ის უფრო მეტად საზოგადოების პრობლემებზე გვაფიქრებს და ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა ინდივიდის საზოგადოებასთან დაპირისპირება. ულრიხ პლენცდორფმა კი შეძლო ამ საქმისთვის თავის გართმევა და საკუთარი თავის საძიებლად გაქცეული ბიჭი მკითხველს შეაყვარა...



ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მხარეთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ყურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004